პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ № 64. მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8-81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 20 კ., ტექსტში—3 მ., განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად- შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

კვირა, 11 დეკემბერი 1927 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ფასი 5 კაპ. № 281 (2026)

დღიური

- შვეიცარიიდან დაბრუნდა საბჭოთა დელეგაციის წევრი განიარაღების კონფერენციაზე ამხ. პუგაჩოვი.
- ჟენევაში ჩავიდა პილსუდსკი.
- დასრულდა საფრანგეთის კომუნისტების პროცესი.
- ინგლისის მუშათა პარტიის და პროფკავშირების [illegible] ლიტვინოვის დეკლარაციის გარშემო.
- ლატვიის პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა სკუენიკის კაბინეტს.
- კრიზისი გერმანიის ლითონის მრეწველობაში.
- გაფიცვების ტალღა საფრანგეთში.

საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე ყრილობა

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ანგარიში

ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენება

ბრძოლა პარტიის მთლიანობისათვის

რუძუტაკი: (თავმჯდომარე)—დღის წესრიგის მესამე საკითხზე—ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ანგარიში—სიტყვა ეძლევა ამხ. ორჯონიკიძეს. (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან**). ამხანაგებო! ვინაიდან ამხ. ორჯონიკიძე ჯერ კიდევ სავსებით არ არის მოკეთებული—გთხოვთ დაიცვათ მაქსიმალური სიჩუმე (ხმები: სწორია!).

ორჯონიკიძე: ამხანაგებო! მე მომიხდება ჩემი მოხსენების გაყოფა ორ ნაწილად. პირველი ნაწილი—ცენტრალური საკონტროლო კომისიის მუშაობა, მეორე—მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მუშაობის ანგარიშში მე ვფიქრობ შევეხო მხოლოდ ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლას.

პარტიამ უკვე გადასწყვიტა

ოპოზიციის შესახებ აღარ არის საჭირო ბევრი ლაპარაკი იმის შემდეგ, რაც მიმდინარე ყრილობაზე ცეკას ანგარიშის გამო ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც იძლევა ოპოზიციის იდეურ შინაარსის ამომწურავ შეფასებას. ყრილობამ მიიღო მუხლი ტროცკისტულ ოპოზიციის მიმდევრობის და მის შეხედულებათა პროპაგანდის შეუთავსებლობის შესახებ ჩვენი პარტიის რიგებში ყოფნასთან. ამით ყრილობამ პირდაპირ დასვა საკითხი.—ეხლა ოპოზიციისაგან არის დამოკიდებული, დარჩება თუ არა ის ჩვენს პარტიაში, სურთ თუ არა სავსებით და მთლიანად განიარაღდენ ყრილობის გადაწყვეტილებების თანახმად და დარჩენ პარტიაში, ან შეინარჩუნონ თავისი ძველი შემცდარი შეხედულებები, მაგრამ იყვნენ პარტიის გარეთ.

ყრილობამ ერთსულოვნად გადასწყვიტა, რომ თუ ოპოზიცია არ განიარაღდა მთლიანად და სავსებით, იდეურად და ორგანიზაციულად, ის განდევნილ იქნება პარტიიდან. თუ აქამდის ჩვენ ვიდავებოდით და უმტკიცებდით ოპოზიციას, რომ ისინი აწარმოებენ ფრაქციულ მუშაობას, რომ მათ ჰყავთ თავისი ფრაქცია, რომ ისინი აწყობენ მეორე პარტიას, ეხლა ამის შესახებ არც დავა და არც რაიმეს მტკიცება არ არის საჭირო, ვინაიდან თვით კამენევმაც კი ვერ უარყო აქ, რომ მათ აქვთ ფრაქცია ხოლო მთელ რიგ ყოფილ ოპოზიციონერების განცხადებებიდან აშკარად სჩანს, რომ ის უკვე არის არა ფრაქცია არამედ პარტია თავისი პლატფორმით თავისი პროგრამით. აშკარაა, რომ ერთ პარტიაში წარმოუდგენელია ორი პარტიის არსებობა.

მე არ ვაპირებ მოვიყვანო აქ ციტატები ზინოვიევისა და კამენევის წერილებიდან და სიტყვებიდან იმის შესახებ, რომ დაუშვებელია ორი პარტიის არსებობა პროლეტარიატის დიქტატურის დროს. ოდესღაც ზინოვიევი და კამენევი მშვენივრად ამტკიცებდენ ამას. ეს არც ისე დიდი ხნის წინად იყო. მაშინ ისინი გამოდიოდენ ტროცკის წინააღმდეგ. ეხლა ყველაფერი გადატრიალდა. ყველაფერი სხვანაირი გახდა. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ოპოზიცია დღემდე აწარმოებს ფრაქციულ ბრძოლას. ამასთანავე არალეგალურ კრებებზე ისინი ისე განუმარტავენ თავის მომხრეებს იმ განცხადების აზრს, რომელიც მათ აქ წარმოადგინეს, რომ ჩვენ ეს განცხადება შეგვაქვს, მაგრამ არ შევასრულებთო. კიდევ მეტი: თუ კამენევი ამბობდა, რომ მას უპარტიო მასებისადმი მიმართვა არ სურს და არც მიმართავს, მათი ბიულეტენი სულ სხვას ლაპარაკობს. აი 26 ნოემბრის მათი ბიულეტენი. რას ვკითხულობთ იქ? იქ ლაპარაკია მრაჩკოვსკის დაპატიმრების შესახებ: „ჩვენმა ამხანაგებმა, მიუხედავად იმ უმძიმეს პირობებისა, რომლებშიაც ჩააყენა ისინი კუზოვნიკოვის გამცემლობამ, მაინც მოახერხეს გამოეშვათ მიმართვა პარტიის ყველა წევრებისადმი. ამ მიმართვაში ლაპარაკია მრაჩკოვსკის დაპატიმრების შესახებ". სანამ კუზოვნიკოვი იყო ტროცკის ფრაქციაში, ის იყო ერთ-ერთი საუკეთესო კაცი, მას შემდეგ კი, რაც კუზოვნიკოვი, დარწმუნდა რა ის იმაში, რომ ოპოზიციის პოლიტიკა დამღუპველია ჩვენი პარტიისა და ჩვენი ქვეყნისათვის, ჩამოშორდა ოპოზიციას და დაუბრუნდა თავის პარტიას,—ამის შემდეგ კუზოვნიკოვს აცხადებენ გამცემად. ასე რომ, მათი აზრით არც ერთ პატიოსან ოპოზიციონერს არა აქვს უფლება ჩამოშორდეს ოპოზიციას და დაუბრუნდეს პარტიას, რომ არ მიიღოს გამცემის სამარცხვინო სახელი (**ხმები: „სირცხვილი"**).

განა ეს დასაშვებია? რატომ არის ეს ასე? ის ხალხი, რომელიც მუდამ ლაპარაკობს: „მოგვეცით დემოკრატია, მოგვეცით თავისუფლება, მოგვეცით უფლება თავისუფლად გამოვთქვათ ჩვენი შეხედულებებიო"—ეს ხალხი უფლებას არ აძლევს კუზოვნიკოვს გამოვიდეს მათი ფრაქციიდან. შემდეგ თავის ბიულეტენში ისინი მოუწოდებენ პარტიის წევრებს მოითხოვონ კრებებზე, ცეხებში მრაჩკოვსკის განთავისუფლება (**ხმაურობა**). რა არის ეს, თუ არა მიმართვა უპარტიო მასებისადმი? მოაწყვეთ კრებები ქარხნებში, ცეხებში, სახელოსნოებში და სხვ., მოითხოვეთ მრაჩკოვსკის განთავისუფლება, პროტესტი განაცხადეთ საბჭოთა ხელისუფლების მოქმედების წინააღმდეგო. (**რადჩენკო: „სირცხვილი". ხმაურობა დარბაზში**). განა ეს მოწოდება არაა უპარტიოებისადმი? ისინი კი ბედავენ უარყონ, რომ მიმართავენ უპარტიო მასებს. რა მდგომარეობაში ვიმყოფებით ეხლა ჩვენ? იმპერიალისტური სახელმწიფოები აპირობენ ჩვენზე თავდასხმას, დაბრკოლებები ჩვენს ქვეყანაში ცოტა არ გვექნება, ამ სიძნელეების დაძლევას ჩვენ შევძლებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გვექნება მთლიანი პარტია ისეთი რკინისებური დისციპლინით, რომლითაც ჩვენ მუდამ ძლიერი ვიყავით.

განა ოპოზიცია თავისი მოქმედებით ამაგრებს ამ დისციპლინას? იგი ამაგრებს პარტიის მთლიანობას, თუ ცდილობს მის დარღვევას? ის ადამიანები, რომელთაც თავისი სტამბა ჰქონდათ, ადამიანები, რომელთაც სცადეს დემონსტრაციის მოწყობა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ეს ადამიანები არ ამაგრებენ პარტიის დისციპლინას. იმის შესახებ, რომ პარტიული დისციპლინა აუცილებელია, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოექცე ხალხს, რომელიც არღვევს ამ პარტიის დისციპლინას, როგორც ყველა სხვა შემთხვევებში, ეხლაც რჩევისათვის უნდა მივმართოთ ლენინს. რას სწერდა იგი ამის შესახებ? არა ერთხელ ყოფილა მოყვანილი ეს ამონაწერი, მაგრამ ვფიქრობ მეტი არ იქნება, თუ კი დღეს იგი განმეორებული იქნება:

„პარტიული დისციპლინის უარყოფა—აი რა გამოუვიდა ოპოზიციას. ეს უდრის პროლეტარიატის სრულ განიარაღებას ბურჟუაზიის სასარგებლოდ. ეს უდრის სწორედ იმ წვრილ-ბურჟუაზიულ დაქუცმაცებას, მერყეობას, უუნარობას და უნიჭობას გაერთიანებასა და ორგანიზაციულ მოქმედებაში, რაც აუცილებლად დაღუპავს ყოველგვარ პროლეტარულ რევოლიუციონურ მოძრაობას, თუ ოპოზიციას თავის ნებაზე მიუშვებ. ცენტრალიზაციაქმნილი მსხვილი ბურჟუაზიის დამარცხება ათასჯერ უფრო ადვილია, ვიდრე მილიონ პატარა მესაკუთრეთა „დამარცხება". ისინი თავისი ყოველდღიური, შეუმჩნეველი, უხილავი, დამარღვეველი მოქმედებით იძლევიან იმავე შედეგებს, რომლებიც სჭირია ბურჟუაზიას, რომლებიც ახდენენ ბურჟუაზიის რესტავრაციას. ის, ვინც ცოტათი მაინც ასუსტებს პროლეტარიატის პარტიის დისციპლინას, განსაკუთრებით, მისი დიქტატურის დროს, იგი ფაქტიურად ეხმარება ბურჟუაზიას პროლეტარიატის წინააღმდეგ".

(1920 წელი „მემარცხენეობის საყმაწვილო სენი").

საჭიროება არ მოითხოვს ვამტკიცოთ, რომ ლენინის ეს დებულება უდავოა. ვინ სწევს თავს მაღლა, როცა ოპოზიცია აწარმოებს გამხრწნელ ბრძოლას? რას სწერს თეთრგვარდიელი გაზეთები, რას სწერენ მენშევიკი დანი და სხვები? მხოლოდ ერთს: ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს მათ პროგრამას, ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს მათ მემარცხენე ფრაზებს, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ისინი თავისი აგიტაციით, თავისი ბრძოლით ასუსტებენ დისციპლინასა და პროლეტარიატის დიქტატურას.

ჩვენ დიდსულოვნებას ვიჩენდით

იმ მოქმედებით, რომელსაც ოპოზიცია მიმართავდა ამ ორი წლის განმავლობაში, მე-14 ყრილობიდან დაწყებული დღევანდელ ყრილობამდე, ოპოზიციამ თვითონვე დააყენა თავისი თავი პარტიის გარეთ და აქ შეიძლება წამოიჭრას შემდეგი კითხვა: რას შვრებოდა ცენტრალური საკონტროლო კომისია, რომელიც შექმნილია ვლადიმერ ილიჩის იდეით ჩვენი პარტიის მთლიანობის დასაცავად? მიუხედავად იმისა, თუ ვინ არღვევდა მთლიანობას,— ცენტრალური საკონტროლო კომისია ნამდვილად იცავდა პარტიის მთლიანობას, თუ მან ვერ დაიჭირა გამოცდა და აღმოჩნდა ყოვლად უვარგისი ორგანო? ოპოზიცია მოითხოვდა ცენტრალური საკონტროლო კომისიისგან, რომ იგი მაღლა დამდგარიყო ცეკაზე და ოპოზიციაზე ან, უკეთესი იქნებოდა, იგი ყოფილიყო ოპოზიციასთან ერთადო! ოპოზიცია მოითხოვდა, რომ ცენტრალური საკონტროლო კომისია არა ჰქონდა არავითარი პოლიტიკური ფიზიონომია, როგორც ცუდ მაჭანკალს ერბინა ერთი მხარიდან მეორე მხარესთან, რომ რამენაირად შეერიგებია ისინი. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ, პირველ ყოვლისა, უნდა იყო ბოლშევიკ-ლენინელი, შემდეგ შეგიძლია იყო ცენტ. საკონტ. კომისიის წევრი ან ცეკას წევრი, ან სარაიონო კომიტეტის, უჯრედის და ასე შემდეგ. ოპოზიცია კი ჩვენგან—ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრებისაგან მოითხოვდა ხელი აგვეღო ბოლშევიკობაზე. ჩვენ ვსთვლიდით და ვსთვლით, რომ ყოველ ბოლშევიკს უნდა ჰქონდეს თავისი შეხედულებანი, პარტიის ყველა ორგანოს უნდა ჰქონდეს თავისი პოლიტიკური ფიზიონომია. ვიცავდით რა პარტიის სრულიად გარკვეულ პოზიციას, ჩვენ ყოველგვარ ღონისძიებას ვღებულობდით, რომ შეგვენარჩუნებია ოპოზიციონერები პარტიისათვის. მე-14 ყრილობიდან დაწყებული ოპოზიცია მუდამჟამს აწარმოებდა ფრაქციულ ბრძოლას, პარტიის მე-14 ყრილობის სხდომების დღეებში იგი ბრძოლას აწარმოებდა ლენინგრადში და მე-14 ყრილობის დამთავრების მეორე დღესვე იგი ბრძოლას აწარმოებდა იმისათვის, რომ ლენინგრადელი ამხანაგები, ლენინგრადის ორგანიზაცია არ დამორჩილებოდა პარტიის ყრილობას. აბა სხვა რა უნდა ექნა ცენტრალურ საკონტროლო კომისიას, თუ არა ის, რომ მოსთხოვა ოპოზიციის ბელადებს, რომ მათ არ დაერღვიათ ყრილობის დადგენილებანი. რა უნდა ექნა ცენტრალურ საკონტროლო კომისიას მას შემდეგ, როცა ისინი ლენინგრადში განაგრძობდენ აშკარა ბრძოლას, ხოლო რამოდენიმე თვის შემდეგ ისინი გადავიდენ ტყეში კრებების მოწყობაზე? შეექო? ეთქვა ლაშევიჩისათვის, რომ იგი ძალიან კარგად იქცევა? რასაკვირველია, არა. იგი მოვალე იყო და გააფრთხილა კიდეც ლაშევიჩი, რომ ასეთი მოქმედება ბოლშევიკური პარტიაში დაუშვებელია, გააფრთხილა და წინადადება მისცა ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიას გამოერიცხა იგი ცეკას კანდიდატების შემადგენლობიდან.

გადის რამოდენიმე თვე და 1926 წლის ოქტომბერში ოპოზიცია ახდენს ცდას თავზე მოახვიოს დისკუსია მთელ პარტიას. იწყება სადისკუსიო ციებ-ცხელება. ოპოზიციის ბელადები დარბიან ერთი ქარხნიდან მეორეში, მოსკოვიდან ლენინგრადში, ლენინგრადიდან მოსკოვში. დამარცხებულნი, განადგურებულნი პარტიის უბრალო წევრების მიერ, ისინი აკეთებენ 16 ოქტომბრის განცხადებას, სადაც ამბობენ, რომ ხელს იღებენ ფრაქციულ ბრძოლაზე და აღუთქვამენ პარტიას, რომ მომავალში ამას აღარ ჩაიდენენ. თუ, ამხანაგებო, 16 ოქტომბრის წინ მთელი რიგი ამხანაგები გამორიცხულ იქნენ პარტიიდან პარტიულ დისციპლინის დარღვევისათვის, 16 ოქტომბრის განცხადების შემდეგ, საკონტროლო კომისიამ გააკეთა პირდაპირ ყველაფერი, რომ აღედგინა ეს ამხანაგები პარტიაში და დაუსვა მათ მხოლოდ ერთი პირობა: აღარ ეწარმოებიათ ფრაქციული ბრძოლა. ჩვენ გვიხდებოდა ზოგიერთ ამხანაგებთან სამ-სამი დღე გვეწარმოებია მოლაპარაკება, რომ დაგვეთანხმებია ისინი პარტიაში დარჩენაზე. არ ვიცით, შესაძლებელია ყრილობამ გვითხრას ჩვენ: „ვინ მოგანდოთ თქვენ ამდენხანს გართულიყავით იმ ხალხის საქმით, რომელსაც არ სურს პარტიაში დარჩენა". მაგრამ მე მოგახსენებთ იმას, რაც იყო. მე და სოლცი მთელი ერთი კვირა ვეჩიჩინებოდით ვლადიმერ სმირნოვს (**ხმა: „მეტის-მეტი პატივისცემაა!"**), რომ მას უარი ეთქვა იმ დაუშვებელ განცხადებაზე, რომელიც მან გააკეთა ცენტრალურ საკონტროლო კომისიის სხდომაზე, და ამით მოეცა ჩვენთვის საშუალება გაგვეუქმებია მოსკოვის საკონტროლო კომისიის დადგენილება და დაგვეტოვებია ის პარტიაში. ასეთი წესით ჩვენ აღვადგინეთ ყველა გამორიცხულთა თითქმის 90 პროცენტი, რის გამოც გვხვდებოდა მაშინ საყვედურები: რა არის ეს, ჩვენ ვებრძვით ოპოზიციონერ - გამთიშველებს, ვრიცხავთ მათ პარტიიდან, ცენტრალური საკონტროლო კომისია კი მათ ისევ უკან ღებულობს. ასე იყო ზოგიერთ რაიონებში, მაგალითად, ამიერ-კავკასიაში, სადაც ბლომად იყვნენ პარტიიდან გამორიცხულები, რომლებიც უთუოდ ღირსი იყვნენ გამორიცხვისა, ჩვენ კი თითქმის ყველა აღვადგინეთ (**ხმა: „ცუდათ გიქნიათ"**). ვიცი, რომ ამისთვის ქებას ვერ დავიმსახურებთ, მაგრამ ამას იმიტომ კი არ მოგახსენებთ, რომ შეგვაქოთ, ან გვაგინოთ. ამას მოგახსენებთ იმიტომ, რომ დაგიმტკიცოთ, რომ ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რათა გაგვეადვილებია ამხანაგებისათვის თავისი 16 ოქტომბრის განცხადების შესრულება.

მათ მიაფურთხეს ყველაფერ ამას და ჩვენი ასეთი დამოკიდებულება ჩასთვალეს ჩვენ უძლურებად, ჩვენ სისუსტედ. შეთხზეს ყოველგვარი ლეგენდები უთანხმოებათა შესახებ ცენტრალურ კომიტეტში. ამის შემდეგ ადგილი ჰქონდა ზინოვიევის ცნობილ გამოსვლას კოლონებიან დარბაზში „პრავდა"-ს იუბილეს დღეს, როცა მან უპარტიოთა კრებაზე გაილაშქრა ცენტრალურ კომიტეტის წინააღმდეგ. ამის შემდეგ — დემონსტრაცია იაროსლავის სადგურზე, ეხლა, რასაკვირველია, იაროსლავის სადგური 7 ნოემბერთან შედარებით არაფრად ჩანს, მაგრამ მაშინ ეს იყო პირველი გამოსვლა ქუჩაში. ჩვენ ვაფრთხილებდით ამხანაგებს: თავი დაანებეთ დემონსტრაციას იაროსლავის სადგურზე, თორემ თქვენ შეიძლება მიხვიდეთ კრემლის კარებთან, ვინაიდან იაროსლავის სადგურიდან კრემლამდე უმნიშვნელო მანძილია. მაშინ პარტიის წინაშე ჩვენ დავსვით ეს საკითხი, რომელიც განხილულ იქნა ყველა უჯრედებში და მოვითხოვეთ ზინოვიევის და ტროცკის გამორიცხვა ცეკადან.

აგვისტოს პლენუმზე და მის წინ ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის სხდომაზე, როცა ჩვენ ზინოვიევსა და კამენევისაგან მოვითხოვეთ განმარტებები, მათ არამც თუ არ სცნეს, რომ ეს დაუშვებელია, არამედ აბუჩად იგდეს პარტია და მისი ორგანოები. მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ მაინც მხოლოდ მივიღეთ გადაწყვეტილება დაგვესვა ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე საკითხი მათი ცეკადან გამორიცხვის შესახებ, რითაც მათ კიდევ ერთხელ ვაძლევდით საშუალებას ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე მაინც გამოესწორებიათ თავისი დანაშაული და ხელი აეღოთ თავიანთ დაუშვებელ მოქმედებებზე. აგვისტოს პლენუმზე ჩვენ იმ დღეს ვეღოლიავეთ ოპოზიციას, წავედით მაქსიმალურ დათმობებზე, რომ დაგვეტოვებია ისინი ცეკაში. რა რიგ შემცდარი და დაუშვებელი არ იყო ოპოზიციონერების მოქმედებანი, —ჩვენ მაინც ვცდილობდით დაგვეტოვებია ისინი ცეკაში. ამ პლენუმის მონაწილეებს მშვენივრათ ახსოვთ, თუ როგორი განწყობილება იყო ამ დარბაზში, როცა მე პლენუმს მოვახსენე კომისიის სახელით მისი წინადადებები, ახსოვთ, რომ მთელი პლენუმი მოითხოვდა მათ გამორიცხვას. დიდი ღონისძიებები დაგვჭირდა, რომ პლენუმს მიეღო კომისიის წინადადებები.

ოპოზიცია გათავხედდა

როგორ შეაფასა ოპოზიციამ ეს ნაბიჯი? მეორე დღესვე მათ გაავრცელეს ხმები: ცეკა და ცენტრალური საკონტროლო კომისია სუსტნი არიან, ხელები მოკლე აქვთ. ვერ ბედავენ და ხელს ვერ გვახლებენო. მეორე დღეს აგვისტოს პლენუმის შემდეგ ჩვენ ველაპარაკეთ კამენევს: „ფრთხილად იყავით კამენევო, ნუ ახსნით ასე ჩვენს მოქმედებას, თორემ ეს ახსნა საბედისწერო იქნება". მაშინ კამენევმა გვიპასუხა: „არა, ეხლა ყოველ მიზეზს გარეშე უნდა დავიცვათ ის დაპირება, რომელიც ჩვენ მივეცით ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიასო. მეორედ—16 ოქტომბერს ეს განმეორდა, მაგრამ მესამედ ამას აღარ შეიძლება ექნეს ადგილი. სწორედ ასე მოხდა. მესამედ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა.

შემდეგ — ოქტომბრის პლენუმი და ახალი გაფრთხილება. მათ ყველაფერ ამას მიაფურთხეს. იმ დაპირებების შესრულების მაგიერ, რომელიც მათ მოგვცენ ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმზე, ისინი აწყობენ არალეგალურ სტამბას. ამ სტამბის ირგვლივ თავს იყრის ყოველგვარი არამზადა და თეთრგვარდიელი სიბინძურე. და როცა მათ ელაპარაკებიან ამის შესახებ, ისინი ხელდებიან: როგორ, ჩვენ ჩვენ ბრალს გვდებთ შეთქმულებაში? არა შეთქმულებაში, არამედ იმაში, რომ თქვენ ხდებით სათამაშო იარაღი მესამე ძალის ხელში. აი, რას ვამბობდით ჩვენ. როცა შაროვისა და პრეობრაჟენსკისაგან მოვითხოვეთ ახსნა-განმარტება სტამბის შესახებ, მათ გაგვიცხადეს: „ჩვენ ვაცხადებთ, რომ ამ საქმეში პასუხისმგებლები და ორგანიზატორები ვართ ჩვენ, ქვემოდ ხელისმომწერნი. ჩვენი კავშირი ამ უპარტიოებთან შემთხვევითი არ არის"-ო. და შემდეგ: „ჩვენ მოვითხოვთ ამ საქმეზე დაპატიმრებულთა განთავისუფლებას, ვინაიდან ყველაფრის პასუხისმგებელნი ვართ ჩვენ"-ო (**პრეობრაჟენსკი, სერებრიაკოვი და შაროვი**).

ეხლა ოპოზიცია ხშირად იმოწმებს ლენინს და ამბობს, რომ ლენინის დროს ასე იყო, ეხლა კი არ არის ასეო. ეს მართალია: ლენინის დროს არ იყო ასე. ლენინის დროს რომ ვისმეს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისაგან ფარულად მოეწყო სტამბა, მაშინ დაინახავდით, თუ რას უზამდა მას ილიჩი.

ის არ გამართავდა მათთან მოლაპარაკებას პლენუმზე და პარტიულ ყრილობაზე, არამედ უჩვენებდა მათ სულ სხვა ადგილს (**ტაში**), შემდეგ არალეგალური კრებები მოსკოვში და სხვა ქალაქებში, სადაც თავს იყრიდენ მხოლოდ მათი მომხრეები, და როდესაც ამ კრებაზე მიდიოდა მოსკოვის კომიტეტის წევრი, ცეკას წევრი და პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ამხ. უგლანოვი, მას იქ არ უშვებდენ. არ უშვებდენ ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრებსაც. და შემდეგ, — როდესაც ოპოზიციონერები სცილდებიან ყოველგვარ საზღვარს, — ჩვენ ვხედავთ 7 ნოემბრის დემონსტრაციის ცნობილ ცდას. სად მომხდარა ეს, როდის მომხდარა ეს ჩვენს პარტიაში, რომ ჩვენ პარტიის წევრების უმნიშვნელო ჯგუფი გამოსულიყო ქუჩაში ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავზე და მოეწყო დემონსტრაცია ცეკას წინააღმდეგ და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ? ასეთ პირობებში, არა თუ არ შეიძლება ლაპარაკი მათი დატოვების შესახებ პარტიაში, არამედ საერთოდ იბადება კითხვა, რა ვუყოთ ამ ხალხს? (**ტაში**).

აქ კამენევი ლაპარაკობდა მრაჩკოვსკის დაპატიმრების შესახებ და აღშფოთებას გამოსთქვამდა. როგორ ფიქრობთ, საპყრობილეში მრაჩკოვსკის ჩასმა ძალიან ესიამოვნებოდა რომელიმე ჩვენთაგანს? განა არ ვიცით ჩვენ, რომ მრაჩკოვსკი იბრძოდა კოლჩაკის წინააღმდეგ? რა თქმა უნდა, ვიცით. მაგრამ, როდესაც მრაჩკოვსკი, რომელიც იბრძოდა კოლჩაკის წინააღმდეგ, ეხლა იწყებს ბრძოლას ჩვენი ცეკას წინააღმდეგ, ჩვენი საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, რა გამოსავალი გვრჩება ჩვენ? არ არის სხვა გამოსავალი, როგორაც არ უნდა გვსურდეს ჩვენ მისი გამონახვა, გარდა იმისა, რომ მრაჩკოვსკი ჩავსვათ საპყრობილეში (**ტაში**). რევოლიუცია, ამხანაგებო, სახუმრო საქმე როდია. თუ იმ პარტიას, რომელიც რევოლიუციას ხელმძღვანელობს, შერყევა დაუწყეთ, შეიძლება ყოველი რევოლიუციის დაღუპვა, როგორც ამბობდა ვლადიმერ ილიჩი. ჩვენ არ გვაქვს არავითარი უფლება, დაუშვათ რომ ჩვენს პარტიას, ჩვენს რევოლიუციას ვინმე არყევდეს. ოპოზიციის მოქმედება კი სწორედ ამას იწვევს. მე მაშინ არ მქონდა საშუალება აქ ვყოფილიყავი, მე ავად ვიყავი და ოპოზიციამ გადასწყვიტა, რომ ჩემი ავადმყოფობა დიპლომატიური ხასიათისაა (**სიცილი. ხმა: „ეს მათ გაავრცელეს ასეთი ხმა"**).

მე მაშინ არ მქონდა საშუალება აქ ვყოფილიყავი და მაშინვე მივსწერე ამხანაგებს, როდესაც მე მაცნობეს სტამბის შესახებ, რომ ეს ხალხი უცხო ხდება ჩვენთვის. თუ ისინი ფიქრობენ ასე განაგრძონ, მაშინ გინდა თუ არ გინდა ჩვენი გზები უნდა გაიყაროს. ვერაფერს ვერ იზამ (**ხმები: „მართალია"**).

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა, სანამ ის გამორიცხავდა ზინოვიევსა და ტროცკის, მათ წაუყენა ასეთი მოთხოვნა: ხელი აეღოთ არალეგალურ კრებებზე. მხოლოდ ერთი მოთხოვნა: ხელი აეღოთ არალეგალურ კრებებზე. გამოდით უჯრედებში და კრებებზე, განავითარეთ თქვენი პლატფორმა, ქენით რაც გენებოთ. ჩვენ არ მოვითხოვთ ფრაქციის დაშლას და იმ შეხედულებათა უარყოფას, რომლებიც შეუთავსებელია პარტიაში ყოფნასთან მხოლოდ ხელი აიღეთ არალეგალურ კრებებზეო. როგორ ფიქრობთ, მიუღებელია ეს მოთხოვნა? რა არის ეს—ხალხის აკუწვა? ერთ პარტიაში ვზივართ და გეუბნებით: შეგიძლიათ განავითაროთ თქვენი შეხედულებები, გამოხვიდეთ აშკარად კრებებზე, მხოლოდ ხელი აიღეთ არალეგალურ კრებებზე.

როგორ გვიპასუხეს მათ მაშინ? თქვენ რევოლვერს გვადებთო—განაცხადეს მათ, გვაცალეთ მოვიფიქროთ, ვიმსჯელოთ და სხვ. რომ პასუხი გასცე ისეთ კითხვაზე, როგორიც არალეგალურ კრებებზე ხელის აღება, თურმე საჭიროა შეჰკრიბო თავისი არალეგალური ცეკა, იმსჯელო, მოიფიქრო, და მხოლოდ მაშინ გასცე პასუხი. პარტიისადმი ასეთ დამოკიდებულების დროს ერთ პარტიაში ყოფნა არ გამოდგება.

ისინი ამბობენ, რომ ჩვენ მათ ნება არ დავრთეთ დაებეჭდათ მათი პლატფორმა. მაგრამ ცეკამ და ცენტრ. საკონტროლო კომისიამ გადასწყვიტეს: დისკუსია დაიწყება ერთი თვის წინ მე-15 ყრილობის მოწვევამდე პარტიის წესდების თანახმად. არაფერი წესდების საწინააღმდეგო, არაფერი ისეთი, რაც პარტიისათვის მიუღებელი იყოს, ამაში არ ყოფილა. რა ჰქნეს მათ?

მათ წარმოგვიდგინეს პლატფორმა, რომელიც წარმოადგენს ახალი პარტიის პროგრამას, სადაც 72 გვერდზე სახელს უტეხენ ჩვენს პარტიას და ცეკას. და მოითხოვენ, რომ ჩვენ ის დაუყოვნებლივ გამოგვექვეყნებია. ორი კვირის წინ კი პოლიტბიუროში წარმოდგენამდე მათ ეს პლატფორმა თურქესტანში გაგზავნეს, რა თქმა უნდა, გასავრცელებლად, და არა სარედაქციოთ. როდესაც ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ უპასუხა მათ, რომ დისკუსია იწყება 1-ლ ნოემბერს და მაშინ შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი კონტრთეზისები, რომ ასეთია პარტიის გადაწყვეტილებაო, მათ მიაფურთხეს ამას. მოაწყვეს თავისი არალეგალური სტამბა და არალეგალურად დაიწყეს თავისი პლატფორმის ბეჭდვა.

უნდა წამოიჩოქონ

ამრიგად, პარტია იძულებული გახდა მიეღო ის გადაწყვეტილება, რომელსაც ვიდგენთ განსახილველად და გადაწყვეტილების გამოსატანად. თქვენ აირჩიეთ კომისია. ამ კომისიამ უნდა განიხილოს მთელი ის მასალები, რომელიც იმყოფება ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის განკარგულებაში, ეს კომისია მოგახსენებთ თქვენ, თუ როგორ დასკვნებს გამოიტანს ის. მე მინდა მხოლოდ ერთი ვთქვა,—თუ ოპოზიცია, იმ რეზოლიუციის შემდეგ, რომელიც მიღებულ იქნა აქ, კიდევ ფიქრობს დაიცვას თავისი შეხედულებები, რომლებიც შეუთავსებელია ჩვენი პარტიის პროგრამასა და ჩვენი ყრილობის გადაწყვეტილებებთან, მაშინ ჩვენ სალაპარაკო აღარაფერი გვაქვს და დროც აღარ უნდა დავკარგოთ. საჭირო აღარ არის მთელი იმ ნაგავის ქექა, რომელიც გაავრცელა ოპოზიციამ მთელს ჩვენს ქვეყანაში,—ოპოზიციის გარდა ჩვენ ხომ გვაქვს საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც მოითხოვს უდიდეს ძალების დაჭიმვას, მის წინაშე სდგას მთელი რიგი ამოცანები, რომლებიც ყრილობამ უნდა გადასჭრას.

ამ ყრილობას, ამხანაგებო, მის საქმიან მუშაობას, ყურადღებას აქცევენ არა მარტო აქ, ჩვენში, არამედ მთელს მსოფლიოშიაც. უნდა გადავიდეთ საქმიან მუშაობაზე, ოპოზიციას კი უნდა ვუთხრათ პირდაპირ და გადაჭრით: ჩვენი გადაწყვეტილება ასეთია — ან მთლიანად და სავსებით განიარაღება და თქვენ რჩებით ჩვენს რიგებში, ან თუ თქვენ გინდათ უბეში ქვა დაიტოვოთ, მაშინ ჩვენი გზები იყრება (**ხმა: „მართალია", ტაში**).

კამენევმა ილაპარაკა პრესტიჟზე და იმაზე, რომ როგორ შეიძლება უარვყოთ ის, რასაც გუშინ ვქადაგებდით და როგორ შეიძლება ვსთქვა, რომ ყოველივე ის, რასაც გუშინ ვსწერდი, ყველა ჩემი თეზისები არაფრად არ ვარგაო. რასაკვირველია, უკეთესი იქნებოდა, რომ ეს თეზისები არ დაეწერა (**ხმები: „მართალია"**). რასაკვირველია, უკეთესი იყო ხელი მოეწერათ ჩვენს თეზისებზე და ჩვენთან ერთად ეწარმოებიათ მუშაობა, როგორც ეს იყო წარსულში, მაგრამ ეს მათ არ მოისურვეს. თუ თქვენ ამხანაგებო, ლაპარაკობთ პრესტიჟზე, ვისი პრესტიჟი უფრო მნიშვნელოვანია—პარტიის თუ ოპოზიციის? ჩვენ, რასაკვირველია, გადაჭრით შეგვიძლია ვსთქვათ: უპირველეს ყოვლისა ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიის პრესტიჟს, პარტიის ინტერესებს (**ტაში**). თუ ამხანაგებო, თქვენ იფიქრებთ, რომ ჩვენ უნდა დაგემორჩილოთ, მაშინ იცოდეთ, რომ ეს არ მოხდება. რას წარმოადგენდა დემონსტრაციის მოწყობის ცდა ოქტომბრის დღეებში? ეს იყო უდიდესი შანტაჟი. დაუშვებელი შანტაჟი. რის იმედი უნდა ჰქონოდათ მათ? იმის იმედი, რომ მხოლოდ ქუჩაში გამოსვლით შეიძლება მთელი მუშათა კლასის განწყობილების შეცვლა, ამის იმედი შეიძლება ექნეს მხოლოდ რეგვენს. ისინი არ არიან რეგვენები. (**ხმები: „ეს იყო მემარცხენე ესერთა ავანტიურა"**). მაშ რაშია საქმე? მათ უნდოდათ განგაშის ატეხვა, რომ აი, ხედავთ, სადამდე მივდივართ, არაფრის წინაშე არ ვსდგებითო, და ქონდათ იმის იმედი რომ მაშინ დაუთმობდენ მათ და მთელი პარტია დაიჩოქებდა ამ პატარა ჯგუფის წინაშე. უკაცრავად ბრძანდებოდეთ, ბოლშევიკური პარტია არ არის ნაჩვევი დაიჩოქოს მუხლებზე, მას თვითონ დაუჩოქებია ბევრი ვინმე და მომავალშიაც არა ერთხელ დააჩოქებს (**ხმები: „მართალია". ტაში**).

ამხ. ს. ორჯონიკიძე

ჩვენი სახელმწიფო აპარატი

როგორი უნდა იყოს სახაპარატი

ნება მომეცით ამით დავამთავრო ჩემი მოხსენების ეს ნაწილი — ამბობს ამხ. ორჯონიკიძე,— და გადავიდე მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის ანგარიშზე. ნება მომეცით გავაკეთო რამოდენიმე წინასწარი შენიშვნა.

როცა ეხლა ჩვენს აპარატზე ამბობენ, რომ ის არაფრად არ ვარგაო, ამაში, რასაკვირველია, ბევრი რამ არის მართალი. მაგრამ როცა სურთ ამაში დაინახონ ცეკას დანაშაული, პარტიის დანაშაული, ეს არ არის მართალი. ეს არა იმიტომ, რომ ჩვენ გვინდა ბრალდების აცილება. მე უკვე ერთი წელია ამ დარგში ვმუშაობ და ბევრი ვაგინე ჩვენი აპარატი, ვფიქრობ, რომ მომავალშიაც უნდა ვაგინოთ და გავაუმჯობესოთ საქმე. ეს აუცილებელია.

მაგრამ იმის გამოსარკვევად, თუ რატომ არის ჩვენი აპარატი ასეთი, ჩვენ უნდა მივიხედოთ უკან და მოვიგონოთ, თუ რა იყო, რისგან შევქმენით ეს, როგორი იყო მაშინ იგი და როგორია ეხლა.

ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი სახელმწიფო აპარატი შევადაროთ, მაგალითად, გერმანიის, საფრანგეთის, ან სხვა რომელიმე სახელმწიფოს აპარატს (**ხმა ადგილიდან: „იგი მაინც გაუმჯობესდა, უკეთესი გახდა"**). რასაკვირველია, ჩვენი უკეთესია (**სიცილი**). აი, რას სწერდა ლენინი ოქტომბრის წინ:

„არა პარლამენტარული რესპუბლიკა,—მუშათა დეპუტატების საბჭოებიდან მისკენ დაბრუნება იქნებოდა ნაბიჯი უკან,—არამედ მუშათა, მოჯამაგირეთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკა მთელს ქვეყანაში ქვევიდან ზევით, სადაც პოლიცია, არმია და ჩინოვნიკობა გაუქმებულია (ესე იგი მუდმივი არმიის შეცვლა ხალხის საყოველთაო შეიარაღებით). ყველა ჩინოვნიკების სამუშაო ხელფასი არ აღემატება კარგი მუშის საშუალო ხელფასს. ამასთანავე ისინი არიან არჩეულნი და მათი შეცვლა ყოველთვის შეიძლება" (ლენინი. თხზულებათა კრებული. ტომი XIV ნაწილი პირველი, გვ. 18 და 19).

შემდეგ ანვითარებდა რა ამ აზრს თავის წიგნაკში: „შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები ძალაუფლებას", იგი სწერდა:

„საბჭოები ახალი სახელმწიფო აპარატია, რომელიც, ჯერ ერთი, იძლევა მუშათა და გლეხთა შეიარაღებულ ძალას, ამასთანავე ეს ძალა არ არის მოწყვეტილი ხალხისაგან, როგორც ძველი მუდმივი არმია და იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული მასთან; სამხედრო მხრივ ეს ძალა გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე წინანდელი. რევოლიუციონური მხრივ მას ბადალი არა ჰყავს. მეორე, ეს აპარატი იძლევა მასებთან და ხალხის უმრავლესობასთან კავშირის საშუალებას, იმდენად მჭიდრო განუყრელს, ადვილად შესამოწმებელი და ადვილად განსაახლებელი კავშირის საშუალებას, რომ არაფერი ამის მსგავსი არ იყო ძველ სახელმწიფო აპარატის დროს. მესამე, ვინაიდან ამ აპარატის შემადგენლობა ხალხის სურვილის მიხედვით, შეიძლება იქნას არჩეული და შეცვლილი, ბიუროკრატიული ფორმულების გარეშე, ამიტომ ეს აპარატი გაცილებით უფრო დემოკრატიულია, ვიდრე წინანდელი აპარატი. მეოთხე, იგი მტკიცედ აკავშირებს სხვადასხვა პროფესიებს და ამით აადვილებს მეტად ღრმა ხასიათის სხვადასხვა რეფორმებს ბიუროკრატიის გარეშე. მეხუთე, იგი იძლევა ორგანიზაციის ფორმებს ავანგარდისათვის, ესე იგი ჩაგრული კლასების— მუშათა და გლეხთა ყველაზე უფრო შეგნებული, ყველაზე უფრო ენერგიული და მოწინავე ნაწილის ორგანიზაციის ფორმებს და ამგვარად, იგი არის ისეთი აპარატი, რომლის საშუალებითაც ჩაგრული კლასების ავანგარდს შეუძლია გამოაფხიზლოს, აღზარდოს, ასწავლოს და გაიყოლიოს იმ კლასების მთელი გიგანტური მასა, რომელნიც დღემდე პოლიტიკური ცხოვრებისა და ისტორიის გარეშე იდგენ. მეექვსე, იგი იძლევა საშუალებას შევაერთოთ პარლამენტარიზმის სარგებლიანობა უშუალო, პირდაპირი დემოკრატიის სარგებლობასთან, ესე იგი ხალხის არჩეულ წარმომადგენლების სახით შევაერთოთ საკანონმდებლო ფუნქცია და კანონის შესრულება. ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმთან შედარებით, ეს ისეთი ნაბიჯია წინ დემოკრატიის განვითარებაში, რომელსაც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს".

ბიუროკრატიზმის მიზეზები

აი, რას უნდა შევადაროთ ჩვენი ეხლანდელი საბჭოთა აპარატი. გასაგებია, რომ ათი წლის განმავლობაში ჩვენ ვერ შევქმენით ისეთი აპარატი, როგორიც უნდა იყოს იგი ვლადიმერ ილიჩის დირექტივების თანახმად. როგორ მდგომარეობაში მოვექეცით გამარჯვების მეორე დღესვე? ჩვენ არ გვყავდა საკუთარი კულტურული და ტექნიკური ძალა. ვის შეეძლო ჩვენგან ქარხნის მართვა მაშინ? ვის შეეძლო ჩვენგან ქვეყნის მართვა მაშინ? უმრავლესობამ — ჩვენი ამხანაგების 99 პროცენტმა განა ისწავლა სადმე, თუ როგორ უნდა სახელმწიფოს მართვა? რასაკვირველია, არა. ამიტომ ჩვენ იძულებული გავხდით მეორე დღესვე მიგვემართა ჩვენი კლასობრივი მტრების ტექნიკური და კულტურული ძალებისადმი,—ძველი ჩინოვნიკობისა და ძველი ბიუროკრატიისათვის.

ამ ბიუროკრატებმა, რომლებიც ჩვენთან მოვიდენ, თან მოიტანეს თავისი ჩვეულებანი; მათ სხვა ჩვეულებანი არა ჰქონდათ და ამიტომ ვერც მოიტანდენ მათ. მაშინ ეს ბიუროკრატები ჩვენს წინააღმდეგ იყვნენ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და აშკარა საბოტაჟს უწევდენ მას. ეს ძველი მოხელეობა ცდილობდა შეექმნა ჩვენი აპარატი ძველის მსგავსად. იგი გარეგნულად ხშირად იღებდა ჩვენს სახეს, მაგრამ მისი შინაარსი ძველი რჩებოდა. ლენინმა ასე დაახასიათა ეს პერიოდი:

„ეს ძველი ბიუროკრატიული ელემენტი ჩვენ გავრეკეთ, მაგრამ ბიუროკრატებმა იწყეს საბჭოთა დაწესებულებებში გადასვლა, ბიუროკრატიზმის გატარება, კომუნისტებად მონათვლა და უკეთესი კარიერის გასაკეთებლად შოულობენ კომპარტიის საწევრო ბილეთებს. ისინი ერთი კარიდან გავრეკეთ, მეორიდან შემოძვრენ. უპირველეს ყოვლისა აქ თავს იჩენს კულტურული ძალების ნაკლებობა. მათი დაშლა შეიძლებოდა, მაგრამ უცებ არ შეიძლება მათი ხელახალი აღზრდა. აქ ყველაზე უწინ ჩვენს წინაშე სდგება ორგანიზაციული, კულტურული, აღმზრდელობითი ამოცანები. ბიუროკრატიზმთან ბრძოლა ბოლომდე, სრულ გამარჯვებამდე შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მთელი მოსახლეობა მონაწილეობას მიიღებს მმართველობაში".

ახლა რაღაა, ამხანაგებო? თუ აიღებთ დღევანდელ აპარატს, განა ის ისეთი არ არის, როგორც მაშინ ლენინმა დახატა? თუ დავსვამთ მეორე საკითხს: ასეთ მდგომარეობაში შეეძლო თუ არა ჩვენს აპარატს ბიუროკრატიული სიმახინჯე არ ჰქონოდა, შეიძლებოდა თუ არა იმედი გვქონოდა, რომ ბიუროკრატიზმი ნაწილობრივ არ აღორძინდებოდა? ამაზე უნდა ვუპასუხოთ, რომ ბიუროკრატიზმის ნაწილობრივი აღორძინება ისევე აუცილებელი იყო, როგორც ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემდეგ აუცილებელი იყო ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის ნაწილობრივი აღორძინება.

ბიუროკრატიზმის ეკონომიური ფესვები ძევს ჩვენს სიღატაკეში, ტექნიკურ ჩამორჩენილობაში და გლეხობის დაქსაქსულობაში.

სახაპარატი და ოპოზიცია

აი თუ ამჟამად დავსვამთ საკითხს: აი, დღის როგორია ეს აპარატი, როგორია ამ ჩვენი სახელმწიფო აპარატის მიმართულება, საითკენაა ის მიმართული, ბიუროკრატიზმის სულ უფრო და უფრო გაძლიერებისაკენ, თუ პირიქით? მასების ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ძლიერდება თუ პირიქით? აპარატი ამჟამად ჩვენი თუ სხვისი? შევსძელით თუ არა ჩვენ 10 წლის განმავლობაში გვაიძულებია საბჭოთა აპარატი, რომ მას ემუშავნა პროლეტარიატისა და სოციალისტურ სამშენებლოს სასარგებლოდ, თუ, პირიქით, აპარატი მაინც თავისებურად მიდის და გვიქმნის დაბრკოლებებს, რომ კისერი მოგვატეხინოს? აი თუ დავსვამთ ამ საკითხებს, ოპოზიციისგან მიიღებთ ასეთ პასუხს: „რა მიმართულებით ვითარდება უკანასკნელ წლებში საბჭოთა სახელმწიფოს აპარატი: გაპარტიავების, გაიაფების, გამუშურების და ქალაქისა და სოფლის მშრომელებთან დაახლოების მიმართულებით, მმართველისა და იმათ შორის, ვისაც მართავენ, მანძილის შემცირების მიმართულებით თუ არა? როგორ არის მეტი თანასწორობის გატარების საქმე ცხოვრების პირობებში, უფლებებში და მოვალეობებში? მივდივართ თუ არა ჩვენ ამ დარგში წინ? აშკარაა, რომ არც ერთ ამ კითხვაზე არ შეიძლება დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა. ბიუროკრატიზმთან ეხლანდელი ოფიციალური ბრძოლა, რომელიც არ ეყრდნობა მშრომელთა კლასიურ აქტივობას, რომელიც სცდილობს მის შეცვლას თვით აპარატის ღონისძიებებით, არ იძლევა და არც შეუძლია მოგვცეს თვალსაჩინო შედეგები, ბევრ შემთხვევებში კი ხელსაც უწყობს ბიუროკრატიზმის გაძლიერებას" (ოპოზიციის პლატფორმიდან).

შემდეგ მათ მოყავთ ვლადიმერ ილიჩის ცნობილი გამოთქმა მანქანის შესახებ. აი, რას ამბობდა ის მაშინ: „შესძელით კომუნისტებო, მუშებო, პროლეტარიატის შეგნებულო ნაწილო, რომელმაც იკისრე სახელმწიფოს მმართველობა, შესძელით ისე მოიქცეთ, რომ ის სახელმწიფო, რომლის მმართველობა თქვენ ხელთ აიღეთ, მოქმედებდეს თქვენი ნების მიხედვით. აი ჩვენ ერთ წელიწადს გადავაცილეთ და სახელმწიფო ჩვენს ხელშია; ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს ის იმ წელში განა ჩვენი სურვილის მიხედვით მოქმედებდა? არა. ჩვენ არ გვინდა ეს ვაღიაროთ. ის ჩვენი ნების თანახმად არ მოქმედებდა. როგორ მოქმედებდა ის? მანქანა ხელიდან გვეცლება. თითქოს ზის კაცი, რომელიც მას მართავს, მანქანა კი იქით არ მიდის, საითკენაც მას მიმართავენ, არამედ იქით, საითკენაც მას ვიღაცა მიმართავს არალეგალურად თუ უკანონოდ, სპეკულიანტები თუ კერძო მეურნეობათა კაპიტალისტები, ან ორივე ერთად. მანქანა სავსებით ისე არ მიდის, ძლიერ ხშირად კი სრულებითაც არ მიდის ისე, როგორც წარმოუდგენია იმ კაცს, რომელიც ზის ამ მანქანის საჭესთან". აი ეს ადგილი მოჰყავთ მათ და სახელმწიფო აპარატის დაპყრობის საკითხად აყენებენ ლენინის ცნობილ კითხვას „ვინ ვის?" მიუხედავად აპარატის ყველა ნაკლულოვანებისა, — ისინი კი ძალიან ბევ-

საქართველოს ეროვნული

რია, — მიუხედავად ჩვენი აპარატის ბიუროკრატიული დამახინჯებისა, — ის კი მეტად საგრძნობია,—და ხანდახან პირდაპირ უმსგავსო ხასიათს ღებულობს. —მიუხედავად ჩვენი აპარატის მეტისმეტი სიძვირისა და მრავალრიცხოვნობისა,—ჩვენ ამ კითხვაზე ვუპასუხებთ, რომ საბჭოთა აპარატი ჩვენს ხელშია იგი ემსახურება ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს; იგი ჩვენი აპარატია (**ხმა: „სწორია"**).

რას წარმოადგენს ჩვენი არმია

თქვენ გახსოვთ, ოპოზიცია განსაკუთრებით თავს ესხმოდა ჩვენს წითელ არმიას.

ზინოვიევის და ტროცკის განცხადებით, განსაკუთრებით, საპრონოვ-სმირნოვის ჯგუფის განცხადებით, ჩვენი არმია კინაღამ არ გადაიქცა რაღაც პრეტორიანელ ჯარად, რომელიც ამზადებს ნიადაგს ვინმე ბონაპარტისათვის. მართალია, ეს? თუ გადავხედავთ ჩვენს წითელ არმიას, დავინახავთ შემდეგს: საკადრო შემადგენლობაში მუშათა რიცხვი 18 პროცენტია, გლეხების— 71,3 პროც. და დანარჩენი—10,6 პროც. თუ ავიღებთ კომუნისტების რაოდენობას არმიაში, დავინახავთ, რომ 1925 წლისათვის კომუნისტები და კომკავშირელნი შეადგენდენ 22,8 პროც., 1926 წლისათვის — 29 პროც. თუ გადახედავთ არმიის ტვინს —მის საკომანდო შემადგენლობას, დაინახავთ, რომ წლიდან-წლამდე საკომანდო შემადგენლობაში პარტიულთა რაოდენობა იზრდება. 1920 წელს იყო 10,5 პროც., 1921 წელს—20 პროც., 1922 წ. —22.5 პროც., 1923 წ.—29.6 პროც., 1924 წ.—31,8 პროც., 1925 წ. —43,3 პროც., 1926 წ. — 47 პროც., 1927 წ.— 54 პროც. პარტიული შემადგენლობა საკომანდო შემადგენლობის ცალკე ჯგუფებს შორის: ასეულის უფროსთა შორის 1924 წელს კომუნისტები შეადგენდენ 41,5 პროც., 1926 წელს— 52 პროც., პოლკის უფროსებს შორის 1924 წელს კომუნისტები შეადგენდენ 41 პროც., 1926 წელს—51,2 პროც., დივიზიის უფროსთა შორის 1924 წელს — 45 პროც., 1925 წელს— 54.7 პროც., კორპუსის უფროსთა შორის 1924 წ. — 85 პროც., 1926 წელს— 85 პროც.

ამგვარად, საკომანდო შემადგენლობაში ჩვენ ვხედავთ პარტიულთა შეუჩერებელ ზრდას.

ეს არმია ჩვენია თუ სხვისი? შეიძლება, იგი მოწყვეტილია მასას? შეიძლება, იგი დაკავშირებული არ არის გლეხობასთან? შეიძლება, ჩვენი წითელი არმია მუშებს ხვდება მაშინ, როცა მუშები აწყობენ გაფიცვებს და არმია არბევს და სდევნის მათ, როგორც ეს სხვა ქვეყნებში ხდება? მე მგონია, ჩვენს ქვეყანაში არ გამოჩნდება ერთი კაციც კი, რომელსაც შეუძლია სთქვას, რომ ოდესმე ჩვენი წითელი არმია მისულა რომელიმე ქარხანაში მუშების დასაწყნარებლად. ჩვენი წითელი არმია მისულა ქარხანაში და მუშებიც მისულან ყაზარმებში იმისათვის, რომ გამოეხატათ თავიანთი ერთობა, თავისი ძმური კავშირი, განუყოფლობა. ჩვენს წითელ არმიას ისეთ დღეებში, როცა მას სჭირდება ყოველ მხრივ გამხნევება, იმ დღეებში, როცა საჭიროა მისადმი სიყვარული და თბილი გრძნობა, ასეთ დღეებში ოპოზიცია მას ჩირქსა სცხებს.

მაგრამ ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენ წითელი არმია; თუ კი იგი იძულებული გახდება, დაანახვებს მთელ მსოფლიოს, თუ როგორ უნდა სოციალისტურ სამშობლოს დაცვა.

თუ ჩვენ ავიღებთ სახელმწიფო აპარატის სხვა ორგანოებს, ყოველ ალაგას და ყველგან თქვენ დაინახავთ, რომ, მიუხედავად ყველა ნაკლულოვანებისა, იგი ჩვენია, ისეთი მოვლენები, როგორც არის საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრები, რომლებიც საფუძვლად ედება წლიდან წლამდე ჩვენს სახალხო მეურნეობის გეგმიანობას, მოწმობენ იმას, რომ საჭესთან ჩვენ ვზივართ. უდიდესი საკითხი, სახელმწიფო აპარატის შესახებ, რომელიც დასმულია ვლადიმერ ილიჩის მიერ სიტყვებში: ვინ ვის; წყდება ჩვენს სასარგებლოდ.

საბჭოთა აპარატის ეროვნულ-სოციალური შემადგენლობა

მე უკვე ვსთქვი, ამხანაგებო, ნაკლულოვანებანი ჩვენს აპარატში რამდენიც გნებავთ, იმდენია. ნება მომეცით, ეხლა გადავიდე ამ ნაკლულოვანებებზე. როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენი აპარატი მეტად მრავალრიცხოვანი და ძვირია. აპარატის რიცხვობრივი შემადგენლობა 3.722.000 კაცს აღწევს. ამ რიცხვში შედიან პროფკავშირის თანამშრომელნი და მათ შორის კულტურული მუშაკნი. თუ ავიღებთ აპარატის ადმინისტრატიულ სამმართველო ნაწილს, იგი შესდგება დაახლოვებით 2 მილიონ კაცისაგან და მისი შენახვა უჯდება ქვეყანას 2 მილიარდი მანეთი.

თუ ავიღებთ ჩვენი სახელმწიფო აპარატის ეროვნულ შემადგენლობას (ამ შემთხვევაში კი მე ვისარგებლებ საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის მიერ მოცემული მასალით), ჩვენ დავინახავთ შემდეგს: დაწესებულებების ყველა ჯგუფების მიხედვით მოსკოვში რუსებია 82,5 პროც., ებრაელები 9,4 და დანარჩენი—8,1 პროც..

თუ ავიღებთ ჩვენი რესპუბლიკების აპარატების ეროვნულ შემადგენლობას, მივიღებთ შემდეგს: უკრაინის დედა ქალაქში რუსებია 33,4 პროც., უკრაინელები—33,5 პროც., ებრაელები—30.3 პროც. და დანარჩენი—5,8 პროც.; მთელ უკრაინის რესპუბლიკაში რუსებია—17,2 პროც., უკრაინელები—54,3 პროც., ებრაელები—22,6 პროც. და დანარჩენი—5,9 პროც.. ბელორუსიაში დედაქალაქში რუსებია 6,7 პროც., ებრაელები 38,3 პროც.; მკვიდრი ეროვნება—ბელორუსები 46,3 პროც. და დანარჩენი— 8,7 პროც., მთელ ბელორუსიის რესპუბ.—რუსები 4,9 პროც., ებრაელები 30,6 პროც., მკვიდრი ეროვნება—ბელორუსები 60,4 პროც., დანარჩენები 4,1 პროც.. საქართველოში—დედა-ქალაქში—რუსები—16,1 პროც., ქართველები 47,4 პროც., ებრაელები—2,8 პროც., სომხები 26 პროც., ბერძნები—0,5 პროც., დანარჩენები—7,2 პროც., მთელს საქართველოს რესპუბლიკაში რუსები—11,4 პროც., ქართველები—59,7 პროც., ებრაელები—1,7 პროც., სომხები 15,5 პროც., ბერძნები—0,7. დანარჩენები 11 პროც.. აზერბეიჯანში დედა ქალაქში—რუსები 39,4 პროც., სომხები 18,8 პროც., ქართველები 0,[illegible] პროც., ებრაელები 10,6 პროც., თურქები 24,6 პროც., დანარჩენი ეროვნებანი 5,6 პროც.. მთელ აზერბეიჯანის რესპუბლიკაში—რუსებია 25,3 პროც., სომხები—23.8 პროც., ქართველები 0,[illegible] პროც., ებრაელები 5,8 პროც., თურქები—40,3 პროც. და დანარჩენები— 4,[illegible] პროცენტი.

დაღესტანის დედა-ქალაქში: რუსები —58.9 პროც.; ებრაელები—10.2 პროც. მკვიდრი ეროვნებანი—16 პროც., სხვები—12.9 პროც. მთელს რესპუბლიკაში. რუსები—38.4 პროც., ებრაელები—5.6 პროც., მკვიდრი ეროვნებანი— 31 პროც., სხვები—24.1. პროც. უზბეკისტანის ს. ს. რესპუბლიკაში: რუსები—61.9 პროც., მკვიდრი ეროვნება—24.7 პროც. ჩვენ ვხედავთ, რომ ზედაფენა ადგილობრივია, მაგრამ აპარატში უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ რუსები. ამიტომ ყოველგვარი ლაპარაკი ებრაელების მეტისმეტად დიდი რიცხვის შესახებ მოკლებულია ყოველგვარ ნიადაგს.

თუ ავიღებთ, როგორია კომუნისტების შემადგენლობა ჩვენს სახელმწიფო დაწესებულებებში, დავინახავთ შემდეგს: საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატში 1927 წლის მაისის პირველისათვის იყო 24.3 პროც. კომუნისტი საბჭოთა კავშირის ფინ. სახ. კომისარიატში 1927 წლის ივლისის 1-სათვის—18.[illegible] პროც., შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატში 1927 წლის ივლისის 8-სათვის—17.8 პროც., ს. მ. უ. საბჭოში 1927 წლის აპრილის 1-სათვის—20.2 პროც., გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატში 1927 წლის ივლისის 15-სათვის—22 პროც.. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში 1927 წლის ივლისისათვის—14,4 პროც.

საკავშირო რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების წევრთა შემადგენლობა სოციალურ მდგომარეობისა და პარტიულობის მიხედვით 1927 წელში შემდეგია: რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში: გლეხები—19 პროც. მუშები—54.4 პროც., მოსამსახურენი—22.4 პროც.; სხვები—4.2 პროც. უკრაინის ს. ს. რესპუბლიკაში: გლეხები—21,1 პროც., მუშები—48.9 პროც.; მოსამსახურენი—27;2 პროც., წითელ არმიელები—6.8 პროც. ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკაში: გლეხები—16.1 პროც., მუშები—19.1 პროც., მოსამსახურენი—56.1 პროც.; წითელ არმიელები—7,4 პროც.; ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში: გლეხები—6,3 პროც.; მუშები—33.5 პროც.; მოსამსახურენი—59.7 პროც. თურქმენისტანის ს. ს. რესპუბლიკაში: გლეხები—34,7 პროც.; მუშები—21.5 პროც. მოსამსახურენი—33.5 პროც.; წითელ არმიელები—8.3 პროც.; უზბეკისტანის ს. ს. რესპუბლიკაში: გლეხები 30.[illegible] პროც., მუშები—30.8 პროც.; მოსამსახურენი—29.9 პროც.; წითელ არმიელები—3.7 პროც.; სხვები—2.7 პროც. საბჭოთა კავშირის ცაკ-ში: გლეხები—21.6 პროც.; მუშები—42.3 პროც.; მოსამსახურენი—35.6 პროც. და სხვები—0.3 პროც. პარტიულობის მიხედვით: რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში: კომპარტიის (ბ) წევრები და კანდიდატები—68 პროც.; უპარტიოები—32 პროც. ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკაში: კომპარტიის (ბ) წევრები და კანდიდატები—73.5 პროც.; ლენ. ახ. კომ. კავშირის წევრები და კანდიდატები—0.4 პროც.; უპარტიოები—26.1 პროც. ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში კომპარტიის (ბ) წევრები და კანდიდატები—87,3 პროც.; უპარტიოები—12.7 პროც.; თურქმენისტანის ს. ს. რესპუბლიკაში: კომპარტიის (ბ) წევრები და კანდიდატები—74.4 პროც.; ლენ. ახ. კომ. კავშირის წევრები და კანდიდატები—0.2 პროც.; უპარტიოები—25.4 პროც.

რა ნაკლულევანებანი გვაქვს

არ მინდა თავი მოგაბეზროთ ამ ციფრებით; ამიტომ მათ თავს ვანებებ და გადავდივარ ჩვენი აპარატის ნაკლულოვანებებზე. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ, ვიდრე მუშაობას შეუდგებოდა საბჭოთა აპარატის გამოსასწორებლად, ხელი მიჰყო ამ აპარატის შესწავლას. ამავე დროს გამოირკვა შემდეგი ნაკლი: აპარატი მეტად ცენტრალიზაციაქმნილია, ყოველი უბრალო საქმისათვის საჭირო ხდება ცენტრისადმი მიმართვა; ჩვენს აპარატში არსებობს დიდი პარალელიზმი, არ არის ამსრულებელთა პასუხისმგებლობა, ზოგჯერ კი ვერ გაიგებ, თუ ვინ აგებს პასუხს მუშაობისათვის; ქაღალდების ზღვა გვახრჩობს, საქმის გაჭიანურება მეტად ძლიერია, ხშირად პარტიისა და მთავრობის დირექტივები მახინჯდება.

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო, რომელიც მოწოდებულია, რომ ხელმძღვანელობა გაუწიოს ჩვენს მრეწველობას, იძულებული იყო ასეთ უბრალო რამეებს მიჰყოლოდა: „ამონაწერი საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სხდომის ოქმიდან. დღის წესრიგი: შაქრის ტრესტის გამგეობის შუამდგომლობა, რომ მას ნება დაერთოს დაშალოს ბერდიჩევის ძველი ლითონის ჩამომსხმელი სახელოსნო". შაქრის ტრესტს უვარგისად გადაქცეული სახელოსნო თვითონ უნდა დაეშალა და გადაეყარა, ამ სრულიად უმნიშვნელო საკითხს კი სწყვეტს სახ. მეურნეობის საბჭო. მეორე საკითხი შეეხება „ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის დოქტორ გედეს ვერცხლის წყლის დგუშის დაბრუნებას და მისი ამორიცხვას სუსტი დენის ელექტრო-ტექნიკური ტრესტის საწყობო კაპიტალიდან". ესეც უბრალო რამეა. ამბობენ რამოდენიმე მანეთი ღირსო.

ურალის ოლქში გლეხმა რომ გადამდები ავადმყოფობისაგან მოკლულ საქონლის ღირებულება მიიღოს, შემდეგი ინსტანციები უნდა გაიაროს: საბეითლო-სანიტარული კომისია, საოლქო ბეითალი და კიდევ ქვემდგომი ბეითალი. გადის რამოდენიმე თვე, გლეხს საშუალება არა აქვს მკვდარი ცხენის მაგიერ სხვა ცხენი გაიჩინოს და ხშირ მისვლა-მოსვლაზე იმ თანხის მნიშვნელოვან ნაწილს ხარჯავს, რაც ცხენისათვის უნდა მიიღოს.

ვიატკის გუბერნიაში უდავო სამიწათმოქმედო საქმემ უნდა გაიაროს მაზრის და საგუბერნიო მასშტაბის 13 ინსტანცია სხვა შუათანა ინსტანციებიც რომ არ ვიანგარიშოთ.

საგუბერნიო აპარატი არამც თუ ამტკიცებს მიწათმოწყობის პროექტებს, არამედ შეაფასებს კიდეც საქმის მომზადების დონეს, დაამუშავებს თვითეულ განცხადებას. საქმე წელიწად ნახევარს —ორ წელიწადს ჭიანურდება. ასეთ მაგალითებს აუარებელს მოვიყვანდი.

შემდეგ, ამხანაგებო,— თუ სადამდე აღწევს საქმის გაჭიანურება და უმსგავსობა, შემდეგი დოკუმენტიდან სჩანს. ვინმე ინვალიდი ოვეჩკინი 7 წელიწადს ეწვალებოდა, რომ პროტეზი მიეღო. როდესაც მე ავიღე „რაბოჩაია გაზეტა", იქ წავიკითხე, რომ საქმე 1919 წელს დაიწყო, ხოლო დამთავრდა 1927 წელს. ინვალიდმა ოვეჩკინმა საჩივრით მიმართა საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა ცენტრალურ ბიუროს, კიდევ რამდენიმე თვეს მოიცადა და ბოლოს პროტეზი მიიღო. მე მოვითხოვე მთელი ეს მასალა. ამაზე საშინელს ველარაფერს წარმოიდგენს ადამიანი.

(ლარინი: მას ჯერ პროტეზი არ მიუღია).

ორჯონიკიძე: ოვეჩკინმა პროტეზი უკვე მიიღო. ეს სამგლობაა. არ შემიძლია, რომ რამოდენიმე სიტყვა არ ვსთქვა მუშათა და გლეხთა ინსპექციის აპარატის მიმართ. იმის მაგიერ, რომ სამართალში მიეცათ ამ საქმის ყველა დამნაშავეები, რომლებმაც 7 წელიწადს აწვალეს კაცი, ამხ. გერასიმოვი, რომელმაც ამ დოკუმენტს ხელი მოაწერა, სწერს: „მე მოვნახე ეს პროტეზი და ჩავაბარე მასაო", მაგრამ ამხ. გერასიმოვი მაინც საჭიროდ სთვლის ბრალი დასდოს არ საცოდავ ოვეჩკინს: ბევრს რათ სწერსო. როგორ არ დასწეროს, როდესაც პროტეზს არ აძლევენ (**სიცილი**). რა უნდა ქნას? აი, ამხანაგებო, ნაკლი, რომელიც პირდაპირ თვალში გეცემა.

სხვადასხვა დაწესებულებათა პარალელიზმი: ხშირად ერთი მეორის გვერდით ორი დაწესებულება არსებობს, რომლებიც თითქმის ერთსა და იმავე საქმეს აკეთებენ და ერთმანეთს ხელს უშლიან. მაგალითად, „გლავტექსტილი" და „ტექსტილნი სინდიკატი". „ტექსტილნი სინდიკატი", ძლიერი ორგანიზაციაა, რომელმაც ხელში ჩაიგდო საფეიქრო მრეწველობის მთელი ხელმძღვანელობა და, ჩემის აზრით,—ცუდად არ ხელმძღვანელობს. ამის გვერდით არსებობს სახ. მეურნეობის საბჭოს ერთ-ერთი განყოფილება „გლავტექსტილის" სახელწოდებით, რომელიც თითქოს მოწოდებულია, რომ საფეიქრო მრეწველობას უხელმძღვანელოს. როდესაც ეს „გლავტექსტილი", რომელიც,— ვითომდა,— ყველა ტრესტებისა და სინდიკატების სათავეში სდგას, განკარგულებას აძლევს ტრესტებს ან ფაბრიკებს, ამ განკარგულებას არავინ ასრულებს, არავინ ანგარიშს არ უწევს. ის მიმართავს სინდიკატს და სთხოვს, უბრძანოს ამა და ამ ფაბრიკას, ამა და ამ ტრესტს, რათა მისი განკარგულებანი აასრულონ.

როდესაც ჩვენ ამ საკითხს მივუდექით, ჩვენთვის ცხადი შეიქნა, რომ ორი ასეთი ორგანოს არსებობას მრეწველობისათვის ზარალის მეტი არაფერი მოაქვს; ამიტომ ჩვენ საკითხი აღვძარით, რომ „გლავტექსტილის" ლიკვიდაცია მომხდარიყო, ხოლო „ტექსტილნი სინდიკატ"-ს, რომელიც ფაქტიურად მთელი საფეიქრო მრეწველობის გამგებლად გადაიქცა, საშუალება მიეცეს ხელმძღვანელობა გაუწიოს ხსენებულ მრეწველობას. ჩვენ მაშინ ყველა დაგვეთანხმა და ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა.

ასეთივე პარალელიზმია სახალხო კომისარიატების შიგნითაც. პარალელიზმისა და ზედმეტი ცენტრალიზმის მოსპობამ საშუალება მისცა ფინანსთა სახალხო კომისარიატს გაეუქმებია 150-მდე განყოფილება და ვაჭრობის სახალხო კომისარიატის—80-მდე.

ამასთან დაკავშირებით ფინანსთა სახალხო კომისარიატში გაუქმებულია 98 ხელმძღვანელი თანამდებობა (განყოფილებათა გამგეები, მათი მოადგილენი, ქვეგანყოფილებათა გამგეები და სხვ.), ვაჭრობის სახალხო კომისარიატში კი 90-მდე ასეთივე თანამდებობა.

ავიღოთ ჩვენი ანგარიშგება, რომელმაც ყველას მოაბეზრა თავი. ეს არის უნახავი და გაუგონარი მოვლენა— ავსებენ წარმოუდგენელი რაოდენობის ქაღალდს და შემდეგ მას აწყობენ ფარდულში, ვინაიდან ნახევარ მილიონ ქაღალდის გადაღება წარმოუდგენელია.

გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატში წლიურად იხარჯებოდა 420.000 ფუთი ქაღალდი, ე. ი. ქაღალდის ცენტრალური ტრესტის წარმოების ერთი მეოთხედი. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საანგარიშგებო ფორმა ტყავის ნედლეულობის აღსარიცხავად წარმოადგენდა ვეებერთელა წიგნს 27.000 კითხვით. მხოლოდ აგრონომის ანგარიში შეიცავდა 160 ნაბეჭდ გვერდს, 20.000 კითხვას. დასწყევლოს ღმერთმა, ვის რათ უნდა ეს, ვინ დაიწყებს ამის გარჩევას?

შრომის სახალხო კომისარიატმა აიღო რეკორდი. იქ მოხერხდა ანგარიშგების შემცირება საშუალოდ 88 პროცენტით. ამ საქმეზე კი მათთან მუშაობდა 888 ინსპექტორი. ამან ცოტა დასძრა საქმე გაყინულ წერტილიდან.

ჩვენ ვსინჯეთ გავსცნობოდით, თუ რას წარმოადგენს ჩვენი სასამართლო. გამოირკვა, რომ საქმეები ჭიანურდება საშინლად დიდხანს, პასუხისგებაში ხშირად აძლევენ ადამიანებს უსაფუძვლოდ. მაგალითად, რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო სასამართლოებში 1926 წელში დამთავრებულია 1.427.776 სისხლის სამართლის საქმე. ამ საქმეებზე პასუხისგებაში მიცემულია 1.906.791 კაცი. ამ საქმეების ძლიერ დიდი პროცენტი გაუქმებულია —34,6 პროც., 25,4 პროცენტი კი პასუხისგებაში მიცემულთა გამართლებულია. მარტო რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში გაუქმებულია საქმეები და გამართლებულია 1.060.687 კაცი, ამ ხალხს კი იბარებდენ და ათრევდენ.

უკრაინა არ ჩამორჩება რ. ს. ფ. ს რესპუბლიკას. ალბად მეტოქეობა სწარმოებს. 1925—26 წლის განმავლობაში სისხლის სამართლის საქმეებზე გამოწვეულ იქნა 438.783 ბრალდებული 2.074.470 მოწმე, სამოქალაქო საქმეებზე —1.500.000 მოწმე და 5.869 ექსპერტი. სულ უკრაინაში სამოსამართლო დაწესებულებებში ერთი წლის განმავლობაში გამოწვეულ იქნა 4.011.366 კაცი, ანუ მთელი მოსახლეობის 15 პროცენტი (**სიცილი**).

ისმება საკითხი: რით არის ეს გამოწვეული —ბოროტმოქმედების გაძლიერებით ჩვენს ქვეყანაში, თუ ჩვენი დაუდევრობით? საქმების გარჩევის წესი და სასამართლოების განაჩენები მოწმობენ, რომ ბოროტმოქმედების გაძლიერებას არ აქვს ადგილი, აქ არის დაუდევრობის გაძლიერება.

მე წარმომიდგინეს ერთი დოკუმენტი. უნდა ვაღიარო, როცა მე იგი პირველად ავიღე ხელში, არ დავიჯერე. მეორედ შევამოწმებინე და ეხლა იგი წარმომიდგინეს იმ დაწესებულების გამგის ხელმოწერით, რომელსაც ეხება ეს დოკუმენტი— მოსკოვის საბაჟო. აი, აქ არის ოსტროვსკის — საბაჟოს უფროსის ხელისმოწერა. როგორ ფიქრობთ, რამდენ ინსტანციაში და რამდენ ხელში გადის ესა თუ ის დოკუმენტი, როცა გსურთ საზღვარ-გარეთიდან ჩამოსული ტვირთის მიღება საბაჟოდან? როგორ ფიქრობთ? (**ხმები: ხუთი— ექვსი, თვრამეტი**). საბაჟოს დოკუმენტი განიცდის 142 ოპერაციას (**სიცილი**), დოკუმენტი საბაჟოში გადის 33 სხვადასხვა პირის ხელში.

ამხანაგებო, როცა ჩვენ ვააშკარავებთ ჩვენი აპარატის ნაკლულოვანებებს, ზოგიერთი ფიქრობს, რომ ხმამაღლა არ უნდა ვილაპარაკოთ ამის შესახებ, ვინაიდან ამით ოპოზიცია ისარგებლებსო. პირველი, ჩვენთვის სულერთია, გაიგონებს თუ არ გაიგონებს ოპოზიცია. მეორე, ჩვენ არ უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, თუ რას იტყვის ოპოზიცია. ჩვენ ნაკლულოვანებანი უნდა გამოვასწოროთ მიუხედავად იმისა, ეწყინება თუ გაეხარდება ეს ოპოზიციას.

ამხ. სტალინი ამბობდა, რომ ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ჩვენს შემდგომ მუშაობაში არის ის, რომ ჩვენი შეცდომები არ დავმალოთ, ჩვენ თვითონვე დავინახოთ, თვითონვე გავაკრიტიკოთ, თვითონვე გამოვასწოროთ.

წარმომადგენლობათა და მათი ამოცანების შესწავლის დროს შესაძლებელი აღმოჩნდა მათი შემცირება 2.272-დან—926-მდე მთელს საბჭოთა კავშირში; ხოლო მათი შტატების შემოკლება 9.242 კაცით. გაუქმებულ წარმომადგენლობათა და დატოვებულ წარმომადგენლობათა შემცირებული შტატების შესანახად საჭირო ხარჯები შეადგენდა 23.520.000 მან. ეს ცნობები ადასტურებენ ორ ფაქტს: პირველ ყოვლისა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებობდენ წარმომადგენლობანი, რომელთა 40,8 პროცენტის არსებობა ზედმეტი აღმოჩნდა, მეორე—მათი შემცირება მოხდა მუშაობის დაუზარალებლად, ხოლო წლიურად ქვეყანას მისცა 20.000.000 მანეთზე მეტი ეკონომია.

ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოში სოციალისტური მრეწველობით საქონლის ბირჟები იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე მეფის დროს იყო. ბირჟების რიცხვი ჩვენში უდრიდა 115. დავტოვეთ 14 ე. ი გაუქმდა 101 ბირჟა, ანუ 99 პროცენტი. ეს გვაძლევს წლიურად 11.500.000 მანეთის დაზოგვას. როცა ჩვენ დავაყენეთ საკითხი მათი ლიკვიდაციის შესახებ; შექმნეს ყვირილი, რომ უმათოდ ვერაფერს გავხდებითო; ჩვენ მაინც გავაუქმეთ და [illegible].

რას აკეთებდა მ. გ. ინსპექცია მთელი წლის განმავლობაში დასახელებული ნაკლულოვანებების აღმოსაფხვრელად? მ. გ. ინსპექციამ გამოიკვლია და შეისწავლა საქმეების მოძრაობა საბჭოთა კავშირის სახ. კომ. საბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოში იმ მიზნით, რომ ეს ორგანოები გაგვენტვირთა იმ საქმეებისაგან, რომელთა გადაცემა საბოლოო გადაწყვეტილებისათვის წარმატებით შეიძლებოდა რესპუბლიკების კომისარიატებზე. სათანადო კანონი მთავრობიდან უკვე გამოიცა და ტარდება ცხოვრებაში. უმაღლესი ორგანოების რამდენიმეთ გაუტვირთვა და სახ. კომისარიატების უფლებათა გაფართოება მიღწეულია. ეს საქმე საჭიროებს კიდევ შესწავლას და ზედიდან ქვევით გატარებებს. ,

(ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენების დასასრული არ არის მიღებული)

კამათი ცენტრ. საკ. კომისიის და მუშგლეხინსპექციის მუშაობის გარშემო

7 დეკემბრის საღამოს სხდომა

7 დეკემბრის საღამოს სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. ორჯონიკიძის მოხსენების გარშემო. პირველად ილაპარაკა ამხ. ზატონსკიმ (უკრაინა).

ამხ. ზატონსკის სიტყვა

ამხ ზატონსკი ცენტრ. საკონტრ. კომისიას [illegible] ოპოზიციასთან ბრძოლაში, პარტიის ერთიანობის დაცვისათვის ბრძოლაში, სცემს [illegible]. ცენტრ. საკონტ. კომისიას არ შეიძლება უსაყვედუროთ ლმობიერება, გულჩვილობა, რომელიც მან გამოიჩინა ოპოზიციისადმი, ვინაიდან დასაწყისში შეიძლებოდა გვქონოდა იმედი იმისა, რომ ოპოზიცია არ მივიდოდა ახალი პარტიის შექმნამდე, რომ იგი დაბრუნდებოდა პარტიის რიგებში.

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უდიდესი მუშაობა ჩაატარა უპირველეს ყოვლისა თვით მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის მეთოდების შეცვლის დარგში. წვრილმანებთან, სახელმწიფო აპარატის ცალკე ნაკლულოვანებებთან ბრძოლიდან მუშათა და გლეხთა ინსპექცია გადავიდა ამ აპარატის გამოკვლევის სისტემატიურად გაღრმავებაზე, ძირითადი საკითხების გამოკვლევაზე, რომელთა გადაწყვეტამ უდიდესი მნიშვნელობა მოგვიტანა. სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაობის გამოკვლევის შედეგებმა საშუალება მოგვცა უპირველეს ყოვლისა, დაგვესვა საკითხი აპარატის დეცენტრალიზაციისა და ცენტრალურ დაწესებულებათა აღმასრულებელი უფლებების ადგილობრივი დაწესებულებებისადმი გადაცემის შესახებ. სწორედ ამით რეალურად დაისვა საკითხი სამმართველო აპარატის შემოკლებისა და სამმართველო ხარჯების შემცირების შესახებ. მუშაობამ ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირებისათვის მთელ საბჭოთა კავშირში უნდა მოგვცეს 600 მილიონი მან. მომჭირნეობა. მარტო უკრაინა ამით მიიღებს 90 მილიონ მან. მომჭირნეობას. ამაშია მუშათა და გლეხთა ინსპექციის უმთავრესი დამსახურება.

მეორე საკითხი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, არის საბჭოთა აპარატის ყოველი საფეხურის ფუნქციის გამოკვლევის საკითხი.

ამხ. ზატონსკი, შეეხო მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის მუშაობას ანგარიშგების შემცირებისათვის, აღნიშნა, რომ ეხლა არსებობს საფრთხე იმისა, რომ მთელი ეს მუშაობა, რომელმაც მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა, შეიძლება დაირღვეს. საქმე იმაშია, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექცია ამცირებს ანგარიშგებას, ხოლო ანგარიშგებას მაინც აქვს ზრდის ტენდენცია. ასე, მაგალითად, ცენტრ. სტატ. სამმართველომ დაამუშავა სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს ანგარიშგების მეტად რთული სპეციალური ბლანკი.

მიუხედავათ იმისა, რომ მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა გაილაშქრეს ასეთი ბლანკის წინააღმდეგ, და ამტკიცებდენ, რომ მისი შევსება ზედმეტი მუშაობით დატვირთავს სახელმწიფო დაწესებულებებს, ცენტრ. სტატისტ. სამმართველო მაინც მოითხოვს მის შევსებას. თუ ამ შემთხვევაში არ მივიღებთ სპეციალურ ზომებს, თუ მუშათა და გლეხთა ინსპექციას არ მივსცემთ რწმუნებას საბოლოოდ გადაწყვიტოს საკითხები ანგარიშგების შესახებ, ჩვენი მუშაობა ამ ფრონტზე დაირღვევა.

ამხ. კოტოვის სიტყვა

ამხ. ზატონსკის შემდეგ გამოვიდა ამხ. კოტოვი (მოსკოვი).

ამხ. კოტოვი, ისე როგორც ამხ. ზატონსკი, აღნიშნავს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას თვით მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში. თუ წინ დაწესებულებების გამოკვლევა ჭიანურდებოდა დიდხანს, ზოგჯერ 6 თვემდეც, და ამ გამოკვლევების შედეგი წარმოადგენდა მასალის უდიდეს რაოდენობას, რომელთა შესწავლა ძლიერ ძნელი იყო, ეხლა მუშ. და გლ. ინსპექციის სახ. კომისარიატის გამოკვლევები სწარმოებს ბევრად უფრო სწრაფად და ამ გამოკვლევების შედეგები საშუალებას გვაძლევს ვიპოვოთ ჩვენი სახელმწიფო მუშაობის მტკივნეული ადგილები.

ამხ. კოტოვის აზრით, შემდეგში მუშ. და გლ. ინსპექციამ ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენი აღმშენებლობის გეგმების გაუმჯობესებას, ვინაიდან ამ დარგში გვაქვს საკმაო დეფექტები. დიდ ბოროტებას წარმოადგენს აგრეთვე საქმის გაჭიანურება. საქმის გაჭიანურების მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი შემთხვევა: მოსკოვის საბჭომ 1926 წლის დასაწყისში წამოაყენა საკითხი ერთი სრულიად უსარგებლო კომბინატის დახურვის შესახებ. მიუხედავათ იმისა, რომ ეს საკითხი დადებითად გადაიჭრა ყველა უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებებში თვით სახკომსაბჭოსა და ეკონომიურ საბჭოს ჩათვლით, მიუხედავათ იმისა, რომ ეს დადგენილება დაადასტურა ამხ. რიკოვმა, ის დღემდე არ არის ცხოვრებაში გატარებული საქმის იმ უდიდესი გაჭიანურების გამო, რომელიც არსებობს ჩვენს უწყებებში.

საბინაო აღმშენებლობის [illegible] შეიძლება მოგვცეს [illegible] უდიდესი ეკონომია. ჩვენ ვსცადეთ საბინაო აღმშენებლობაში სტანდარტების დაწესება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მინის ქარხნების მიერ დამზადებული ფანჯრის მინების სტანდარტები რატომღაც არ მოერგო ფანჯრის ჩარჩოების სტანდარტებს. სტანდარტები საჭირო იყო, უყოველივე ამას შედეგად მოჰყვა საშუალებათა ზედმეტი ხარჯვა.

შემდეგ ამხ. კოტოვმა ყრილობის ყურადღება [illegible]ტული დირეები უფრო დიდი აღმოჩნდა, ვიდრე მიაპყრო წიგნის ბაზრის მოწესრიგების საჭიროებაზე.

დასასრულ ის აღნიშნავს, რომ ოპოზიციასთან ბრძოლამ პარტიას მოუტანა როგორც პლიუსები, ისე მინუსები. მინუსს წარმოადგენს ძალების დროის და ენერგიის ის უდიდესი ხარჯვა, რომლებიც შთანთქა ამ ბრძოლამ. პლიუსს წარმოადგენს ის, რომ მილიონიანი პარტიული მასა ეხლა კარგად გაეცნო ტროცკიზმის შინაარსს.

ამხ. ილინის სიტყვა

ამხ. კოტოვის შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. ილინს (მოსკოვი). ამხ. ილინი ამტკიცებს, რომ მუშ. და გლეხ. ინსპექციის სახალხო კომისარიატს განსაზღვრული მიღწევები აქვს თავის მუშაობაში მხოლოდ იმიტომ, რომ მან შესძლო მიეპყრო მშრომელ მასსების ყურადღება ჩვენი სახელმწიფო აპარატის ძირითად დეფექტებზე. სახელმწიფო აპარატის გამოკვლევის დროს მუშათა და გლეხ. ინსპექციის სახ. კომისარიატი წააწყდა ზედმეტ ცენტრალიზმს. ცენტრალიზმი აუცილებლად წარმოშობდა ბიუროკრატიზმს და საქმის გაჭიანურებას. საკავშირო სახალხო კომისარიატები იტოვებენ ისეთ ფუნქციებს, რომლებიც შეეძლოთ გადაეცათ რესპუბლიკებისათვის, რაც საქმისათვის სასარგებლო იქნებოდა. რესპუბლიკები თავის მხრივ ასრულებდენ ისეთ ფუნქციებს, რომლებიც არსებითად უფრო შეეფერება საგუბერნიო აღმასკომებს და სხვ. სავსებით სწორათ არ იყო მოწყობილი აპარატი ავტონომიურ რესპუბლიკებში. იქაური აპარატი წარმოადგენდა ცენტრალურ ორგანოების ასლს, რაც ადიდებდა და აძვირებდა აპარატს. მუშ. და გლეხ. ინსპექციის სახალხო კომისარიატმა ჩაატარა დიდი მუშაობა აპარატის დეცენტრალიზაციისათვის. ეს მუშაობა არა მარტო საშუალებათა მნიშვნელოვან ეკონომიას იძლევა, არამედ უეჭველად გააუმჯობესებს სახელმწიფო აპარატის მუშაობას, დააახლოებს ამ აპარატს მასებთან.

ამხ. ილინი მიაქცევს ყრილობის ყურადღებას სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ორგანოების არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე. იმ მასალების მიხედვით, რომლებიც მოეპოვება მუშ. და გლეხ. სახ. კომისარიატს, გამოდის, რომ კრედიტით უმთავრესად სარგებლობენ გლეხობის შეძლებული და საშუალო ჯგუფები.

ამხ. აფანასევის სიტყვა

შემდეგ გამოვიდა ამხ. აფანასევი (ჩრდილო კავკასია). ამხ. აფანასევი აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდში ცენტრ. საკონტრ. კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობას მნიშვნელოვანი მიღწევა ჰქონდა სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებაში, მეტადრე ანგარიშგების შემცირებაში.

მაგრამ,—ამბობს ამხ. აფანასევი,—არსებობს ისეთი ფაქტები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ანგარიშგების შემცირების გარშემო გაწეული მუშაობა გაქარწყლდება, თუ ამ მხრით საგანგებო ზომებს არ მივიღებთ. ჩვენმა საოლქო ფინგანყოფილებამ ფინანსთა კომისარიატისაგან დირექტივა მიიღო ანგარიშგების გადიდების შესახებ. ასევე დაემართა ჯანმრთელობის განყოფილებას და სახალხო განათლების განყოფილებას. უცნაური მდგომარეობა შეიქნა: ჩვენ შევამცირეთ აპარატი ანგარიშგების შემცირების ნიადაგზე, ახლა კი, ჩვენ რომ ცენტრის მოთხოვნილება აგვესრულებინა, იძულებული ვიქნებოდით, ხელახლა გაგვედიდებინა აპარატი.

ამხ. აფანასევი მოითხოვს გადაწყვეტილების გამოტანას, რომ რომელიმე განსაზღვრული ინსტანციის სანქციის გარეშე ანგარიშგების გადიდება არ ხდებოდეს.

ამხ. აფანასევის აზრით, სახელმწიფო აპარატის გამაუმჯობესებელი მუშაობა მიმართული უნდა იყოს არა იმდენად შტატების შემოკლებისაკენ, რამდენადაც პერსონალის შერჩევაზე. უნდა შეიქნას მუშაკების ისეთი შემადგენლობა, რომ თვითეული მათგანი გრძნობდეს, რომ პროლეტარული სახელმწიფოს საქმეს აკეთებს, მასებს ემსახურება.

ამხ. ფაბრიციუსის სიტყვა

შემდეგ გამოვიდა ამხ. ფაბრიციუსი (წითელი არმია).

ფაბრიციუსმა აღწერა ოპოზიციის მუშაობა წითელ არმიაში.

— ოპოზიცია არ დასჯერდა იმ პასუხს, რომელიც მან მიიღო მუშათა უჯრედებში და თავისი გულისყური წითელ არმიას მიაპყრო, ალბად, იმ იმედით, რომ აქ მხარის დამჭერს მონახავდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ წითელ არმიაში ოპოზიციამ მომხრეები ვერ ჰპოვა.

ოპოზიციის ლაპარაკი ბონაპარტიზმის შესახებ—ცილისწამებაა, რომელიც იქიდან წარმოსდგა, რომ ოპოზიცია წითელი არმიის არც ცხოვრებას იცნობს, არც შემადგენლობას. პირიქით, წითელ არმიას მუშათა კლასთან და გლეხობასთან ისეთი კავშირი არასოდეს არა ჰქონია, როგორც ახლა.

ამხ. ფაბრიციუსი ყრილობის ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ საკმაოდ არა სრულდება ის დირექტივა, რომლის ძალითაც წითელი არმიის დემობილიზაციაქმნილ მეთაურთა შემადგენლობას და წითელ არმიელებს სამუშაო უნდა მიეცეთ. საჭიროა ამას ყურადღება მივაქციოთ.

ამხ. ფაბრიციუსის შემდეგ ლაპარაკობს ამხ. დესოვსკი (ლენინგრადი).

ამხ. დესოვსკის სიტყვა

ამხ. დესოვსკიმ ყრილობაზე პრაქტიკული წინადადებანი შეიტანა. მან ვრცლად დაახასიათა აგრეთვე ოპოზიციის ლიდერების საქმიანობა ლენინგრადში საბჭოთა კავშირის ცაკის საიუბილეო სესიის დროს და მეტადრე ოქტომბრის წლისთავის დღეებში.

შემდეგ გამოვიდა ამხ. ლარიჩევი. (ურალი)

ამხ. ლარიჩევის სიტყვა

ამხ. ლარიჩევმა დაახასიათა ცენტრ. საკონტროლო კომისიის მუშაობა სხვადასხვა პარტიულ პრობლემების შესწავლის საქმეში და შეჩერდა ბიუროკრატიზმის ზოგიერთ ადგილობრივ მოვლენებზე. ცირკულიარულ ლიტერატურას ახლაც დიდი გასავალი აქვს. მაგალითად, ვაჭრობის კომისარიატმა რაღაცა მანქანებით მოახერხა ნახევარ წლის განმავლობაში ათასნახევარი ცირკულიარის გამოშვება. ეს ცირკულიარები ანელებენ პასუხისმგებლობას და მუშაობაში უსულგულობის ელემენტები შეაქვთ.

ამხ. ლარიჩევი ყრილობას უამბობს ოპოზიციის საქმიანობის შესახებ ურალზე. მრაჩკოვსკი და მის გარშემო თავმოყრილი ურალის ოპოზიციონერები პარტიასთან ბრძოლას უკვე 1921 წლიდან აწარმოებენ. ტროცკიზმის ეს ცოფმორეული დამქაშები აშკარად აცხადებენ, რომ მათი ტაქტიკა მიმართულია იქითკენ, რომ პარტიაში დარჩნენ, რათა ამ გზით ბრძოლის გაგრძელების ღონისძიება ჰქონდეთ. ურალის მუშებს პარტიაზე გული შესტკივათ და მოითხოვენ, რომ პარტიაში რკინისებური დისციპლინის შენარჩუნების საკითხი რადიკალურად გადასწყდეს.

ამხ. როიზენმანის სიტყვა

დეკემბრის 7-ს, საღამოს სხდომაზე კამათში უკანასკნელად ამხ. როიზენმანი გამოვიდა.

ამხ. როიზენმანი ვრცლად შეეხო იმ ნაკლს, რომელიც კაპიტალურ აღმშენებლობას ემჩნევა. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყოველ ფეხის გადადგმაზე ხვდება ისეთი საქმეები, რომლებიც დაკავშირებულია, აღმშენებლობის თავდაპირველ პროექტებთან შედარებით, ხარჯების დიდად გადაჭარბებასთან. აღმშენებლობის ზოგიერთ დარგში (ქაღალდის მრეწველობა და სხვ.) გადაჭარბება 250 პროცენტს აღწევს.

დასასრულ ორატორი აღნიშნავს იმ დამაკმაყოფილებელ შედეგებს, რომლებიც მოჰყვა ცენტრალურ საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ საზღვარგარეთ ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობათა და ზოგიერთ სააქციო საზოგადოებათა გამოკვლევას. ბევრ წარმომადგენლობაში იყვნენ არაკეთილსინდისიერი ელემენტები, ავანტიურისტები, რომლებიც საზღვარგარეთ ჩვენს სამეურნეო აპარატს მიეტმასნენ გამორჩენის მიზნით. ცენტრ. საკონტროლო კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოგავეს ისინი, შეამოკლეს შტატები 50 პროცენტით და გააჯანსაღეს საზღვარგარეთის აპარატების კონსტრუქცია.

ამის ნაყოფი იყო ნახევარ მილიონამდე ოქროს მანეთის მომჭირნეობა.

ამხ. როიზენმანის სიტყვის შემდეგ დეკემბრის 7-ის საღამოს სხდომა დაიხურა.

8 დეკემბრის დილის სხდომა

ამხ. ფიგატნერის სიტყვა

მოსკოვი, 9 დეკემბერი. 8 დეკემბრის დილის სხდომაზე კამათში პირველად გამოვიდა ამხ. ფიგატნერი, რომელიც თავის სიტყვაში შეჩერდა სახელმწიფო აპარატის მდგომარეობაზე. ორატორი ირწმუნება, რომ აპარატი უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნათ გაუმჯობესდა და რომ მის შემადგენლობაში დარჩა ძველი ჩინოვნიკების მხოლოდ 4,2 პროც. სახაპარატის გადახალისება, რომელიც ჩატარებულ იქნა უკანასკნელი წლების განმავლობაში, იმის საწინდარია, რომ სახაპარატი შეასრულებს მის წინაშე დასმულ ამოცანებს.

ამხ. ფიგატნერი ყრილობის ყურადღებას აქცევს იმ მუშაობაზე, რომელიც ჩატარებულ იქნა მშრომელთა ჩასაბმელად საბჭოთა სამეურნეო მშენებლობაში. საბჭოთა კავშირში მუშაობს 9.000 ეკონომიური კომისია. მარტო მოსკოვში ჩვენ გვაქვს 160 შერეული საწარმოო კონფერენცია. წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე მუშაობა აპარატის შემცირების დარგში. 1927 წლის 1 აპრილიდან 1 ოქტომბრამდე სახაპარატი შემცირებულ იქნა 9 პროცენტით.

რა ამოცანები უნდა წამოვაყენოთ ჩვენ უახლოეს პერიოდისათვის სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების საქმეში? ჩვენ მოსამსახურეთა ფართე მასები უნდა ჩავაბათ მუშაობაში უნაყოფო ხარჯების შესამცირებლად. უნდა გავაძლიეროთ ხელმძღვანელთა ყურადღება რაციონალიზაციასთან დაკავშირებულ მუშაობისადმი, რომელსაც აწარმოებენ სახელმწიფო დაწესებულებები, და უნდა ვეცადოთ გავატაროთ სახელმწიფო დაწესებულებებში რაც შეიძლება მეტი მექანიზაცია.

ამხ. იანსონის სიტყვა

ამხ. ფიგატნერის შემდეგ გამოვიდა ამხ. იანსონი, რომელიც ლაპარაკობს იმ ამოცანებზე რომლებიც დასმულია ცენტრ. საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინაშე უახლოეს ხნის პერიოდისათვის.

„მთავარი ამოცანა—ლაპარაკობს ის—მდგომარეობს იმაში, რომ შემოწმებული იქნეს, თუ როგორ შეასრულეს სამეურნეო ორგანიზაციებმა წინეთ მიღებული დირექტივები. ჩვენ შევამოწმებთ აგრეთვე ადმინისტრატიულ—სამმართველო ხარჯების შესამცირებლათ წარმოებულ მუშაობასაც. შევამოწმებთ იმასაც, გატარებულია თუ არა ცხოვრებაში ტრესტების უფლებათა და მოვალეობათა გაფართოება. განსაკუთრებულ შემოწმებას მოითხოვს აგრეთვე ის მუშაობაც, რომელსაც აწარმოებენ სახ. კომისარიატებში აპარატის შესამცირებლათ. აუცილებელ შემოწმებას მოითხოვს ავტონომიურ რესპუბლიკებში და ოლქებში წარმოებული მუშაობაც. მომავალ პერიოდის დიდ სამუშაოს წარმოადგენს აგრეთვე კაპიტალური მშენებლობისა და წარმოების რაციონალიზაციის საქმეში მიღებულ გამოცდილების შემოწმება.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახკომისარიატი თავის ერთ-ერთ ამოცანათ აყენებს აგრეთვე მმართველობის სისტემის შესწავლას და ამ სისტემის გაუმჯობესებას. ამ საკითხებში შედის აგრეთვე იმ გამოცდილების შესწავლა, რომელიც მიიღეს სოფლის საბჭოებმა ბიუჯეტის დამოუკიდებლათ შედგენის საქმეში, და სასამართლოს საშუალო და უმაღლესი საფეხურების აპარატის გამარტივება.

შრომის დარგში მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახკომისარიატს განზრახული აქვს მოახდინოს საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის სახკომისარიატების მოქმედების გამოკვლევა. შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ცენტრ. საკონტროლო კომისია მთელ ამ მუშაობას ჩაატარებს პარტიული ორგანიზაციების, ფართე მასების და პროფკავშირების დახმარების გარეშე.

დასასრულ, ამხ. იანსონი შეეხო ოპოზიციის მოქმედებას. ძლიერ სიმპტომატიურია ის ფაქტი, ამბობს ის—რომ ოპოზიციის უკანასკნელი დემონსტრაცია სწარმოებდა სასაფლაოზე. პარტიის მე-15 ყრილობამ უკვე უგალობა ოპოზიციას სულთათანა. უდიდესი პლიუსი, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ ოპოზიციასთან ბრძოლაში, ეს არის პარტაუზნაურობის დაღუპვა. რეზოლიუციის ერთხმად მიღება ცეკას ანგარიშების გარშემო იმის მაჩვენებელია, რომ იმ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მომენტში, როდესაც განიცდის პარტია, ის აღმოჩნდა ძლიერი და მტკიცე, როგორც არასოდეს.

ამხ. ბოგაჩევის სიტყვა

შემდეგი ორატორი, ამხ. ბოგაჩევი აყენებს რამდენიმე საკითხს, რომლებიც, მისი აზრით, მოითხოვენ მუშ. და გლ. ინსპექციის სახკომისარიატისაგან და ცენტრ. საკონტროლო კომისიისაგან განსაკუთრებულ ყურადღებას. საკითხი დაწინაურების შესახებ—სულ არ სდგას თავის სიმაღლეზე. საჭიროა აგრეთვე ბრძოლა ანკეტებით გატაცებასთან და საანკეტო ციებცხელებასთან. საანკეტო „წარმოება" მეტად უშლის ხელს ქარხნების და ფაბრიკების მუშაობას. საჭიროა გაძლიერდეს საწარმოო თათბირების მუშაობა და მუშაობა შრომის დაცვის გარშემო.

შემდეგ ამხ. ბოგაჩევი ეხება ოპოზიციის მუშაობას ლენინგრადში, სადაც ოპოზიცია ცდილობდა არალეგალური წრეების მოწყობას და გამოდიოდა თავისი ფურცლებით, რომლებიც მიზნათ ისახავდენ პარტიის სახელის გატეხას მუშათა ფართე მასებში. ის მუშები, რომლებსაც მოქონდათ პარტკოლექტივებში ოპოზიციონური ლიტერატურა, ცხადდებოდენ პროვოკატორებათ და გამცემლებათ. ოპოზიციამ სამართლიანად დაიმსახურა მუშათა კლასისაგან ის დამოკიდებულება, რომელსაც იჩენენ აქ ყრილობაზე ფაბრიკა-ქარხნების მრავალრიცხოვანი დელეგაციები.

ამხ. იაროსლავსკის სიტყვა

მე შევჩერდები მთელ რიგ ფაქტებზე, სთქვა ამხ. იაროსლავსკიმ, — რომლებიც ახასიათებენ ტროცკისტულ პარტიის საქმიანობას, რათა დაგიმტკიცოთ, რომ ჩვენ პარტიას არა აქვს სხვა გზა ტროცკისტებთან საბრძოლველად გარდა იმისა, რომელიც მან დაისახა. მე ვიცი, რომ ზოგიერთი ციფრები ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ანგარიშიდან აფიქრებს ამხანაგების ნაწილს. მეტის მეტად ბევრი ხომ არ გვყავს უცხო ელემენტები პარტიაში, ხომ არ არის დრო შევუდგეთ პარტიის სერიოზულ წმენდას, ხომ არ არის დრო დავნიშნოთ პარტიის რაიმე სპეციალური შემოწმება, რაიმე გენერალური წმენდა. თუ ავიღებთ ყველა ადგილობრივ საკონტროლო კომისიების ცნობებს ორი წლის განმავლობაში, დავინახავთ, რომ საკონტროლო კომისიებმა პასუხისგებაში მისცათ პარტიის 93.100 წევრი და კანდიდატი. აქედან პარტიული სასჯელი მიესაჯა 83,000 კაცს, პარტიიდან გამორიცხულია 28.563 კაცი. ეს ციფრი ძლიერ დიდია, მაგრამ თუ ამ ციფრს გავყოფთ ორზე, დავინახავთ რომ 1926 წელში პარტიულ პასუხისგებაში სულ მიცემული იყო პარტიის წევრთა და კანდიდატთა 1,8 პროცენტი, 1927 წელში კი 1,6 პროცენტი. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ უკანასკნელ წელში ჩვენ აღრიცხვაზე აგვყავს პარტიის ის წევრებიც, რომლებიც პასუხისგებაში მისცეს რაიონულმა საკონტროლო კომისიებმა. ასეთი წევრების აღრიცხვას კი უწინ ადგილი არ ჰქონდა. ასე, რომ ეს ციფრი გაიზარდა. გამორიცხულთა ციფრი, ერთი წლის განმავლობაში, დაახლოებით უდრის 14—15.000 კაცს. არც ეს ციფრია ისეთი, რომელიც ჩვენ უწინ არ გვქონოდა. ჩვენ უწინაც ვიყავით ხოლმე იძულებული მოგვეხდინა ისეთი შერჩევა ჩვენი პარტიაში, რომელიც წარმოადგენს მმართველ პარტიას და ზოგჯერ იზიდავს ისეთ ხალხს, რომლებიც პარტიაში შედიან ანგარების მიზნებით. მაგრამ უნდა ითქვას, რომ გამორიცხულთა რიცხვი შედარებით ყოველწლიობით მცირდება. კლასიურ მიდგომას ამ საკითხისადმი ჩვენ ყოველთვის ვიცავდით ჩვენს პარტიაში. საკონტროლო კომისიების მიერ პასუხისგებაში მიცემულთა შორის დაახლოებით 20 პროცენტი პასუხისგებაში მიცემულია პარტიულ დისციპლინის დარღვევის გამო ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიის 400—600 წევრიდან ერთი წლის განმავლობაში პარტიულ დისციპლინის დარღვევის გამო პასუხისგებაში აძლევენ ერთ წევრს. ვფიქრობ, რომ სრულებით არ არის რაიმე ცუდი მდგომარეობის ნიშანი, იმაში, თუ 400—600 წევრიდან ისეთი არ ესწრება პარტიულ კრებებს, არ იხდის საწევრო გადასახადს და სხვა რაიმე საქციელით არღვევს პარტიულ დისციპლინას. ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიამ საერთოდ ისეთი დისციპლინის შექმნა შესძლო თავის წევრთა შორის, რომ ისინი ძლიერ იშვიათად არღვევენ მას. მეორეს მხრივ, ეს ამტკიცებს, რომ ჩვენ არც ისე საშინელი რეჟიმი გვქონია, თუ 400—600 კაცზე მხოლოდ ერთი არღვევს პარტიულ დისციპლინას ამხ. ბოგაჩოვი შეეხო ლოთობას, რა თქმა უნდა, ჩვენი პარტიის წევრები მეტს სვამენ, ვიდრე საჭიროა. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დავაწესოთ ნორმები, თუ ვინ რამდენი სვას, როგორ სვას და არ შეგვიძლია სრულებით ავკრძალოთ მაგარი სასმელების სმარება. ჩვენ სავსებით გვავიწყდება, რომ მოგვეპოვება უდიდესი ძალები იმისათვის, რომ პარტიულები ჩავაბათ ისეთ ცხოვრებაში, ისეთ გასართობებში, რომლებიც მოაშლევინებდენ მათ საშინელ, უაზრო ლოთობას, რა თქმა უნდა, ამხანაგებო. ლოთობისათვის პასუხისგებაში მიცემულ პარტიულების ციფრი დიდია. ლოთობისათვის ბევრს მიესაჯა სასჯელი, მაგრამ ამ მხრივაც ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენ უკვე ვხედავთ გამოჯანსაღებას. შინაპარტიულ მდგომარეობის საკითხში განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბევრად უფრო ნაკლები გვაქვს კინკლაობის შემთხვევები. ეს იმას არ ნიშნავს, რომ კინკლაობას სრულებით აღარ აქვს ადგილი, მაგრამ კინკლაობის შემთხვევების რიცხვმა ძლიერ დაიკლო წინა წლებთან შედარებით. შემცირდა ნაციონალურ ნიადაგზე წარმოშობილ კონფლიქტების რიცხვიც. ძლიერ იკლო ლოთობამ, პარტდისციპლინის დარღვევამ, გაფლანგვებმა და დავალიანებამ.

ორი სიტყვით ავღნიშნავ, თუ როგორ ეკიდებოდა ცენტრალური საკონტროლო კომისია ადგილობრივ საკონტროლო კომისიების დადგენილებებს. თუ 1924—25 წელში ჩვენ ავღნიშნეთ ადგილობრივ გამორიცხულთა 44 პროცენტზე მეტი, 1926—27 წელში აღვადგინეთ მხოლოდ 36 პროცენტი. საანგარიშო დროის განმავლობაში ადგილობრივმა საკონტროლო კომისიებმა ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ხელმძღვანელობით ჩაატარეს მუშაობა სოფლის უჯრედების შესამოწმებლად და გასაწმენდად, მათ ჩაატარეს მთელი რიგი სხვა სამუშაოები, რომლებიც ამტკიცებდენ, რომ ადგილობრივმა საკონტროლო კომისიებმა განამტკიცეს თავისი მდგომარეობა და თავის შემადგენლობა. ამას გარდა ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ ჩაატარა დიდი მუშაობა უმუშევარ კომუნისტების მდგომარეობის გამოსაკვლევად. ამ უმუშევრობას აქვს ადგილი, ვინაიდან ბევრ კომუნისტებს არ მოეპოვება არავითარი კვალიფიკაცია.

რამოდენიმე სიტყვა პარტიიდან ნებაყოფლობით და მექანიკურად გასულთა შესახებ. ჩვენ გავეცით მთელი რიგი დირექტივები, რომელთა მიხედვით ადგილებზე გადასინჯულ იქნა პარტიიდან ნებაყოფლობით გასულთა სიები, ბევრი მათგანი უკანვე იქნა მიღებული. ჩვენ არ ვამბობთ, რომ არასოდეს არ მოგვიხდება პარტიის რიგების საერთო შემოწმება, თუ პარტია გადასწყვეტს, რომ საჭიროა ჩვენი პარტიის ან თუ იმ ნაწილის შემოწმება, ასეთ შემოწმებაზე ჩვენ უარს არ ვამბობთ. მაგრამ მე ვფიქრობ. რომ სწორი არ იქნებოდა მიგველო ამ ყრილობაზე გადაწყვეტილება პარტიის გენერალური წმენდის აუცილებლობის შესახებ.

შემდეგ ამხ. იაროსლავსკი დაწვრილებით ჩერდება ოპოზიციის საყვედურებზე ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მიმართ.

— ჩვენ პასუხისმგებელი ვართ — ამბობს ის — მთელ რიგ ნაბიჯებისათვის, რომლებიც მიღებულ იქნა ოპოზიციის მიმართ და ვამაყობთ ამ პასუხისმგებლობით. ჩვენ პარტიის ყრილობამდე ხმა მივეცით იმას, რომ გამოგვერიცხა პარტიიდან ზინოვიევი და ტროცკი. ჩვენ პარტიის ყრილობამდე დავუჭირეთ მხარი ისეთ ზომებს, როგორც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ბელობოროდოვისა და ფოსტა - ტელეგრაფის სახალხო კომისარ სმირნოვის მოხსნა თანამდებობიდან. მაგრამ, ამხანაგებო, საქმე იქამდე მივიდა, რომ ყველაფერი, რასაც ეს ხალხი ამბობდა არალეგალურ კრებებზე, ეს იყო პირდაპირ ამხედრება პარტიის წინააღმდეგ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ჩვენ გვაქვს ცნობები ათეულ არალეგალურ კრებების შესახებ, რომლებსაც ხელმძღვანელობდა ტროცკი, ზინოვიევი, რაკოვსკი, რადეკი და სხვები. იქ ისინი სრულ აღვირახსნილობას იჩენდენ. „მალია ორდინკაზე" მოწყობილ არალეგალურ კრებაზე ტროცკის შეეკითხენ, თუ როგორ უყურებს ის ცაკის მანიფესტს. ტროცკიმ უპასუხა: „ეს დოკუმენტი წარმოადგენს ავატიტურას და მკვდრად შობილ ბავშვს იმ ბიუროკრატიზმისას, რომელიც გრძნობს ნიადაგის რყევას თავის ფეხქვეშ". მეორე კრებაზე მას შეეკითხენ: „რატომ დაუკავშირდით შჩერბაკოვს"-ო. მან უპასუხა: „შჩერბაკოვი მხოლოდ იმიტომ არის უპარტიო, რომ ის არ მიიღეს — ის ნამდვილი კომუნისტია"-ო, ეს ნამდვილი კომუნისტი არის ფაბრიკანტის შვილი, რომელიც დაკავშირებულია ჩვენდამი სავსებით მტრულ განწყობილ ელემენტებთან, მაგრამ ის ენათესავება ზოგიერთ ოპოზიციონერებს, ენათესავება ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. შჩერბაკოვი ენათესავება ოპოზიციის უმთავრეს ბელადებს. როდესაც ტროცკის ეკითხებიან, როგორ იქნება მე-15 ყრილობის საქმეო, ის აცხადებს: „რა არის მე-15 ყრილობა. მომავალი მე-15 ყრილობა — ეს არის სტალინის ფრაქციის საკავშირო თათბირი. ოპოზიცია ყრილობის შემდეგ განავითარებს თავის მუშაობას"-ო. მეორე არალეგალურ კრებაზე მიუსის ქუჩაზე ტროცკი ამბობს: „მუშათა კლასისა და პარტიიდან ჩვენი გამოცალკევება შეიძლება მხოლოდ ხორცით და სისხლით. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ნამდვილი დისკუსია დაიწყება მხოლოდ ყრილობის შემდეგ"-ო. როგორ შეგვიძლია ჩვენ ამის შემდეგ დაუჯეროთ იმ განცხადებებს, რომლებსაც აქ გვიკეთებენ. ჩვენ დავიბარეთ კამენევი და სხვები საკონტროლო კომისიაში და მოვთხოვეთ მათ, რომ პასუხი ეგოთ საკონტროლო კომისიის წინაშე. კამენევმა განაცხადა: „მე მცირეოდენი ნდობაც კი არ მაქვს თქვენი მიუდგომლობის, თქვენი სურვილის და უნარის, რომ დაიცვათ პარტიის მთლიანობას"-ო. რატომ არ ამბობენ ისინი ამას მე-15 ყრილობაზე. რატომ მათ ერთი სიტყვა არ სთქვეს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ, რატომ სდუმან ისინი ყრილობაზე და ძლიერ მჭერმეტყველი არიან იქ, არალეგალურ კრებებზე, იქ, სადაც ისინი თათბირობენ მთელი ყრილობის განმავლობაში. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის სხდომებზე მათ თავი ეჭირათ უაღრესად თავხედურად. მას შემდეგ, რაც მათ ძალადობით ჩაიგდეს ხელში მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი და მოაწყვეს იქ კრება, მას შემდეგ, რაც მათ ხელში ჩაიგდეს ეს ბინა, გამორეკეს იქიდან პარტიის მომხრეები, სცემეს მათ, ვინც სცადა მათთვის ხელის შეშლა; ამის შემდეგ სმილგა ნებას აძლევს თავს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის სხდომაზე წამოაყენოს ასეთი მოთხოვნილებები: „იმ საბინაო ფონდიდან, რომელიც იმყოფება პარტიის განკარგულებაში, თქვენ ვალდებული ხართ ჩვენი მოთხოვნილებისთანავე გადმოგვცეთ ჩვენ კლუბები და სხვა ბინები ყოველ რაიონში"-ო. განა შეგვეძლო ჩვენ ამ ფაქტების შემდეგ თავი შეგვეკავებია მათი გამორიცხვიდან იმ მოსაზრებით, რომ რამოდენიმე ხნის შემდეგ შეიკრიბება ყრილობა?

ამხ. იაროსლავსკი შემდეგ ჩერდება ბელობოროდოვისა და მრაჩკოვსკის საქმიანობაზე. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის თანამდებობაზე ყოფნის დროს ბელობოროდოვი მონაწილეობას იღებდა სწორედ იმ საარჩევნო ინსტრუქციების შემუშავებაში, რომლების გამო შემდეგ ჩვენ გვდებდა ბრალს. ის რჩებოდა მთავრობის წევრად. ყოველი პატიოსანი კაცი მის ადგილზე იტყოდა: „მე არ შემიძლია დავრჩე სახალხო კომისრად, ვინაიდან არ ვეთანხმები პარტიის ხაზს"-ო. ის კი რჩებოდა და იყენებდა აპარატს, ის ყოველმხრივ გზავნიდა ხალხს, რომლებიც მოქმედებდა მისი სახელით. ის თვითონ გაემგზავრა ურალში მრაჩკოვსკისთან ერთად და გამოდიოდა უპარტიოების წინაშე ასეთი განცხადებით: „სტალინის ფრაქციამ, რომელიც თავს უწოდებს ცენტრალურ კომიტეტს, ბლოკი შეჰკრა მემარჯვენე ესერებთან და ატარებს ბურჟუაზიის სასარგებლო პოლიტიკას. ისინი გაჭკურდავენ მუშათა კლასს და გაძარცვავენ გლეხობას"-ო. რა ეწოდება ამას ყოველი კლასის ენაზე? ამას ეწოდება ღალატი. ამის შემდეგ ჩვენ უნდა გვეთქვა მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, რომ ბელობოროდოვი არა თუ არ გამოხატავს საბჭოთა მთავრობის აზრს, არამედ ის აღარ შეიძლება დარჩეს საბჭოთა მთავრობის წევრადაც (**ტაში**), რომ ის აღარ შეიძლება თუნდაც ერთი წუთით დარჩეს პარტიაში. იგივე უნდა ითქვას მრაჩკოვსკის შესახებაც. მრაჩკოვსკიმ გაგვიცხადა, როდესაც ჩვენ ვარჩევდით არალეგალური სტამბის საქმეს, რომ ის სჩადიოდა ამას და მომავალშიაც ჩაიდენს, იბრძოლებს ჩვენ წინააღმდეგ ასეთი მეთოდებით ამის შემდეგ ის გაემგზავრა ურალში, გადავიდა არალეგალურ მდგომარეობაზე და განაცხადა, რომ არ წავა იქიდან მანამდე, სანამ არ დააჩოქებს ურალის პარტიულ ორგანიზაციას. (სიცილი. „ბევრი მოუ დომებია, თითონ მას დააჩოქებენ"). გასაგებია, რომ ამას შემდეგ ურალის პარტიულმა ორგანიზაციამ მიიღო სათანადო ზომები, სანამ მრაჩკოვსკი შესძლებდა თავისი მუშაობის განვითარებას. რა დირექტივებს იძლეოდა მრაჩკოვსკი? აი, მრაჩკოვსკის მიერ შედგენილი კონსპექტი. ამ კონსპექტში ის იძლევა შემდეგ პრაქტიკულ „ამოცანებს": ნუ დაანებებენ პარტიულ ბილეთს, პარტიიდან გამორიცხვის შემთხვევაში პარტიული ბილეთები არ ჩააბარონ, ხელმოწერები პლატფორმაზე შეაგროვონ ცალკე პუნქტების გარშემოც, ესე-იგი უჩვენონ პარტიის წევრებს ცალკე პუნქტები და ამ პუნქტებზე ჰკრიბონ ესა თუ ის ხელმოწერები.

შემდეგ ამხ. იაროსლავსკი შეეხო ოპოზიციის მუშაობას სოფლად და სთქვა: „ვოლოგდის გუბერნიაში შესდგა უმნიშვნელო ტროცკისტული ჯგუფი. მისი ლოზუნგები საკმაოდ საინტერესოა: „მწყობრად მუშაობისაკენ! ძირს კომუნის დიქტატორები! გაუმარჯოს სწორ და ერთად ერთ პარტიას!" რომელია ეს სწორი და ერთად ერთი პარტია? აშკარაა: ოპოზიციის აზრით, მემარცხენე ტროცკისტული პარტია. ვოლსკის ოპოზიციონური ჯგუფიდან, ერთი ტროცკისტი, იმ შეკითხვის საპასუხოდ, თუ როგორ მიდის ინდუსტრიალიზაციის სესხი, იწერება: „ინდუსტრიალიზაციის სესხს გლეხობა არ ღებულობს, ამ სესხს ჰყავს თავისი უშუალო მეპატრონე—მოსამსახურეები. თქვენი შიში ზედმეტია". აი, ხომ ხედავთ, თუ რისი ეშინიათ მათ. მათ ეშინიათ. რომ გლეხები ხელს შეუწყობენ ინდუსტრიალიზაციის სესხს. ასე შეიძლება იფიქ

(გაგრძელება იხ. მესამე გვერდზე)

ჭრის მტერმა, რომელიც საბოლოოდ გადავიდა კონტრ-რევოლუციის ბანაკში (ხმები: „მართალია". ტაში). იგივე ოპოზიციონერი ეკითხება თავის ხელმძღვანელებს: „როგორ მოვიქცეთ, როცა ჯგუფს შეუერთდა უპარტიო გლეხი საერთო ბრძოლის საწარმოებლად პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ სოფლად"-ო. აი, სადამდე მივიდა საქმე.

მაგრამ ეს ხომ ის არის, რასაც მიმართავს მესამე ძალა. აი, სად არის მესამე ძალა. აი სად არის ნამდვილი კონტრ-რევოლუციაზე გადასვლა.

ტროცკისტები აღაშფოთა,—განაგრძობს ამხ. იაროსლავსკი,—იმ რეპრესიულ ზომებმა, რომლებიც ჩვენ მივიღეთ მათ წინააღმდეგ. უნდა ითქვას, რომ 15 ნოემბრამდე ჩვენ პარტიულ პასუხისმგებლობაში მივეცით ფრაქციულ საქმიანობისათვის 1.031 კაცი. ეს შეადგენს ჩვენი პარტიის შემადგენლობის 0,17 პროცენტს. მათ შორის ყრილობამდე პარტიიდან გამოვრიცხეთ 970 კაცი. თუ აიღებთ პარტიულ პასუხისმგებლობაში მიცემულთა სოციალურ შემადგენლობას, დაინახავთ, რომ მათ შორის 35 პროცენტი არის მოსამსახურე და 13-14 პროცენტი მოსწავლენი. იმ დროს, როცა ჩვენს პარტიაში მუშების პროცენტი შეადგენს 62 პროც., მათ თავის ორგანიზაციაში ჩააბეს ამ ორგანიზაციის შემადგენლობის მხოლოდ 40 პროცენტზე ცოტათი მეტი და ისიც უკანასკნელ დროს, როცა წამოაყენეს ლოზუნგი თავის ორგანიზაციაში ყოველ მიზეზს გარეშე მუშების მიზიდვის შესახებ. დასასრულ შევეხები იმ გეგმებს, რომლებსაც იმუშავებს ოპოზიცია. უკრაინელ ამხანაგებმა გამოგვიგზავნეს ჩვენ ფურცელი, რომელიც უპოვეს პარტიის წევრს ვინმე ლიუბოვიჩს. ის, მგონი, სულ 26 წლისაა, ფურცელს კი ხელს აწერს: „ძველ ბოლშევიკ-ლენინელთა ჯგუფი". აი, ეს (26 წლიანი) „ძველ ბოლშევიკ-ლენინელთა ჯგუფი" პირდაპირ ამბობს: „ჩვენ მოვიწოდებთ თქვენ ლენინურ პარტიის აღდგენისაკენ ორგანიზაციული არალეგალური მუშაობის გზით ძველ 1907-1911 წლების მეთოდების მიხედვით; გავაცხოველოთ არალეგალური მუშაობა პარტიაში ფრაქციების და სხვადასხვა შეხედულებათა თავისუფლების სასარგებლოთ". ურალიდან ჩამოსული ტროცკისტები, ყრილობის დაწყების წინ არიგებდნენ ფურცლებს სათაურით: „ერთ-ერთი ჩვენი უთანხმოება მუშათა საკითხში", რომელიც შეეხება ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებების დადების კამპანიას.

ცენტრალურ საკონტროლო კომისიას წილად ხვდა მეტად დიდი ამოცანა. საყვედურებს ბოლო აღარ ჰქონდა. მთელს ჩვენ სახელმწიფოში რამდენიმე ათეულ ათას კაცს მაინც აქვს ჯიბეში ამონაწერი: პარტიიდან გამორიცხვის შესახებ, ხელმოწერილი ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მდივნის მიერ, ან ცენტრ. საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი სასტიკი საყვედური, ან დადგენილება სამუშაოდან მოხსნის შესახებ. რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ კმაყოფილი არიან პარტიიდან ყველა გამორიცხულნი. უკმაყოფილო ძალიან ბევრია. ჩვენი მუშაობა უაღრესად მძიმეა. ჩვენ ეს ყოველდღიური მუშაობა უნდა შევასრულოთ კიდევ უფრო მეტი სისწორით, ვინემ აქამდის. ჩვენ უმთავრეს ამოცანად რჩება მთელი პარტიის საკონტროლო კომისიების და პარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ავტორიტეტის განმტკიცება. პარტდისციპლინის განმტკიცება, რამდენადაც მის შერყევას ცდილობენ ყოველი ზომებით, მეტად ძნელ და რთულ ამოცანას წარმოადგენს. მომავალში საჭიროა ბრძოლა ყოველგვარ იდეოლოგიურ გადახრის წინააღმდეგ, რომელიც კიდევ შესაძლოა ჩვენს პარტიაში. ბრძოლა პარტიის მთლიანობისათვის წარტიას შორის, არამედ დაუზოგველი ბრძოლის გზით ყოველგვარ ანტილენინურ ჯგუფების წინააღმდეგ. ჩვენი მუშაობის საფუძვლად რჩება შინაპარტიული დემოკრატია. მე ვიცი, რომ ოპოზიცია ბევრს ლაპარაკობს ამის შესახებ, მაგრამ ეს ჩვენთვის სულერთია. ჩვენ გადავრეცხოთ ოპოზიცია ჩვენი რიგებიდან, ხოლო თვითკრიტიკა უნდა გავაძლიეროთ, უნდა დაუშვათ თავის რიგებში კეთილსინდისიერი ამხანაგური თვითკრიტიკა (ხმა: „მართალია"). ჩვენ ოპოზიციონერებად არ უნდა გამოვაცხადოთ ისინი, ვინც პარტიულ კრებებზე არსებულ პარტიულ წესების ფარგლებში, ჩვენ ამხანაგურად მიგვითითებს, ამა თუ იმ შეცდომებზე ჩვენს მუშაობაში. ჩვენ უნდა დავეხმაროთ ამ ხანაგებს, რომელნიც ვერ ერკვევიან ამა თუ იმ საკითხებში და განუმარტოთ მათ, რომ ჩვენი საბჭოთა დემოკრატია შეიძლება განვითარდეს მხოლოდ ჯანსაღ შინაპარტიულ დემოკრატიის საფუძველზე. ამ საკითხში ჩვენ ვერავითარ დემაგოგიას ვერ დავუშვებთ მაგრამ ამასთანავე ერთად შინაპარტიულ დემოკრატიის გარეშე, ჩვენი პარტიის შიგნით სადაო პრაქტიკულ საკითხების ამხანაგურ განხილვის გარეშე, ჩვენ, მილიონიან პარტიას, მმართველ პარტიას, არ შეგვიძლია ცხოვრება და განვითარება. უამისოდ ადგილი ექნება გახრწნას. მე ვფიქრობ ამაში დამეთანხმება მთელი ყრილობა, რომ როდესაც ჩვენ პარტიიდან ვაძევებთ ოპოზიციონერებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ წინააღმდეგი ვართ კრიტიკის, წინააღმდეგი ვართ ნაკლულოვანებებზე და დეფექტებზე ყოველგვარი მითითების. იმის საუკეთესო მაჩვენებელი, რომ ჩვენ ვიცით თავის-თავის გაკრიტიკება, არის პარტიის ეს ყრილობა, სადაც ამხანაგები უშიშრად, გაბედულად და დაუზოგველად ამჟღავნებენ ჩვენ საკუთარ შეცდომებს (ტაში).

ამხ. მოროზოვის სიტყვა

ამხ. იაროსლავსკის შემდეგ გამოსული ამხ. მოროზი (მოსკოვი) აღნიშნავს, რომ მუშაობა დაწინაურების დარგში არ სდგას თავის სიმაღლეზე და მოითხოვს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახკომისარიატის გაძლიერებულ ყურადღებას. საბჭოთა და სამეურნეო აპარატის მართველობისათვის მუშებისა და გლეხებისაგან საჭირო კადრის მომზადების ამოცანა ღირსია განსაკუთრებული ყურადღებისა. თუ ჩვენ გვინდა განვამტკიცოთ საბჭოთა აპარატი, ჩვენ უნდა დავიწყოთ ასეთი კადრების მომზადება.

შემდეგ ამხ. მოროზი ეხება ოპოზიციის მოქმედებას და აღნიშნავს, რომ ყრილობამ უნდა გამოიტანოს დადგენილება ოპოზიციის ყველა ლიდერების პარტიიდან გამორიცხვის შესახებ.

ამხ. კოპიევის სიტყვა

ამხ. კოპიევი (ბრიანსკი) აღნიშნავს მიღწევებს მუშ. და გლ. ინსპექციის მუშაობაში და ჩერდება იმ ნაკლულოვანებებზე, რომელთაც ადგილი აქვთ მართველობის სისტემაში. ანგარიშები მცირდება არა საკმაო ინტენსივობით, რაც ართულებს სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებათა აპარატის გაუმჯობესებისათვის წარმოებულ მუშაობას. დღემდე არ არის გატარებული ფუნქციების განაწილება აპარატის ცალკე რგოლებს შორის ჩვენ მნიშვნელოვანი ნაკლი გვაქვს კაპიტალურ მშენებლობის დარგში.

8 დეკემბრის საღამოს სხდომა

ამხ. კარაევის სიტყვა

მოსკოვი, 9 დეკემბერი. ამხ. კარაევი (აზერბაიჯანი) ეხება საბჭოთა აპარატის ნაკლულოვანებებს ნაციონალურ ცენტრებში. ეს ნაკლულოვანებანი მდგომარეობენ აპარატის სირთულეში და მოუხეშობაში. აზერბაიჯანის ადგილობრივი ბიუჯეტი, მაგალითად, ტარდება ათეულ ინსპექციაში. მეორე ნაკლს წარმოადგენს გადაჭარბებული ცენტრალიზაცია.

ამხ. კარაევი მიუთითებს ყრილობას, რომ საჭიროა მუშაობის გაძლიერება ნაციონალურ რესპუბლიკებში იდეოლოგიური ხაზით. ის ლიტერატურა, რომელსაც სცემენ საბჭოთა გამომცემლობანი, ხშირად სავსებით უცხოა ჩვენთვის.

ამხ. იაკოვლევის სიტყვა

ამხ. იაკოვლევი (ც. ს. კომ.) დაწვრილებით ეხება ბიუროკრატიზმთან ბრძოლის პრობლემას. ცუდ მდგომარეობაშია კანონების არსებობის საქმე, ორი კანონის, მაგალითად, ქარხნისა და ადგილობრივი საბჭოების უფლებების შესახებ გამოცემულ კანონების გარშემო დღემდე არ არის გამოცემული სათანადო საუწყებო ინსტრუქციები. ასეთივე მდგომარეობაშია კანონი ტრესტების და ქარხნების უფლებების შესახებ. ამის გამო შაქრის ტრესტის 175 ქარხანა არსებობს საბიუჯეტო საფუძველზე, მაშინ, როდესაც უნდა არსებობდეს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე. საჭიროა არსებული კანონების შერჩევა, საჭიროა ისეთი მდგომარეობის შექმნა, როდესაც სახელმწიფო მანქანა იმუშავებს ისე, როგორც ეს გათვალისწინებულია პარტიის ხაზით და მთავრობის დეკრეტით.

ამხ. ლობაჩევის სიტყვა

ამხ. ლობაჩევი (მოსკოვი) წინადადებას იძლევა, რომ მკაცრი ზომები იქნას მიღებული გაბერილ ანგარიშების წინააღმდეგ. ამასთანავე ერთად ორატორი აღნიშნავს მუშათა და გლეხთა ინსპექციის ინსპექტორის ნაკლს და თხოულობს სამეცნიერო დაწესებულებებში გამოკვლევათა შემცირებას; გამოკვლევები,—ამბობს ორატორი,—უნდა სწარმოებდეს უფრო მჭიდრო კონტაქტით სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებთან.

ამხ. მილჩაკოვის სიტყვა

ამხ. მილჩაკოვი ლაპარაკობს ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების საქმეში. კომკავშირელთა მრავალრიცხოვან აქტივს, რომელსაც მთელს ჩვენს ქვეყანაში ფართოდ აქვს ტოტები გაშლილი, უდიდესი სარგებლობის მოტანა შეუძლია სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. ახალგაზრდობა აქტიურია, მას განვითარებული აქვს თვითკრიტიკის გრძნობა, ის გაცდენთილია ბრძოლის ჟინით. საჭიროა უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ახალგაზრდობის ეს თვისებანი სახელმწიფო და საზოგადოებრივ მუშაობაში.

ამხ. მილჩაკოვი ასახელებს თვითნებობის ცალკე შემთხვევებს ჩვენს დაწესებულებებში, კედლის გაზეთების დევნას, უფროსთა წინაშე ლაქუცს, ორატორი მოითხოვს, რომ მამხილებლებს არავინ არაფერს ერჩოდეს, რომ ახალგაზრდობა ფართოდ იყოს ჩაბმული ჩვენი ცხოვრების უარყოფით მხარეებთან ბრძოლის საქმეში.

ამხ. კრილენკოს სიტყვა

ამხ. კრილენკო (მოსკოვი) ვრცელ სიტყვას ამბობს ჩვენი სასამართლოს შესახებ. მას მოჰყავს მრავალი, ნამდვილი სანეკდოტო მაგალითი ბიუროკრატიულ დეფექტების დარგიდან. ორატორის სიტყვა ხშირათ იწვევს ძლიერ სიცილს და ტაშს.

ამხ. კრილენკო უპასუხებს ამხ. იანსონს, რომელმაც გააკრიტიკა სამოსამართლო აპარატი და აღნიშნა მისი ერთგვარი სისავსე; ორატორი გადაჭრით უარყოფს ამ ნაკლის არსებობას ჩვენს სასამართლოში. სასამართლოს და პროკურორის აპარატის შემადგენლობაში მუშათა რიცხვი თვალსაჩინოა (33,5 პროც.), იგი წლით-წლობით იზრდება. საპროკურორო მეთვალყურეობის შემადგენლობა მთლად პარტიულია.

ამხ. კრილენკო უპასუხებს იმათ, ვინც ამბობს, რომ სასამართლო გადაჭარბებულ ერთგულობას იჩენს კანონის ყველა სიტყვის მიმართ. ორატორი ლენინის თხზულებათაგან მოყვანილი ციტატებით ამტკიცებს, რომ საჭიროა სასამართლოს ძირითადი პრინციპების სასტიკად დაცვა—მტკიცედ ხელმძღვანელობა კანონით.

ამხ. კრილენკო უპასუხებს ამხ. იაკოვლევს, რომელიც მოითხოვდა დისციპლინარული სასამართლოების გაუქმებას; ორატორი აღნიშნავს, რომ ახლო მომავალში გამოქვეყნდება ახალი კანონი დისციპლინარულ სასამართლოს შესახებ და მისი ყოველი ახლანდელი ნაკლი [illegible] იქნება.

ამხ. კრილენკოს მოჰყავს, ამასთანავე, მაგალითები, როდესაც ბიუროკრატების მიცემა სასამართლოში დიდ წინააღმდეგობას იწვევდა სხვადასხვა დაწესებულების მხრით, რომლებიც ცდილობდნენ დამნაშავეებისათვის ხელი წაეფარებინათ.

დასასრულ ამხ. კრილენკოს მოჰყავს ბიუროკრატიზმის რამდენიმე მაგალითი. მთელი დარბაზი მთლიანად იცინის, როდესაც ორატორი ჩამოთვლის სახ. განათლების კომისარიატის ერთი დადგენილების აუარებელ პუნქტებს, სადაც ნაჩვენებია სასოფლო საბჭოს რწმუნებულის მოვალეობანი სახალხო განათლების საქმეში. აქ მატერიალური საზრის მომარაგებაც არის, რთული საზოგადოებრივი ფუნქციებიც, უშუალო მოვალეობანიც სახალხო განათლების დარგში და სხვ. მეორე კურიოზს ასახელებს მიწათმოქმედების კომისარიატის პრაქტიკიდან. ამ კომისარიატმა რაღაცა მანქანებით მოახერხა ცირკულიარის გამოცემა, რომლის ძალითაც განსაზღვრული ფორმის მიხედვით უნდა მომხდარიყო ყველა კურდღლისა და მინდორ-ბოსტნების სხვა მავნე ცხოველთა აღრიცხვა, თანაც აუცილებლად უნდა აღნიშნულიყო მათი ჯიში.

ამხ. კრასოვსკის სიტყვა

ამხ. კრასოვსკი (ყირიმი) აღნიშნავს იმ სიძნელეს, რომელსაც განიცდიან ეროვნული რესპუბლიკები იმის გამო, რომ ეროვნულ ენებზე საკმაო სახელმძღვანელოები და ლიტერატურა არ მოიპოვება. საკმარისი არ არის აგრეთვე უმაღლესი ტიპის სასწავლებელთა რიცხვი ეროვნულ ცენტრ[illegible]ისათვის საჭიროა სამკურნალო ფაკულტეტის გახსნა.

ამხ. შკირიატოვის სიტყვა

ამხ. შკირიატოვი (ცენტრ. საკონტრ. კომისია) ვრცლად უპასუხებს ამხ. კრილენკოს. მტკიცება იმის შესახებ, რომ ჩვენს სასამართლოში ყველაფერი რიგზეა, სინამდვილეს არ შეეფერება; ორატორი ასახელებს რამდენიმე გუბერნიის მაგალითს, სადაც სასამართლოს პროცესები რამდენიმე წლობით გაჭიანურებულა იმის გამო, რომ სასამართლო ჩინოვნიკურად მოეკიდება საქმეს, ხოლო საქმე იმით გათავებულა, რომ აშკარა დამნაშავეები ან გაუმართლებიათ, ან შეუწყვეტიათ საქმე.

ეს ამბავი მიწათმოქმედების კომისარიატის კურდღლებზე უარესია,—ირონიულად შენიშნავს ამხ. შკირიატოვი, კანონის მუხლების დაცვის გარდა ჩვენს სასამართლოში უნდა განვითარებული იყოს რევოლუციონური გრძნობა-მახვილობა, მიზანშეწონილობის რევოლუციონური გეგმა.

ამხ. შკირიატოვი ეხება სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების საკითხს და აღნიშნავს, რომ ამ დარგში პარტიის ძირითად ამოცანას შეადგენს, რომ საზოგადოებრიობა ცენტრ. საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში მაქსიმალურად ჩააბას, მუშათა და გლეხთა ინსპექციის აპარატი, უფრო ადგილობრივ, უნდა გავაძლიეროთ კარგი მუშაკებით.

დასასრულ ამხ. შკირიატოვი შეეხო ოპოზიციის საკითხს.

— ოპოზიციის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, — ამბობს ის,—უნდა ვეცადოთ, რომ ადგილებზე სათანადო ყურადღებით მოვეკიდოთ იმ მუშა ოპოზიციონერებს, რომლებმაც აღიარეს და კვლავაც აღიარებენ თავის შეცდომებს და პარტიის ყველა მოთხოვნილებას დაემორჩილებიან.

ამხ. კოროსტელევის განცხადება

ამხ. კოროსტელევი (მოსკოვი) საჭიროდ მიაჩნია, რომ გაფართოვდეს და გაღრმავდეს მუშაობა სამართველო აპარატის შემოკლებისა და რაციონალიზაციის დარგში.

1926—27 წელს,—ამბობს კოროსტელევი,—მოსკოვის საბიუჯეტო დაწესებულებებში შემოკლდა 5,830 საშტატო ერთეული. ეს შემოკლება მოხდა ერთის ხელის დაკვრით, ისე, რომ შემოწმებული არ იყო დატოვებული შტატის დატვირთვა. 1927—28 წლისათვის საჭირო შტატების შემოწმების დროს შესაძლებელი გახდა ამ შტატების ხელახლა შემოკლება 2.700 კაცით. უეჭველია, რომ ასეთი მუშაობა შეიძლება ჩავატაროთ სხვა ორგანოებშიც.

ამხ. კოროსტელევი აღნიშნავს, ჯერ ვერ ხერხდება, რომ ადმინისტრატიულ - სამეურნეო ხარჯების მუშაობაზე საზოგადოებრივი ყურადღება მივაქციოთ, მიუხედავად იმისა, რომ ამ შემოკლებას შეუძლია მოგვცეს, დაახლოებით, 300—400 მილიონ მანეთის ეკონომია.

ამხ. კალაშნიკოვის სიტყვა

ამხ. კალაშნიკოვი (ციმბირი) ეხება სახელმწიფო აპარატის გამარტივებისა და შემოკლებისათვის საჭირო მუშაობის სიძნელეს.

— ჩვენ ციმბირში დავაპირეთ,—ამბობს ის, —გავვერთიანებინა ციმბირის სავაჭრო ორგანიზაცია სახელმწიფო ვაჭრობასთან, გამოვიანგარიშეთ და გამოირკვა, რომ ასეთი გაერთიანება მოგვცემდა მილიონ ნახევარ ეკონომიას. მაინც, ეს საკითხი ჩვენ დავსვით ყველა სათანადო ინსტანციაში. გავიდა სამი თვე, მაგრამ საკითხი აქამდისაც გადაწყვეტილი არ არის.

ამხ. კალაშნიკოვი ყრილობის ყურადღებას აქცევს ისეთ შემთხვევებზე, როცა სხვადასხვა ორგანიზაციას გვერდი აუქცევია პარტიულ და საბჭოთა დირექტივებისათვის. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ყურადღება უნდა მიაქციოს ასეთ ფაქტებს, და დირექტივების ასრულება უნდა უზრუნველყოს.

დასასრულ ამხ. კალაშნიკოვი აღნიშნავს პარტიული დატვირთვის შემოღების აუცილებლობას პარტიის ყველა წევრებისათვის. ის ფაქტი, რომ პარტიიდან გამორიცხულთა 75 პროცენტი არავითარ პარტიულ მუშაობას არ ეწეოდა, გვაიძულებს ყურადღება მივაქციოთ ამ საკითხს. (ამხ. კალაშნიკოვის შემდეგ გამოვიდა ამხ. სოლცი).

ამხ. სოლცის სიტყვა

ცენტრ. საკონტრ. კომისიას უსაყვედურებენ, რომ იგი ლმობიერებას იჩენს. ამის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი. ამხანაგები ბევრ რამეს არ იღებენ მხედველობაში, დამნაშავე პარტიული ამხანაგების შესახებ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის, რომ სანამ საქმე ჩვენამდე მოაღწევს, მათ საკმაოდ მოსცხებენ ხოლმე უეზდშიც, სარაიონო და საგუბერნ. საკონტროლო კომისიაშიც. მე საერთოდ იმ აზრის ვარ, რომ ჩვენ ძალიან ვართულებთ პარტიული ამხანაგების გამართლების საქმეს. კარგი იქნებოდა ვფიქრა იმაზე, რომ საკმაოა დავკმაყოფილდეთ ზეპირი მითითებით.

ეხლა ოპოზიციის შესახებ. ჩვენ არა მარტო საკმაოდ უნდა დავსაჯოთ იგი, არამედ დიდი პარტიული მუშაობაც უნდა ჩავატაროთ. ამხ. კალაშნიკოვი ამბობს, რომ ჩვენი ლმობიერობა იწვევდა ერთგვარ გატაცებას ოპოზიციონერობით. იგი სცდება. ამ ორმა წელმა, პირიქით, გაგვამაგრა და შეგვამჭიდროვა, როგორც არასოდეს, ჩვენი ამოცანა იყო საქმე წაგვეყვანა ისე, რომ სუბიექტურ პირად მომენტებს არ ეთამაშა არავითარი როლი, რომ მთელი პარტია დარწმუნებულიყო იმაში, რომ აქ არავითარ პირადულს არ აქვს ადგილი. ჩვენ ვიღებდით ზომებს იმისათვის, რომ ოპოზიციონერები შეგვენარჩუნებია პარტიისათვის და თუ ასე არ მოხდა, ეს იმიტომ კი არა, რომ ჩვენ საკმაო საქმიანობა არ გავსწიეთ ამ მიმართულებით, არამედ იმიტომ, რომ ასე მოისურვა ოპოზიციამ. მას შემდეგ, როცა ჩვენ მივაღწიეთ დარაზმულობას და მთლიანობას, უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ბრძოლა ნამდვილ ნაკლულოვანებებთან, რომ ყოველი შეტევა ნაკლულოვანებათა წინააღმდეგ არ იქნას გაგებული როგორც ოპოზიცია.

რამდენიმე სიტყვა სამოსამართლო და სადისციპლინო საქმეებზე და ამნისტიის კომისიებზე. ჯერ პროკურატურაზე. ვლადიმერ ილიჩი ამბობდა, რომ პროკურატურა უნდა ზრუნავდეს და თვალყურს ადევნებდეს იმას, რომ ხელისუფლების არც ერთმა წარმომადგენელმა არ დაარღვიოს კანონი, ჩვენი პროკურატურა კი უმთავრესად იმას ადევნებს თვალყურს, რომ სწორად შესრულდა თუ არა ესა თუ ის მუხლი მოსამართლემ და საზოგადო მოსამართლე ორგანოების მუშაობა. ჩვენ ძალიან ბევრს ვათავისუფლებთ ამნისტიით. რატომ ჩავდივართ ამას? იმიტომ, რომ ძალიან ბევრს ვასამართლებთ. ჩვენ რომ შევასრულოთ ყველა სამოსამართლო განაჩენები, რომელნიც გვაქვს, მაშინ ჩვენ მილიონები უნდა დავხარჯოთ ციხეებში. ჩვენი მოსამართლენი ასე მსჯელობენ: ნახევარი წელი უნდა მიუსაჯო, მაგრამ ვინაიდან ამნისტიით გამოუშვებენ, ამიტომ მას მივუსჯი ორ წელიწადს, და ამგვარად ციხეში იჯდომებს ნახევარი წელიწადით. აი, როგორი გადახრა მივიღეთ იმის გამო, რომ პროკურატურა არ განაგებს ამ საქმეს, რაც მას ევალება. ამხ. იაკოვლევს იმედი გაუცრუვდა დისციპლინარულ სასამართლოებზე და წინადადებას იძლევა, რომ ისინი მოისპოს. მაგრამ დისციპლინარულ სასამართლოებში ხომ ისეთი საქმეები ირჩევა, რომელშიაც ადგილი არ აქვს ანგარიშის ელემენტებს. დისციპლინარულ სასამართლოში მიცემულ პასუხისმგებელ მუშაკებს ხსნიან სამუშაოდან და უვარგისად სცნობენ. განა ჩვენს წესებს ჩვენს ორგანიზაციაში, ეს საკმაო სასჯელი არ არის? განა იმისათვის რომ ამ მუშაკს არ შეუძლია მუშაობა, უნდა მივიღოთ ისეთი ზომები, როგორსაც ღებულობენ ჩვეულებრივ სასამართლოში.

როცა ჩვენ გამოვაცხადეთ ბრძოლა ხულიგნობასთან, ისეთი მდგომარეობა შეიქნა, რომ სულ უბრალო საქმეებისათვის, მუშებით და გლეხებით აივსო ციხეები. მუხლი გაფლანგვის შესახებ ულმობელია და უპიროვნო, როცა ამბობენ—დასცხეთ გამფლანგველებს, ნამდვილად ვღებულობთ შემდეგს: ჩვენ პატარა კოოპერატივში პარტიული დისციპლინის წესით ვაგზავნით მუშას. ერთი წლის შემდეგ ამ კოოპერატივს აკლდება 100 ან 150 მანეთი და ამ მუშამ არ იცის, თუ რატომ დააკლდა. მაგრამ მას ერთი წლით ჩასვამენ ციხეში. კანონი სისწორით უნდა იქნას გამოყენებული და გარკვეულ უნდა იქნას, თუ რა უნდა გავაკეთოთ და როგორ უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა. უნდა გაურბოდეთ საჩვენებელ პროცესებს, ეს პროცესები არ გვესაჭიროება. არც ერთ დაწესებულებაში არ დარჩენილა იმდენი ძველი, კაპიტალისტური ნაშთები, რამდენიც სწორედ სასამართლოშია. უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რომ წვრილმანი საქმეები გაირჩეს საამხანაგო სასამართლოში, რომ მას სავალდებულო ხასიათი მიეცეს. და იქ, სადაც შეიძლება, თავიდან უნდა ავიცილოთ ფორმალობა (მხურვალე ტაში).

ამხ. სოლცის შემდეგ გამოვიდა ამხ. ლუკაშინი.

ამხ. ლუკაშინის სიტყვა

ჩვენი აპარატი,—ამბობს ის, — მეტის-მეტად დიდია რიცხვობრივად და დაბალია ღირსებით. მუშაობა სათანადო შემადგენლობის შერჩევისათვის კვლავ მორიგ საკითხად რჩება. მუშათა და გლეხთა ინსპექციის საქმიანობა უახლოეს პერიოდში იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ შემოწმდეს, თუ რამდენად ასრულებენ სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოები პარტიისა და მთავრობის დირექტივებს. ჩვენი მრეწველობის კაპიტალური მშენებლობის შემოწმების აუცილებლობას გვაკარნახებენ ისეთი ფაქტები, რომლებიც მშენებლობაში ჩადენილ შეცდომებს გვიჩვენებენ. ჩვენ ჯერ ვერ ვისწავლეთ მშენებლობა საკმაო ეკონომიურობით და სისწრაფით, მეტის - მეტად ვაქუცმაცებთ მშენებლობისათვის გადადებულ თანხებს და ამიტომ ვერ ვაღწევთ იმ ეფექტს, რომელსაც მივიღებდით თანხების კონცენტრაციის დროს. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა რომ ნაყოფიერი იყოს, საჭიროა ამ მუშაობაში ჩავაბათ მშრომელთა ფართო მასები.

ყრილობის დღიური

9 დეკემბრის, დილის სხდომა

ამხ. ორჯონიკიძემ წარმოსთქვა საბოლოო სიტყვა.

ამხ. ორჯონიკიძის საბოლოო სიტყვის შემდეგ ამხ. პენკოვმა მოსკოვის, ლენინგრადის ურალის, ჩრდილო-კავკასიის, ამიერ-კავკასიის და სხვა დელეგატების სახელით წაიკითხა რეზოლუციის პროექტი ამხ. ორჯონიკიძის მოხსენების შესახებ. ყრილობამ ეს პროექტი ერთხმად მიიღო რეზოლუციის საფუძვლად.

რეზოლუცია ცენტრ. საკონტროლო კომისიის საანგარიშო მოხსენების გამო

მე-15 ყრილობამ ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში მთლიანად და სრულიად მოიწონა ცენტრ. საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა, როგორც პარტიის მთლიანობის და დისციპლინის დაცვის საქმეში, ისე სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიულად გადამახინჯებასთან ბრძოლის საქმეში.

ყრილობამ თავის რეზოლუციაში კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ცენტრ. საკონტროლო კომისიამ წარმატებით შეასრულა ილიჩის ანდერძი ბოლშევიკური მთლიანობის დაცვის საქმეში; ეს მან შესძლო უძნელეს პირობებში, როდესაც ტროცკისტულ-მენშევიკური ოპოზიცია პარტიაში უმაგალითო გამთიშველ მუშაობას ეწეოდა. ყრილობამ მთლიანად მოიწონა ცენტრ. საკონტროლო კომისიის მიერ მიღებული ზომები პარტიის მთლიანობის დამრღვეველთა, პარტიის წინააღმდეგ ფრაქციული ბრძოლის ორგანიზატორთა და პარტიის დისციპლინის შემლახველთა მიმართ ყრილობამ ხაზი გაუსვა, რომ ცენტრ. საკონტროლო კომისია პარტიის გახრწნილ ელემენტებს და ზოგიერთი კომუნისტის მხრით ძალა უფლების ბოროტად გამოყენებას წარმატებით ებრძოდა, რაც ც. საკ. კომისიამ შესძლო იმიტომ, რომ ამაგრებდა პარტიის რიგებს, და აძლიერებდა მის უნარს სოციალისტური მშენებლობის საქმეში, ყრილობამ მთლიანად მოიწონა ცენტრ. საკონტროლო კომისიის მუშაობა, რომელიც მიმართული იყო შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევის წინააღმდეგ და პარტიაში არსებული ბიუროკრატიზმის ელემენტების წინააღმდეგ; ყრილობა წინადადებას აძლევს ცენტრ. საკონტროლო კომისიას ეს მუშაობა შემდეგ უფრო გააძლიეროს.

ყრილობამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მთელი პარტიის გაცხოველებული ყურადღება და თავისი ენერგია მიმართეს ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა და გაიაფებისაკენ, ისე რომ ამ საქმისაკენ მიიზიდა მუშათა და გლეხთა ფართო მასების ყურადღება. ყრილობამ რეზოლუციაში აღიარა, რომ ამის მიხედვით მოპოვებულია პირველი გამარჯვებანი ბიუროკრატიულ გადამახინჯებასთან ბრძოლაში და სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების მხრით, როგორიცაა: მომჭირნეობის რეჟიმის ჩატარება, აპარატის რამდენადმე გამარტივება და შეკვეცა, ანგარიშგების და უნაყოფო ხარჯების შემცირება და სხვა. რეზოლუცია მოიცავს პარტიის დირექტივებს ცენტრ. საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის შესახებ. რეზოლუცია ყრილობამ საფუძვლად მიიღო და განსახილველად გადასცა კომისიას, რომელშიც შედიან შემდეგი ამხანაგები: ორჯონიკიძე, ტომსკი, კოსიორი; სტანისლავ კოტოვი; იანსონი; ზატონსკი; იაკოვლევი, სმოროდინი, შკირიატოვი, კაგანოვიჩი; დესოვი; იაროსლავსკი; კალაშნიკოვი (ციმბირი), აფანასევი (ჩრდილო კავკასია). ლებედი, პოსტიშევი; კოსიორი იოსებ; ფიგატნერი, მიქოიანი; ლარიჩევი; კალმანოვიჩი; ანდრეევი; დოგადოვი; არტიუხინა; ჩაპლინი; ლომინაძე, კალინინ, ლუკაშინი, ბუბნოვი; ბულინი; ნაზარეტიანი; კაბაკოვი; ჟდანოვი; შარანგოვიჩი, ბოლდირევი; იზმაილოვი; მოროზი; კომაროვი ილინი; სმირნოვი; სტროცკი; ციურუპა; ლეპსე; კოროსტელევი; როიტინი; მენჟინსკი, სტრიევსკი; ლობაჩევი; მანჯარა იბრაგიმოვი (თურქმენისტანი); ბირნ (ვორონეჟი); მიხაილოვი (ლენინგრადი), თუნოსოვი (ლენინგრადი); ბუისე, მატჩ (ირკუტსკი), სოლცი, კრილენკო, ზაიცევი (უკრაინა) და ტერეხოვი (უკრაინა).

მცირე შესვენების შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. **ბუხარინის** მოხსენება საკავშირო კომპარტიის დელეგაციის მუშაობის შესახებ კომინტერნის აღმასკომში. ამხ. ბუხარინს ყრილობა აღფრთოვანებული ოვაციით შეეგება. მისი მოხსენება არა ერთხელ შეწყვიტა ტაშის ცემამ.

9 დეკემბერს საღამოს სხდომა არ ყოფილა. 10 დეკემბერს, დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. ბუხარინის მოხსენების გაგრძელება.

10 დეკემბრის დილის სხდომა

მოსკოვი, 10 დეკემბერი. 10 დეკემბრის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. **ბუხარინის** მოხსენების მეორე ნაწილი. ყრილობამ ამხ. ბუხარინს ოვაციები გაუმართა.

შემდეგ დაიწყო კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. **ლოზოვსკიმ** და **ცხაკაიამ** ამით გათავდა დილის სხდომა.

საღამოს სხდომაზე სწარმოებდა კამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების გარშემო.

სპარსეთის პასუხი ინგლისის ნოტაზე

სპარსეთს შეუძლებლად მიაჩნია ინგლისის პირობების მიღება

ფაშისტურ სტუდენტების მიერ მოწყობილი პოგრომები რუმინეთში

ჩინეთში შეუძლებლად მიაჩნიათ გომინდანის მოქიშპე მხარეების შერიგება

სპარსეთის პასუხი ინგლისის ნოტაზე

თეირანი, 9 დეკემბერი. სპარსეთის მთავრობამ თავის პასუხში ინგლისის ნოტაზე აცხადებს შემდეგს:

„ეხლანდელი მომენტი არ არის ხელსაყრელი იმ ვალის საკითხის მოსაგვარებლად, რომელიც სპარსეთმა უნდა გადაუხადოს ინგლისს. სპარსეთის მთავრობა უარს აცხადებს მისცეს ინგლისს სამხედრო საჰაერო ხაზის მოწყობის ნებართვა. სპარსეთის მთავრობა მოითხოვს, რომ ირაქმა, სანამ მას იცნობს სპარსეთი, მიიღოს მთელი რიგი პირობები. სპარსეთის მთავრობა გვერდს უვლის საკითხს შეიხ ხეიზელის ხუზისტანში დაბრუნებისა და ქონებრივ უფლებებში მისი აღდგენის შესახებ, და აცხადებს, რომ ამ საკითხს სთვლის სპარსეთის შინაურ საქმედ.

ინგლისის ნოტა სპარსეთის მთავრობისადმი, რომელიც ნოემბრის დასაწყისში იქნა გადაცემული, მოითხოვდა, რომ სპარსეთის მთავრობას მეჯლისში გაეტარებია: შეთანხმება იმ ვალის კონსოლიდაციის შესახებ, რომელიც სპარსეთმა უნდა გადაუხადოს ინგლისს; ნებართვის მიცემა ინგლისისათვის, რომ მან სპარსეთის ყურეს ნავთსადგურებში გაიყვანოს ბრიტანეთის საიმპერიო საჰაერო გზა; ირაქის ცნობა და სპარსეთიდან ირაქში გამგზავრების აკრძალვის გაუქმება; შეიხ ხეიზელის დაბრუნება ხუზისტანში და მისი აღდგენა ქონებრივ უფლებებში (ადს).

პოგრომები რუმინეთში

ვენა, 9 დეკემბერი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობებით ორადეა-მარეში 2,500 რუმინელი სტუდენტი პოლიციის შემწეობით ვაგონებში ჩაისხეს. ბუქარესტის გზაზე კლაუზენბურგში სტუდენტებმა დემონსტრაცია მოაწყვეს და მრავალი ფანჯრის მინა ჩაამტვრიეს. როცა სტუდენტები ბუქარესტში მივიდნენ, მათ შემოერტყნენ ჯარის კაცები და ყაზარმებში წაიყვანეს პიროვნების გამოსარკვევად. ორადეა-მარეში დარჩენილი სტუდენტები უწესრიგობას განაგრძობდნენ.

რადგან რბევისაგან ორადეა-მარე ძალიან დაზარალდა, ქალაქის თავმა სთხოვა ბანკებსა და კომერსანტებს; შემოიღონ მორატორიუმი ორი კვირით; მან სთხოვა აგრეთვე მთავრობას, რომ ორი კვირით შეაჩეროს გადასახადების აკრეფა.

რუმინეთის მთავრობა აცხადებს, რომ წესრიგი აღდგენილია და დაპატიმრებულია 24 სტუდენტი, რომელთაგან 16 სამხედრო სამართალში მიცემული.

ეროვნულ უმცირესობათა წრეებში მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს წესრიგის აღსადგენად კომედიათ სთვლიან.

გუშინ რუმინეთის პარლამენტში ებრაელთა დეპუტატმა ვილდერმანმა შეკითხვა შეიტანა ორადეა-მარეს დარბევის გამო და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ხელს აფარებდნენ რბევის მომწყობთ; დეპუტატმა მოითხოვა დამნაშავეების დასჯა.

გლეხთა პარტიის დეპუტატმა მაჯერაუმ უსაყვედურა მთავრობას, რომ ის აქეზებდა სტუდენტებს უწესრიგობის მოსახდენად, რათა ამით მათი გულისყური მოეშორებინა შინაური პოლიტიკის გართულებისაგან, და აგრეთვე ხაზი გაუსვა რეპრესიების გაძლიერებას.

ლიბერალი დემეტრესკუ მოუწოდებდა მთავრობას, რომ პროტესტი გამოეცხადებინა რუმინეთის საქმეებში უნგრეთის ჩარევის წინააღმდეგ.

შინაგან საქმეთა მინისტრმა დუკამ დაგმო მომხდარი ამბავი და აღუთქვა შემკითხველებს, რომ დამნაშავენი დაისჯებიან (ადს).

კრიზისი გომინდანში

შერიგების იმედი არ არის

შანხაი, 10 დეკემბერი. თუმცა გომინდანის შიგნით ცალკე ჯგუფებს შორის ბრძოლა გამწვავდა, მაგრამ მაინც არ შეწყვეტილა ცდა, რომ განგრძობილ იქნას „კონფერენცია გომინდანის ც. კ.-ის და ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმის მოსამზადებლად".

ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ფრაქციების მორიგების იმედი არ არსებობს. გუანსიის ჯგუფი ხუ ხან მინის ბანაკის მოღვაწეებთან ერთად, რომლებიც გუანსის ჯგუფს მიეკედლნენ, მოითხოვს მთელი გუანდუნის ჯგუფის დაპატიმრებასა და პასუხისგებაში მიცემას, რადგან ეს ჯგუფი „კანტონის კომუნისტური გადატრიალების მონაწილე და სულისჩამდგმელი არის". ასეთივე მოთხოვნილებით გამოდის ოფიციალურ განცხადებაში ლი ტინ სინი, რომელიც თავის მოთხოვნილებას ფანტასტიურად ასაბუთებს: ვითომც კანტონის გადატრიალებას მიზნად ჰქონდა, რომ „პროვინცია გუანდუნი წითელი რუსეთისათვის დაემორჩილებინა".

ჩან-კაი-ში გამოაქვეყნა განცხადება, სადაც „მოქიშპე ფრაქციებს მოუწოდებს ერთობისა და მორიგებისაკენ", მაგრამ ამავე დროს ისეთი პოზიცია უჭირავს, რომელიც მიმართულია გუანსიელების წინააღმდეგ. (ადს).

სუიჯოუს აღება

შანხაი, 9 დეკემბერი. ნანკინიდან იტყობინებიან, რომ ფინ-იუ-სიანმა აიღო სუი-ჯოუ. (ადს).

გლეხთა აჯანყება

ხანკოუ, 9 დეკემბერი. ხანკოუდან იტყობინებიან, რომ მეჩენში (ხუნანი) იფეთქა გლეხთა აჯანყებამ, რომელსაც მეთაურობენ კომუნისტები. აჯანყებას თან სდევს ჯენტრიების მასიური მკვლელობა. აჯანყების რაიონში გაგზავნილია ჯარები. (ადს).

რეჟიმი „განთავისუფლებულ" ელზას-ლორენში

პარიზი, 9 დეკემბერი. დეპუტატთა პალატაში ელზას-ლორენის დეპუტატმა იუბერმა დაახასიათა საფრანგეთის მთავრობის ნაციონალური ჩაგვრის პოლიტიკა, რომელსაც ის აწარმოებს ელზას-ლორენში, და განაცხადა, რომ ელზას-ლორენი მოითხოვს თვითგამორკვევას. მუშათა კლასი უნდა დაირაზმოს საფრანგეთის კომპარტიის გარშემო, რადგან ეს პარტია წარმოადგენს ერთად ერთ ძალას, რომელსაც შეუძლია სრულ გამარჯვებამდე მიიყვანოს მუშათა კლასი. იუბერის განცხადებას მთელი პალატა, გარდა კომუნისტებისა, პროტესტით შეხვდა (ადს).

კამათი ლატვიის პარლამენტში

რიგა, 9 დეკემბერი. ოპოზიციის შეკითხვების საპასუხოდ პრემიერმა სკუენიექმა წარმოსთქვა საქმიანი ხასიათის სიტყვა.

კამათში დეპუტატმა კლივემ განაცხადა, რომ ოპოზიცია არ კმაყოფილდება მთავრობის პასუხით, ვინაიდან სკუენიექმა დუმილით აუარა გვერდი მთავრობის ბრალდებებს, სახელდობრ, საკითხს — „კომუნიზმის შეუჩერებელი ზრდის შესახებ".

საგარეო საქმეთა მინისტრმა ცელენსმა განაცხადა: „თუ დაემხობა მთავრობა, მაშინ უდიდესი პასუხისმგებლობა დააწვება კოალიციიდან გასულ დემოკრატიულ ცენტრს, რომლის წყალობითაც ამ შემთხვევაში დაიწყება მოსყიდვისა და სახელმწიფო საშუალებათა დატაცების პოლიტიკა. პასუხისმგებლობა ეკისრებათ აგრეთვე კოალიციის ცალკე დეპუტატებსაც, რომლებიც ხელს უწყობენ მემარჯვენე მთავრობის ჩადგომას ხელისუფლების სათავეში".

ფარული კენჭის ყრით სეიმმა 50 ხმის უმრავლესობით 48 ხმის წინააღმდეგ ნდობა გამოუცხადა სკუენიექის მთავრობას (ადს).

პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი

ერთი ვარიანტთაგანი

ჟენევა, 9 დეკემბერი არსებულ ცნობების მიხედვით; პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის გადასაწყვეტად გამოყენებულ ვარიანტთა შორის ყველაზე უფრო სარწმუნოა შემდეგი ვარიანტი; ლიტვა გამოაცხადებს ომის მდგომარეობის შეწყვეტას პოლონეთთან. პოლონეთთან სავაჭრო ურთიერთობას და დიპლომატიურ და საელჩო ურთიერთობის განახლებას ლიტვას არ მოსთხოვენ. ლიტვის განცხადებას ვილნოს შესახებ ცნობად მიიღებს ერთა ლიგის საბჭო, მაგრამ პოლონეთი კი ცნობად არ მიიღებს; პოლონეთ-ლიტვის ომის მდგომარეობის შეწყვეტის შემდეგ პირველ პერიოდში პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე გაიგზავნება ნეიტრალური კომისია (ადს).

8 კომუნისტის საქმე

რომი. 9 დეკემბერი. „სახელმწიფოს დაცვის კანონის" მიხედვით შექმნილ საგანგებო ტრიბუნალში გაირჩა 8 მილანელი კომუნისტის საქმე; რომელთაც ბრალდებათ შეთქმულების მზადება. ყველა ბრალდებულთ ტრიბუნალმა მიუსაჯა საპატიმრო წლინახევრიდან ექვს წლამდე.

კრიზისი გერმანიის

ლითონის მრეწველობაში

ბერლინი, 9 დეკემბერი. ლითონის მრეწველობაში საყოველთაო ლოკაუტის მუქარასთან დაკავშირებით, ბერლინში შესდგა ქრისტიანულ პროფკავშირებში შემავალ მელითონეების ორი მრავალრიცხოვანი კრება. კრებებმა დეპეშით სთხოვეს კანცლერს და შრომის მინისტრს არ დაუთმონ მეწარმეებს, რომელთაც უნდათ აუტანელი პირობების შექმნა მუშებისათვის (ადს).

გაფიცვების ტალღა

საფრანგეთში

პარიზი, 9 დეკემბერი. ანიშის კონცესიის მაღაროში გაიფიცა 2,500 მემაღაროე. გაფიცვას შეუერთდნენ მეორე მაღაროს მუშებიც.

ამჟამად საფრანგეთში გაფიცულნი არიან ანიშის და ლავავეის კონცესიების მემაღაროეები, დოკზე მომუშავეები, ნანტაში და სენ-ნაზარში, პარიზის ოლქის მიწისმთხრელები, ჩრდილოეთ დეპარტამენტის ფეიქრები და პანტენის მეთამბაქოეები (ადს).

ჯოჯოხეთის მანქანები

ვენა, 9 დეკემბერი. ბელგრადიდან მიღებულ ცნობით, ქალაქ კოჩანის მახლობლად (სამხრეთ-სლავიის მაკედონია) რკინისგზის ლიანდაგზე აღმოჩენილ იქნა 2 ჯოჯოხეთის მანქანა. ბელგრადის პრესა ამაში ბრალს სდებს მაკედონიის რევოლუციონურ — ორგანიზაციებს, რომელთაც, პრესის აზრით, სუბსიდიას აძლევდიან იტალიელები (ადს).

ინდოეთის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

ლონდონი, 9 დეკემბერი. საკლატვალამ ღია წერილით მიმართა მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის წევრებს, რომელნიც არ ეთანხმებიან ფრაქციის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ მხარი დაუჭირონ ინდოეთის საპარლამენტო რეფორმების გადამსინჯავ სამეფო კომისიას.

„ინგლისის მუშათა კლასისათვის ცხადი უნდა იყოს, —სწერს საკლატვალა,— რომ ინგლისის იმპერიალიზმთან თანამშრომლობის ტაქტიკა მის საერთო პოლიტიკაში ინდოეთის მიმართ თითქმის ნიშნავს იმპერიალიზმთან თანამშრომლობას იმ პოლიტიკაში, რომლის მიზანია ინდოეთი გადაიქცეს სამხედრო ბაზად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ".

ინგლისის კომპარტიის და ინდოეთის მილიონი მშრომელი მასების სახელით საკლატვალა ასეთ ფორმულას უკეთებს თავის მოთხოვნილებებს: **ინგლისის ყველა ჯარების დაუყოვნებლივ გაწვევა; საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღება; ფინანსების, არმიის და საგარეო საქმეების მმართველობის გადაცემა ინდოეთის მოსახლეობის მიერ არჩეული მთავრობისათვის; სოციალისტური ორგანიზაციების თავისუფალი არსებობა; პოლიტიკური პროპაგანდის თავისუფლება ინდოეთში.**

„ამ მოთხოვნილებათა განხორციელება,—სწერს საკლატვალა,—ჯერ კიდევ არ ნიშნავს ინდოეთის მუშათა კლასის სრულ განთავისუფლებას, მაგრამ ეს საშუალებას მისცემს ინდოეთის ხალხს გადასწყვიტოს მის წინაშე მდგომი უდიდესი შინაური საკითხები" (ადს).

მუშათა პარტია

ლონდონი, 9 დეკემბერი. „სინდეი უორკერი"-ს ცნობით, ბომბეიში დაარსდა ინდოეთის პირველი მუშათა პარტია. ახალი პარტიის მიზანია „დაიცვას მშრომელი მასების ინტერესები და გაათავისუფლოს ყველა ჩაგრულთა და გაყვლეფილთა მდგომარეობა" (ადს).

პროფკავშირთა ყრილობის დახურვა

ლონდონი, 9 დეკემბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ინდოეთის პროფკავშირთა ყრილობა დაიხურა. ინდოეთის პროფკავშირთა კონგრესის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ენდრიუსი. კონგრესის ყოფილი თავმჯდომარე ჩაჰან ლალა არჩეულ იქნა დელეგატად პროფკავშირთა მომავალ საერთაშორისო კონგრესზე (ადს).

მუშათა პარტიის რეზოლუცია

ამხ. ლიტვინოვის დეკლარაციის გარშემო

ლონდონი, 9 დეკემბერი. მუშათა პარტიისა და პროფკავშირთა გაერთიანებულმა ნაციონალურმა საბჭომ, რომელიც შესდგება მუშათა პარტიის აღმასკომის, მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის და ტრედიუნიონთა გენერალურ საბჭოს წარმომადგენლებისაგან, მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც **განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ წინადადებების მნიშვნელობას განიარაღების შესახებ, რომლებიც საბჭოთა დელეგაციამ წამოაყენა განიარაღების კონფერენციის მომზადებელ კომისიის სესიაზე** ჟენევაში. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ საბჭო **„გულწრფელად ესალმება საბჭოთა პროექტს, რომელიც ეთანხმება მუშათა პარტიის პოლიტიკას"**. საბჭო ინგლისის მთავრობას მიმართავს მოწოდებით— განაცხადოს თანხმობა საბჭოთა წინადადებების სერიოზულ განხილვაზე, იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს სრული საყოველთაო განიარაღების დაწყება (ადს).

ფრანგ კომუნისტების პროცესი

პარიზი, 9 დეკემბერი. „ჯაშუშობისათვის" პასუხისგებაში მიცემულ კომუნისტების პროცესზე **ვაიან კუტიურიემ** დასაცავ სიტყვაში განაცხადა, რომ ეს პროცესი არსებითად არის პოლიტიკური. წინააღმდეგობანი, სიყალბე და ყალბი დოკუმენტები წინასწარი გამოძიების საქმეში ჩაშლიან იმ საქმეს, რომელიც ოხრანკამ შეთითხნა პენლევეს დახმარებით.

„მათ სურთ,—სთქვა ვაიან კუტიურიემ,—სახელი გაუტეხონ იმ პირებს და ორგანიზაციებს, რომელნიც ხელს უშლიან ომს. ჩვენი ამხანაგები ამ პროცესიდან გამოვლენ სახელოვნად, ვინაიდან პროცესი საზოგადოებრივი აზრის წინაშე სვამს პრობლემას: ეროვნული თავდაცვა თუ კლასის დაცვა".

დამცველი ბერტონი ხაზს უსვამს, რომ ბრალდება აშენებულია მხოლოდ და მხოლოდ პროვოკატორ კოშლენის ჩვენებაზე და მოითხოვს ბრალდებულთა გამართლებას.

განაჩენის გამოტანა ერთი კვირით გადაიდო (ადს).

პოლონეთის არალეგალური შტაბები

რიგა, 9 დეკემბერი. ჟურნალისტებთან საუბარში პრემიერ **სკუენიექმა** დაადასტურა, რომ პოლონეთში იყო გაგზავნილი მოხალისეთა ჯგუფი ლატვიიდან.

გაზეთი „პედეა ზრიდი" სწერს:

„აგენტები, რომელნიც ლატვიაში აგროვებდნენ მოხალისეებს, თვითეულს პირდებოდნენ 1000 ლატს იმ შემთხვევაში, თუ კოვნო აღებული იქნებოდა. რიგაში მოწყობილია არალეგალური შტაბი, რომელიც მუშაობდა ვილნოს ცენტრალურ არალეგალურ შტაბის დირექტივებით. რიგის შტაბი განაგებს ლატვიის მოხალისეთა მობილიზაციას. სარწმუნო წყაროებიდან ცნობილია, რომ ერთმა მეზობელმა სახელმწიფომ ლატვის ემიგრანტების ყრილობის შემდეგ აღუთქვა მათ ფინანსიური დახმარება და შეჰპირდა მათ არა მარტო იარაღი და ტანისამოსი, არამედ შეიარაღებულ ძალით დახმარება, თუ ეს საჭირო იქნებოდა".

გაზეთი ამტკიცებს, რომ რიგის არალეგალური შტაბის მუშაობასთან კავშირი აქვთ ლატვიის სოციალ-დემოკრატიულ სასპორტო კავშირის ზოგიერთ წევრებს. (ადს).

მთავრობის კრიზისი

ფინეთში

ჰელსინგფორსი, 9 დეკემბერი, ტანერის სოციალ-დემოკრატიული მთავრობა გადადგა იმის შემდეგ, როცა სეიმმა უარყო მისი წინადადება პურზე ბაჟის შემცირების შესახებ (ადს).

ახალი კაბინეტი

ესტონეთში

რეველი. 9 დეკემბერი. ტენისონმა შეადგინა ახალი კაბინეტი, რომელიც დაამტკიცა სახელმწიფო კრებამ. მთავრობის კრიზისს შედეგად ის მოჰყვა, რომ მთავრობის კოალიციიდან გამოვიდნენ ქრისტიანული დემოკრატები, რომელთა მაგიერ კოალიციაში შევიდნენ „შრომის პარტიის" წარმომადგენლები (ადს).

ღამის ცნობები

ამხ. ბოდენმანის გარიცხვა პროფკავშირიდან

ბერლინი, 9 დეკემბერი. შვეიცარიის გაზეთების ცნობით, სავაჭრო წარმომადგენელთა პროფკავშირის ცეკამ კავშირიდან გამორიცხა შვეიცარიის კომპარტიის გენერალური მდივანი **ბოდენმანი**, იმ „მოქმედებისათვის, რომელიც ზიანს აყენებდა კავშირს" (ადს).

პილსუდსკი ჟენევაში

ჟენევა, 9 დეკემბერი. ჟენევაში ჩამოვიდა პილსუდსკი (ადს).

ბამბის შესყიდვა

ლონდონი, 9 დეკემბერი. რეიტერი იტყობინება კაირიდან, რომ საბჭოთა კავშირის საფეიქრო სინდიკატის წარმომადგენლებმა ეგვიპტის მთავრობისაგან 110.000 მეტკარ ბამბის შეძენის გარდა ალექსანდრიის ბაზარზე დამატებით შეიძინეს 180.000 მეტკარის ბამბა. (მეტკარი უდრის 3 ფუთს).

აკრძალვა

ანგორა, 9 დეკემბერი. საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა სირიაში აკრძალა იტალიანური კომუნისტური გაზეთის „უნიტას" გავრცელება სირიის ფარგლებში. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

კაპიტალური ხარჯები სარძეო მრეწველობაში

მოსკოვი, 10 დეკემბერი. შრომის და თავდაცვის საბჭომ დაადგინა სარძეო მრეწველობაში (მაცივარების მოწყობა) კაპიტალური ხარჯები გაიღოს ხუთწლიანი გეგმის მიხედვით 75—80 მილ. მანეთის რაოდენობით. აღნიშნული თანხა განსაზღვრულ გეგმით განაწილებული იქნება საბჭოთა რესპუბლიკებს შორის; მათ რიცხვში ამიერ-კავკასიაზე მოდის მთელი ჯამის 1,7 პროცენტი. (ადს).

კოოპერაციის ფონდი

მოსკოვი, 9 დეკემბერი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირის ნაციონალური ბიურო იღებს ზომებს ფონდის შესაქმნელათ ნაციონალურ რესპუბლიკებში და ოლქებში კოოპერაციის გაძლიერების მიზნით. კავშირთა კავშირს, როგორც არა სამეურნეო ცენტრს უშუალოთ არ შეუძლია შექმნას საკმაო მატერიალური ბაზა ნაციონალურ რაიონებში კოოპერატიული ქსელის გასაფართოებლად. ნაციონალური ბიურომ მიმართა ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო, რუსეთის სას.-სამ. და კოოპერატიულ ბანკებს წინადადებით ამგვარი ფონდის შექმნის შესახებ.

რუს. სას.-სამ. ბანკი თანაგრძნობით შეხვდა ნაციონალურ ბიუროს ინიციატივას და გამოიტანა დადგენილება ბანკის 1926-27 წ. მოგებიდან 20.000 მანეთის გამოყოფის შესახებ ნაციონალურ რესპუბლიკებში სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის გაძლიერების მიზნით. (ადს).

ამხ. პუგაჩოვის დაბრუნება

მოსკოვი, 10 დეკემბერი. შვეიცარიიდან დაბრუნდა საბჭოთა დელეგაციის წევრი განიარაღების კონფერენციაზე ამხ. პუგაჩოვი. (ადს).

სკრიაბინის მემკვიდრეების დაჯილდოება

მოსკოვი, 10 დეკემბერი. სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა განათლების სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა განათლების სახალხო კომისარიატისათვის 50.000 მანეთის მიცემის შესახებ სკრიაბინის მემკვიდრეების დაჯილდოების მიზნით, რომლის ნაწარმოებები ნაციონალიზაციაქმნილ იყვნენ რევოლუციის შემდეგ. (ადს).

საფრანგეთის წითელ ფრონტელები

ლენინგრადი, 10 დეკემბერი. საფრანგეთის 12 წითელ ფრონტელებმა ინახულეს N პოლკი. წითელარმიელთა ყოფის გაცნობის შემდეგ, ისინი გამოვიდნენ კრებებზე, ერთ-ერთმა წითელ ფრონტელმა მოიხსნა გულიდან წითელ ფრონტელთა კავშირის ნიშანი და გადასცა ის პოლკის უფროსს ამხ. კოხანსკის. (ადს).

რწმუნების სიგელის ჩაბარება



ტევფიკ-ბეი

ოსმალეთის ახალი ელჩი საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 10 დეკემბერი. 10 დეკემბერს ოსმალეთის ახალმა ელჩმა ტევფიკ-ბეიმ საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარეს ამხ. კალინინს გადასცა რწმუნების სიგელი და აგრეთვე გაწვევის სიგელი მის წინა მოადგილე ზეკია-ბეისაგან. ურთიერთ მისალმების შემდეგ ელჩმა გააცნო კალინინს ოსმალეთის საელჩოს პერსონალი და იქონია მასთან კერძო აუდიენცია. რწმუნების სიგელის ჩაბარებამდე ტევფიკ-ბეიმ ოსმალეთის საელჩოს პერსონალის თანხლებით ინახულა ლენინის აკლდამა და ლენინის კუბოზე დადვა გვირგვინი ცოცხალ ყვავილებიდან გადაჯვარედინებული ოსმალეთის და საბჭოთა კავშირის დროშებით. გვირგვინის დადგმის დროს ელჩმა მასთან მყოფ საოქმო ნაწილის გამგეს ამხ. ფლორინსკის განუცხადა: **„მე მაქვს პატივი გვირგვინით შევამკო უდიდესი რევოლუციონერი—ოსმალეთის მეგობარი".**

ბამბის დამზადების კამპანია

შესყიდვის კამპანია

მოსკოვი, 10 დეკემბერი. მებამბეობის მთავარი კომიტეტის ცნობების მიხედვით 1 დეკემბრამდე საბჭოთა კავშირის მებამბეობის ორგანიზაციებმა შეისყიდეს 514.204 ტონა ნედლი ბამბა, ანუ შარშანდელთან შედარებით 20 პროც. მეტი. 1926 წ. ამავე ხნის განმავლობაში შესყიდულ იქნა 426.000 ტონა. 1 დეკემბრამდე მებამბეობის მთავარმა კომიტეტმა საფეიქრო მრეწველობას ჩააბარა 29.324 ტონა ახალი მოსავლის ნედლი ბამბა (ადს).

კოოპერაციის როლი ბამბის დამზადებაში

მოსკოვი, 10 დეკემბერი. როგორც ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს აცნობეს მებამბეობის საკავშირო კოოპერატიულ ბიუროში, საბჭოთა კავშირის მებამბეობის კოოპერაციის როლი ბამბის დამზადების საქმეში მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა 1926—27 წ. შედარებით. მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში მებამბეობის კოოპერაცია დამზადებს საქონლის პროდუქციის 40 პროცენტამდე, წარსულ წელს კი მან დაამზადა საქონლის პროდუქციის საერთო რაოდენობის მხოლოდ 11 პროც.

ბამბის დამზადებას აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია საკონტრაქტო საფუძველზე. მებამბეობის კომიტეტის ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებების თანახმად. გარდა ამისა, მებამბეობის კოოპერაცია აწარმოებს კოოპერატივების მიერ დამოუკიდებლად დამზადებულ ბამბის დამზადებას. კოოპერატივები ბამბის თესვას აწყობენ ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან მიღებულ კრედიტების საშუალებით. 30 ოქტომბრისათვის ბამბის დამზადების გეგმა უზბეკისტანში შესრულებულია საკონტრაქტო ხელშეკრულებების თანახმად —64,9 პროცენტით, დამოუკიდებელ ნათესებიდან ბამბის დამზადება კი—65,89 პროც., აზერბაიჯანში დამოუკიდებელ ნათესებიდან ბამბის დამზადება შესრულებულია 39.6 პროცენტით.

ბამბის ღირსება წელს, შარშანდელთან შედარებით უკეთესია, რის გამოც გაიზარდა პირველხარისხოვანი ბამბის პროდუქციის რაოდენობა. ამიტომ ბამბის საშუალო ფასი, რომელიც ბამბის მეურნეებს ეძლევათ, სადირექტივო ორგანოების მიერ დაწესებულ ფასზე უფრო დიდია. მიუხედავად დაბრკოლებებისა, ბამბის დამზადება წარმატებით მიმდინარეობს.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ დასახული გეგმა მიმდინარე წელს შესრულებული იქნება სავსებით, რასაც განსაკუთრებით ხელს შეუწყობს ბამბის ნათესების სივრცის გაფართოება და ბამბის კარგი მოსავალი უზბეკისტანში. ბამბეობის რაიონებისათვის პურისა და სამრეწველო საქონლის თავის დროზე მიწოდების საკითხის მოწესრიგების დიდი მნიშვნელობა აქვს და ამ საკითხის სწორად გადაჭრისაგან დამოკიდებულია ბამბის ნათესების სივრცის შემდგომი გაფართოება და ნედლი ბამბის პროდუქციის ზრდა (ადს).

პარტიული ცხოვრება

საბჭოების გადარჩევა და პარტინფორმაცია

საბჭოების გადარჩევის კამპანია, რომელსაც განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, პარტიისა და კერძოდ პარტიის საინფორმაციო აპარატის წინაშე მთელ რიგ ამოცანებს აყენებს.

პარტიის ამოცანები მოკლედ გარკვეულია მე-15 პარტყრილობის თეზისებში „სოფლად მუშაობის შესახებ“.

თეზისების მე-მ თავში—„საბჭოები.—კულტურული მუშაობა“—(იხ. გაზ. „კომუნისტი“ № 244) ჩვენ ვკითხულობთ:

„1928 წლის დასაწყისში, საბჭოების მომავალ გადარჩევასთან დაკავშირებით, უნდა დაიწყოს საბჭოების მუშაობის ფართო საანგარიშო კამპანია, არჩევნებში ჩაბმულ უნდა იქნან ღარიბ და საშუალო გლეხობის რაც შეიძლება მეტი ფენები, უზრუნველყოფილ უნდა იქნას პარტიის ხელმძღვანელობა მთელ საარჩევნო კამპანიის განმავლობაში და სასტიკი თვალყური უნდა ედევნოს, რომ მთელი სიმკაცრით დაცულ იქნას საბჭოთა ინსტრუქციით დაწესებული, საარჩევნო სიებიდან კულაკური და სხვა ანტი-პროლეტარული ელემენტების გარიცხვის ნორმა“.

საბჭოების გადარჩევასთან დაკავშირებით პარტიის წინაშე წამოჭრილ ამოცანების რაც შეიძლება დამაკმაყოფილებლად გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საინფორმაციო აპარატის მუშაობა დაყენებული იქნება სათანადო სიმაღლეზე, თუ საინფორმაციო აპარატი იქნება მოქნილი და სწრაფად გამოეხმაურება კამპანიის პროცესში წამოჭრილ ამა თუ იმ მომენტებს.

პარტიულ ინფორმაციის ამოცანები ემყარება ორ მთავარ მომენტს.

პირველ მომენტს წარმოადგენს ყველა წერტილების სწორი აღრიცხვა კამპანიის განვითარების გზაზე და ყველა იმ მოვლენების ასახვა, რომლებიც უსათუოდ გამოაშკარავდება კამპანიის მსვლელობის პროცესში. (ჩვენ ვლაპარაკობთ როგორც დადებით, ისე უმთავრესად, უარყოფით მომენტებზე).

მეორე მომენტს წარმოადგენს პარტიული ინფორმაციის მიერ პარტიისათვის ყველა იმ კრიტიკულად შემოწმებულ და აღრიცხულ მოვლენების სწრაფად მიწოდება, რომელთაც ადგილი ჰქონდა როგორც მოსამზადებელ, ისე საარჩევნო კამპანიაში.

მხოლოდ ამ შემთხვევაში უზრუნველყოფს პარტია თავის ხელმძღვანელობას საბჭოების გადარჩევის კამპანიაზე.

იმისათვის, რომ პარტიულმა ინფორმაციამ პრაქტიკულად განახორციელოს ის ამოცანები, რომელიც დასმულია მის წინაშე საბჭოების გადარჩევის კამპანიასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რათა საინფორმაციო აპარატმა ფართოდ ჩააბას ინფორმაციის საქმეში ის ამხანაგები, რომლებიც უშუალოდ უხელმძღვანელებენ, როგორც წინასწარ საარჩევნო კრებებს, ისე თვით არჩევნებსაც.

იმ ამხანაგებს, რომლებიც გაიგზავნებიან ადგილებზე, უნდა მიეცეს დაწვრილებითი ინსტრუქციები და კითხვების ფურცელი, რომლის თანახმად ეს ამხანაგები უნდა უგზავნიდენ პარტიულ კომიტეტს სათანადო ინფორმაციას.

ამასთან ერთად, საინფორმაციო აპარატი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული გაზეთის სათანადო განყოფილებასთან. ეს კავშირი უნდა გამოიხატებოდეს, როგორც კამპანიის მსვლელობის შესახებ ადგილებიდან მოსულ კორესპონდენციების შერჩევაში გაზეთში გამოსაქვეყნებლად, ისე იმ მასალის გადაცემაში გაზეთებისათვის, რომელიც მოეპოვება პარტიულ კომიტეტის საინფორმაციო განყოფილებას.

თანახმად ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებისა და თანახმად მისი სადირექტივო წერილისა, საბჭოთა გადარჩევის კამპანიისათვის მზადება უნდა დაიწყოს დეკემბერში, თვით საბჭოების გადარჩევა—კი უნდა დასრულდეს არა უგვიანეს 1928 წ. 15 აპრილისა.

ამასთან დაკავშირებით, პარტიული საინფორმაციო განყოფილებები წინასწარ უნდა მოემზადონ იმისათვის, რომ მათ შესძლონ ფართოდ გაშალონ თავიანთი მუშაობა.

ა. დალნი.

მუშაობა გაცხოველდა

(ამხ. მ. კახიანის სახელობის მუშფაკი)

ამხ. მიხა კახიანის სახელობის ქართულ ცენტრალურ მუშფაკში პარტიული მუშაობა გამოცოცხლდა, რაც მიეწერება ახალ ბიუროების აქტიურ მუშაობას.

ახალ ბიუროების შემადგენლობაში არის 95 პროც. მუშური შემადგენლობა, რომელთა შორის ბევრი ძველი მუშაკებია

ბიურო-კოლექტივმა ბოლო მოუღო ძველ ინტრიგის ნაშთებს.

თვით უჯრედი დაყოფილია კურს-უჯრებად—იმის და მიხედვით თუ ვინ, რომელ კურსზე სწავლობს. წევრთა საერთო რიცხვი 235 აღემატება, ამათში არიან პარტიის კანდიდატებიც.

ბიურო-კოლექტმა ჩამოაყალიბა 18 პოლიტწრე, რომელშიაც სწავლობს კომკავშირის წევრებიც. პოლიტწრეების მეცადინეობა სისტემატიურად ხდება—კვირაში ერთხელ.

კომუჯრედი სწორად ხელმძღვანელობს კომკავშირს. კომკავშირელები ჩაბმულნი არიან: პოლიტწრეებში და ეს წრებიან პარტუჯრედის მორიგ კრებებზე.

პარტუჯრედის თაოსნობით ალმასბიუროსთან შეთანხმებით გამოდის კედლის გაზეთი, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებს თვით უჯრედის წევრები.

ხშირად იმართება უფასო საღამოები და ეწყობა რეფერატების წაკითხვა სხვადასხვა თემაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ნაკლი ჩვენი პარტიული მუშაობისა. კომუჯრედში მრავალია პარტიის კანდიდატი, რომელთაც შეუსრულდა საკანდიდატო სტაჟი და ჯერ პარტიაში არ არიან დამტკიცებულნი, რაც უკმაყოფილებას ბადებს წევრთა შორის.

მეორეც ის, რომ მუშფაკში, როგორც ყოველ დროს, ეხლაც მოისუსტებს ქალთა შორის მუშაობა რაც უნდა გამოსწორდეს მომავლისათვის.

მალაროელი.

უყურადღებობას ბოლო უნდა მოეღოს

(ასურეთის თ., თბილ. მ.).

ასურეთის და ბოგვის თემებში დელეგატ-ქალთა გადარჩევები დამთავრდა 10 ნოემბერს. გადარჩევების წესიერად ჩატარებისათვის რაიკომმა შეიმუშავა გეგმა. გეგმის თანახმად ჩატარებულ იქნა სამისო კამპანია. სადელეგატო პუნქტები დაარსდა სოფ. ასურეთში, დიდ-ენაგეთში და სოფ. ვაშლოვანში. უჯრედებმა გამოჰყო ოპაგისი წარმომადგენლები ქალთა შორის სამუშაოთ. დელეგატთა სიები წინასწარ იქნა დამუშავებული, ასე, რომ დელეგატებათ არჩეულ იქნა შრომელი ქალები, სულ სამ პუნქტში არჩეული 71 ქალი.

გადარჩევებს მიეცა პირდაპირ საზეიმო ხასიათი. უკრავდა სამხედრო ორკესტრი, ქალთა ინსტრუქტორმა ამხ. ჯორჯაძემ და რაიკომის მდივანმა იმნაიშვილმა დაწვრილებით და გარკვევით აუხსნეს დამსწრეთ დელეგატ პუნქტების მნიშვნელობა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ასურეთის რაიონში დელეგატ ქალთა მუშაობა წინ წავა თუ ქალთა სამაზრო განყოფილება დროგამოშვებით ინახულებს ხსენებულ რაიონს და მისცემს სამისო ინსტრუქტიულ განმარტებებს, თორემ ისეთი მდგომარეობა, როგორიც დღემდე იყო, არაფრად ვარგა, რადგან ქალთა განყოფილებიდან მთელ წლობით არავინ მოსულა და ქალთა მუშაობას არავინ გასცნობია.

ერთი მაინც გასაკვირი მდგომარეობაა ისიც დიდ რაიონში, როგორიც თელეთის, ასურეთის, ბოგვის, ალბულაღის და დაგეტ-ხაჩინის თემებია, დღემდე ქალთა მდგომარეობას არ ექცეოდა ყურადღება. ასურეთის რაიონის ნაბიჯი ამ მხრივ მისაბაძია და საჭიროა ქალთა განყოფილება იზრუნებდეს ხსენებულ რაიონში ქალთა ინსტრუქტორის დანიშვნაზე. ეს რაიონი, ყველა რაიონებზე დიდია და სხვადასხვა ეროვნებებითაა დასახლებული, ვინემ ის რაიონები, სადაც დღეს არის ქალთა ინსტრუქტორები.

ზ. ასურელი.

მუშათა ცხოვრება

მატარებლების წესიერ მიმოსვლის შესახებ

ჯერ კიდევ გასულ წელს მიიღო რიგი კამპანიები ჩატარდა ორთქლმავლების დროზე დაბრუნების შესახებ საყუდში, რათა დიდხანს არ აჩერებდენ მას გზაში. ამ საკითხზე ბევრი ქაღალდი დაიხარჯა ბრძანებების, მოხსენებების და ოქმების შედგენისათვის. გარდა ამისა, მუშკორებაც სასტიკ თვალყურს ადევნებდენ მატარებლების წესიერ მიმოსვლას. ამიტომ თითქოს პირველ ხანებში დაეტყო კიდეც გაუმჯობესება და ორთქლმავლები დანიშნულ დროზე ბრუნდებოდენ საყუდში, რაც საშუალებას აძლევდა საყუდის მორიგეებს დროზე გაეშვათ ახალი ორთქლმავლები ხაზზე. ამას ხელი ძლიერ შეუწყო აგრეთვე საგზაო მატარებლების სწრაფად კადატანას. მეორე მხრივ საყუდს საშუალება ჰქონდა დროზე შეეკეთებინა და საყუდიდან გაეგზავნა გამზადებული - შეკეთებული ორთქლმავლები.

მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელდა, განვლო დღეებმა, თვეებმა და ისევ დაიწყო ძველებურად. ორთქლმავალი ხშირად 35—40 საათობით გზაში იმყოფება. აშკარაა ასეთ შემთხვევაში საყუდს აკლდება ორთქლმავლები და თუ დაბრუნდება მსვლელობიდან, საყუდის მორიგე ვალდებულია ისევ ჩქარა გაუშვას, რადგან სხვა ორთქლმავალი არ არის.. ამიტომ ხშირად შეუკეთებლად გზავნიან ხაზზე, რაც სრულიად დაუშვებელია. ამას წინათ თბილისის საყუდიდან გავიდა ორთქლმავალი 2427, საგზაო მატარებელი № 336-ის წასაღებად. ორთქლმავალი ხაშურამდი მისვლას 28 საათი მოუნდა. მიღება-ჩაბარებას სჭირია 3 საათი, ავჭალაში იდგა 12 ს. 55 წ. მცხეთაში—45 წ., ქსანში—12 ს. 6 წ., კასპში—20 წ., გრაკალში—1 საათი და 15 წ., გორში—12 საათი 54 წ. და სხვა, ისე, რომ სადგურის მორიგეების დაუდევრობით ორთქლმავალი გზაში დარჩა 28 საათი. ასეთივე ადგილი ჰქონდა სადგ. ალისტაფიდან წამოსულ მატარ. № 116, რომელიც გზაში დარჩა 14 საათი.

ვინ არის აქ დამნაშავე. რა არის ამის მიზეზ და რა უშლის ხელს წესიერ მუშაობას? რასაკვირველია, სადგურის მორიგეების დაუდევრობა.

ვფიქრობთ, რკინის გზის სამმართველომ ამ მხრივ უნდა გადამჭრელი ნაბიჯი გადადგას და ერთხელ და სამუდამოდ მოუღოს ბოლო ასეთ არანორმალურ მოვლენას.

შავხოფლელი.

გამოასწორეთ მომავლისათვის

კოლექტიური ხელშეკრულების გადასინჯვა უკვე დაიწყო. პროფორგანოები და სამეურნეო ორგანოები დიდი ყურადღებით ეპყრობიან საკითხს და ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ იქითკენ, რომ მომავალში არ ჰქონდეს ადგილი უსწორ-მასწორობას ჯამაგირებში.

ა.-კ. ლ. გ. მთავარი სამსალო საწყობში მტვირთავ-გამომტვირთავი მუშები რიცხვით 150 კაცი მუშაობენ ნარდით და ძირითად ჯამაგირს იღებენ მეხუთე ხარისხით. მუშები არიან დაყოფილი ჯგუფებად. ამიტომ თვიური გადამუშავებული ხელფასს იღებენ უთანასწოროდ მაგალითად ერთი და იმავე კატეგორიის ერთ და იმავე სამუშაოზე მომუშავე პირველი და მეორე ჯგუფის წევრი თვეში აკეთებს 65-დან 75 მანეთამდი, ხოლო მესამე ჯგუფში კი აკეთებენ 95 მანეთზე მეტს.

საჭიროა პროფკავშირმა და ადმინისტრაციამ მიიღოს ზომები ხელშეკრულების დადების დროს, რათა მომავალში ერთი და იმავე კატეგორიის და ერთი და იმავე კვალიფიკაციის მუშა-ხელოსნები ჯამაგირს იღებდენ თანასწორად.

გვაზაურელი.

ვის განკარგულებით მოხსნეს?

მე-12 სამილიციო უბანში მილიციელად მსახურობდა ამხ. ჯიოევი, რომელიც ნოემბრის 24-იდან მოხსნილ იქნა სამსახურიდან. სამსახურიდან მოხსნა ბევრი ვეიხახავს, მაგრამ ისეთი მოხსნა, როგორც მოხსნეს ამხ. ჯიოევი მილიციაში არავის ახსოვს.

საერთოთ მილიციელის სამსახურიდან მოხსნა ხდება ადმინგანის განკარგულებით. უბნის უფროსს უშუალოდ არა აქვს უფლება თანამშრომელი მოხსნას სამსახურიდან, თუ ამის შესახებ დასტური არ მიიღო ადმინგანიდან, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. უბნის უფროსს არ აღუძრავს შუამდგომლობა ადმინგანში და თავისი ნებით მოხსნა ამხ. ჯიოევი სამსახურიდან. და მის მაგივრად კი მიიღო ურთმელაძე. ამის შესახებ ამხ. ჯიოევმა საჩივარი შეიტანა სათანადო ორგანოში, სადაც გამოირკვა, რომ ადმინგანს სრულებით არ სცოდნია ამხ. ჯიოევის დათხოვნის ამბავი. ამხ. ჯიოევის სამსახურიდან მოხსნა უმთავრესად ადმინგანის მაგიდის უფროსის თანაშემწის ბრალი ყოფილა, მას თვითნებობით მოუხდენია განკარგულება ჯიოევის დათხოვნის შესახებ და მის ადგილზე კი გაუგზავნია ურთმელაძე.

ადმინისტრატიულმა განყოფილებამ უნდა გამოიძიოს ეს საქმე და ამ ბოროტმოქმედებაში დამნაშავენი მისცეს პასუხისგებაში, ხოლო თვით ამხ. ჯიოევი კი უნდა აღადგინოს თავის თანამდებობაზე.

მაზვილი.

პურის საცხობები ადრე გახსენით

დიდუბეში უმთავრესად სცხოვრობენ რკინის გზის მუშები, რომელთა შორის მთავარ სახელოსნოს მუშები სჭარბობენ.

მუშები სამუშაოდ ძიდიან დილის 6 საათზე. როდესაც არც ერთი პურის საცხობი, არც ზაკპოს და არც კერძო არ არის ღია. მუშებს კი დილითვე სჭირდებათ პური, რომ საუზმეზე არ მოუხდეთ ბევრი სირბილი და რიგში დგომა.

საზოგადოთ ამ უბანში ამ დროს ყველა სამიკიტნოები ღიაა, ხშირად მუშები შეუხვევენ ხოლმე სამიკიტნოში და პურის ფულს უტოვებენ მიკიტანს, შემდეგ კი მთელი რვა საათი მშიერი მუშაობენ. ხშირად ერთი ჭიქა, ორად იქცევა, ორი სამად და ამგვარად ან სრულებით არ მოდიან სამუშაოზე ან და მოდიან მთვრალი, რომელთა მუშაობას, რასაკვირველია, არავითარი ნაყოფი არ ექნება.

ურიგო არ იქნება, რომ ამ სამიკიტნოების მაგივრად დილით ადრე გახსნან პურის საცხობები.

ლანტკურელი.

უნივერსიტეტის ხულიგნები

(სახელმწიფო უნივერსიტეტი)

წელს ძალიან გაცხრილვით ღებულობდენ უნივერსიტეტში სტუდენტებს, მაგრამ მაინც საკმაოდ მოყვენ არა სასიამოვნო ელემენტები. ბევრია ისეთი სტუდენტები, რომლებსაც სწავლა მაინც და მაინც არ აინტერესებთ. მათ ასულდ ჰქონებთ მხოლოდ სასწავლებლის შენობაში სიარული და უნივერსიტეტის მოწმობა, რომ ის სტუდენტია, ხშირია ლექციის წაკითხვამდი ფეხის შემდეგ პარტებზე ხტუნაობა, რახუნი, სათლის ჩაჭრობა და სხვ.

უნივერსიტეტის პრეზიდიუმმა მიაგნო რამოდენიმეს და გამორიცხა კიდეც ისინი უნივერსიტეტიდან. ასეთი ბედი მოელით სხვებსაც, თუ ისევ განაგრძობენ ხულიგნობას. ხულიგნებს უნივერსიტეტში ადგილი არა აქვს.

ქვეწობნელი.

თბილისის მუშკორებში

პირველ რაიონში

პირველი რაიონის კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების და ცენტრალურ გაზეთების მუშკორთა რაიონული კრება, რომელიც შესდგა ოთხშაბათს, 8 დეკემბერს, გაცხოველებით ჩატარდა. სარედაქციო კოლეგიების გადარჩევის შესახებ მოხსენების შემდეგ, გაიხსნა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო დაახლოებით თექვსმეტმა კაცმა.

მუშკორები აღნიშნავდენ სარედაქციო კოლეგიების სუსტ მუშაობას, პარტხელმძღვანელობის სისუსტეს, ცენტრალურ გაზეთების მხრივ უყურადღებობას და სხვა მრავალ ნაკლს მუშკორთა შორის მუშაობაში. მათ თითონ წამოაყენეს მრავალი ღონისძიებები მუშკორთა წრეების გასაფართოებლად და პარტიული ხელმძღვანელობის გასაჯანსაღებლად.

როგორც გამოირკვა კამათიდან, ადგილობრივ მუშკორთა წრეების მუშაობას ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი ნაკლი ახასიათებს. ყველა კედლის გაზეთთან არ არის ჩამოყალიბებული მუშკორთა წრე. არ სწარმოებს ახალი ძალების ჩაბმა მუშკორთა რიგებში, არ არის დამყარებული კავშირი ადგილობრივ როგორც ადმინისტრაციასთან, ისე პროფორგანოსთან და სხვა.

ყოველივე ეს გაითვალისწინა მუშკორთა საერთო კრებამ და შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები მომავალში აღნიშნულ ნაკლის გამოსასწორებლად და მუშკორთა შორის მუშაობის გასაცხოველებლად.

მესამე რაიონი

მუშკორთა და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების სარაიონო კრება შესდგა 6 დეკემბერს. კრებამ მოისმინა მოხსენება სარედაქციო კოლეგიების გადარჩევის შესახებ, რის შემდეგ გაიხსნა კამათი. მუშკორები აღნიშნავდენ მრავალ ნაკლს კედლის გაზეთების გამოცემაში და მოითხოვდენ მომავლისათვის მის გამოსწორებას.

დასასრულ კრებამ მიიღო და დაამტკიცა კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების გადამრჩევ რაიონულ კომისიის მიერ შედგენილი კალენდარული გეგმა და დაადგინა 10 დეკემბრიდან დაიწყოს არჩევნები.

მეოთხე რაიონში

სამშაბათს, 6 დეკემბერს, პროფსაბჭოს მცირე დარბაზში შესდგა მეოთხე რაიონის კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების და ცენტრალურ გაზეთების მუშკორთა რაიონული კრება. კრებაზე კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების გადარჩევის შესახებ, მოხსენება გააკეთა ამხ. პიტერსკიმ, რომელმაც გააცნო კრებას სარედაქციო კოლეგიების გადარჩევის მნიშვნელობა და აღნიშნა, რომ სარედაქციო კოლეგიების ასე ერთდროულად გადარჩევა, ხელს შეუწყობს სარედაქციო კოლეგიების მუშაობის ნაკლის გამომჟღავნებას და მუშკორთა აქტივის წამოყენებას. გადარჩევები უნდა ჩატარდეს იმ ლოზუნგებით, რომელიც წამოაყენა თბილისის კომიტეტმა და მუშკორთა საქალაქო კრებამ.

მოხსენების შემდეგ ამხ. ციხელაშვილმა გააცნო კრებას სარედაქციო კოლეგიების გადარჩევის კალენდარული გეგმა და გამოაქვეყნა ადგილებზე გადარჩევის ჩატარებისათვის მიმაგრებული რაიონულ კომისიის წევრთა სია. კრებამ დაამტკიცა კალენდარული ცხრილი და დაადგინა რვა დეკემბრიდან შეუდგენ გადარჩევას. სარედაქციო კოლეგიების გადარჩევა ადგილებზე უკვე დაიწყო.

ბალადა

არსენ ჯორჯიაშვილზე

1.

ბაღის პირდაპირ
გასქდა ყუმბარა;
ხალხს მოაშორა
რისხვა—მუქარა!
ეტლი ავარდა
მაღლა ჰაერში;
თან აიყოლა
ზეცის არეში.
ხალხს მოაშორა;
რისხვა—მუქარა!
ბაღის პირდაპირ
გასქდა ყუმბარა!
არავის ესმის
იმ დროს მუდარა—
სახეზე გამვლელს
აძევს სუდარა!
ბაღის პირდაპირ გასკდა ყუმბარა!

2.

ორნი შეიპყრეს
რკინის კარებში...
მაშინ—ღა შესწყდა
რბევა-თარეში.
ერთი კი იცნეს—
არსენა არის!
ჯორჯიაშვილი,
მამაცის გვარის!
მეორე უცხო—
მზისაგან შავი.
ჩოხის ამარა,
მოსული ფშავი.

3.

გადაუწყვიტეს
არსენას დასჯა;
ხოლო მეორე?—
უვნებლად დარჩა!..
მას სახლში აღარ
მიუხარია!
ვაჟკაცის ბედი
მისთვის მწარეა!
დღეს გაუშვებენ
ფშაველს მათიას..
სოფელში იტყვის
მომხდარ აქიას!

4.

არსენა ეტყვის
ჩათხრობით, მწარედ:
—მე საიდუმლო
საქმე მაქვს გარედ.
დაგიძახებენ და შენ მაგიერ,
მათია ჩემო, მე გამატარე!
გწამდეს ეს ფიცი
მეტად ყველაზე,
რა დროსაც გაჰყავთ
სახრჩობელაზე,—
აქვე გაგიჩნდები,
რომ არ გამსაჯონ
და ჩემ მაგიერ
შენ არ დაგსაჯონ!

5.

აღარ დასჭირდა
ჯალათს ლოდინი.
ფშავის სახელი
კიდეც ახსენა;
ჩოხაში კოხტად გამოწყობილი,
მას უკან გაჰყვა წყნარად არსენა!

6.

რა საქმე ჰქონდა
გარედ არსენას?
მან მიაშურა
გაღმა არსენალს.
იქ ნახა მიტრო,
უთხრა სათქმელი...
მოხუცს ჩაუქრა
ხელში სანთელი!
ძველს მუშას ცრემლი
არ უნახია;
არსენამ მისი
გული დახია...
ანიშნა, სადაც იარაღია!
—თიდოს სარდაფში...
მარჯვენით მარხია!

7.

და... გამობრუნდა!
კიდევ რა უნდა?
მოიჩქარება!
არსენამ იცის სწრაფი ტარება!
ქალაქის ნაპირს,
ღარიბ უბანში—
ყველა ძილშია,
ყველა ბურანში!
შეაღო კარი...
შეჰკივლა დედამ.
ლამის მოიდნოს
მოხუცი ელდამ...
გულში ჩაიკრა შვილი არსენა;
სიხარულისგან ცოლი ქვითინებს.
ბავში ეკვრება ნორჩი არსება...
—უკანასკნელად!..
უკანასკნელად!...
არსენალს გულიც ცრემლით ივსება!

8.

გული უღელავს
ფშაველ მათიას;
სწუხს... და წუხილით
ღამე ათია!
როგორ მიენდო
უცნობ ქალაქელს?!
ბრაზობს... სიბრაზეს
მაინც არ ამხელს...
მხოლოდ წარბები შეუკმუხია,
ოჯახზე გულიც შეუწუხია!
—რომ იყოს ვაჟი
გაზრდილი მთაში,
ან აქ მენახოს,
ქალაქად, ბარში,
მესმის — მიენდო,
და ღირსიც იყოს!
ბარიომა კაცმა
მე გამაბრიყოს?..
დედასა მტრისას!..
თან გულში ჯავრობს...
კამერის ახლოს
ფეხი ხმაურობს.
იქ ნამთვრალევი
ვინმე ახველებს.
და მით ტუსაღობს
თითქოს ახელებს.
—მაგრამ ის ფიცი?
ვაჟკაცის ფიცი?
ძმად შემრგებია....
საშვილიშვილოდ მისაგებია...
ჩუ! რა ჩხარუნობს?
—ბორკილებია!

9.

ნუთუ მათია
შეიპყრო შიშმა?
მაშ რაღად არის იგი ფშაველი?
დააბრიალა
მთვრალივით გიჟმა...
მისდევს ამაყად, როგორც შამილი!
კვირობს ჯალათი!
კვირობს მნახველი.
თუმც ის არ არის,
მაინც დარჩება გმირი სახელი!
ჯორჯიაშვილის...
როგორც ლომს, გული არ გასტეხია,
წარბებშეკრული ის უკმეხია!

10.

სახრჩობელაზე აჰყავთ მათია.
ნუთუ ყოველი ეს მართალია?
სიკვდილს შეხედა....
მას სახეზედა.
გაფითრდა ერთხელ...
რა დამართია?
სახრჩობელაზე აჰყავთ მათია!
ვერ გარკვეულა:
რას მალდურობენ?
მთიულ ვაჟკაცთან ასე ხუმრობენ?

11.

ცაზე რიჟრაჟის სხივი ანთია!
და ხმა მოესმის:
—აქ ვარ მათია!
ფიცი არადროს გამიტეხია!..
ძმაო გაფასებ მეტად ყველაზე“
არსენა ფშაველს გადაეხვია—
თვითონ ავიდა სახრჩობელაზე!

სანდრო შანშიაშვილი.

1927 წ.

ფასების დაკლება პურზე

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატში შესდგა თათბირი, რომელსაც დაესწრენ საქართველოს ვაჭრობის კომისარიატის, „ზაკსოიუზ“-ის, მუშკოოპის, „ზაკტპო“-ს, სამრეწველო კოოპერაციის და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თათბირზე მოსმენილ იქნა ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სპეციალური კომისიის მოხსენება პურის ცხობის გამოკვლევის შესახებ. თათბირმა მოხსენება მიიღო ცნობად. კონკრეტიულ ღონისძიებების პროექტი მოიწონა და საჭიროდ სცნო მათი დაუყოვნებლივ გატარება ცხოვრებაში; სამრეწველო და სასურსათო საქონლის სამმართველოს დაევალა უახლოეს დროში დაამუშაოს საკითხი პურის სტანდარტების შესახებ.

მუშკოოპის და „ზაკტპო“-ს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი წინააღმდეგი არ არიან გამომცხვარი პურის ფასების დაკლების, მაგრამ მისი დაუყოვნებლივ გატარება ცხოვრებაში ნაადრევად მიაჩნიათ, რადგან იმ ორგანიზაციებს, რომლებიც პურს აცხობენ, არ შეუძლიათ თავისი თავი უზრუნველყოფილად ჩასთვალონ იმ სტანდარტის ფქვილით, საიდანაც სწარმოებს პურის საცდელი გამოცხობა; მომატების საშუალო რაოდენობა, რომელიც კომისიამ დააწესა 1-ლი ხარისხისათვის 16 გირ., მეორე ხარისხისათვის 17 გირ. და მესამე ხარისხისათვის—19 25 გირ. ნორმალურად ჩაითვალა კარგი ხარისხის ფქვილისათვის.

ა.-ჰ. ვაჭრობის კომისარიატში

ცემენტის ფასები

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სამრეწველო და სასურსათო საქონლის სამმართველომ ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის კოლეგიის დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილება ახალი ფასების დაწესების შესახებ პორტლანდის ცემენტზე. წინეთ არსებული ფასი 7 მან. 50 კაპ. ფუთი ფრანკო-ვაგონი ფოთი დაკლებულია 7 მან. 05 კაპეიკამდე ფუთი ფრანკო ვაგონი ბათომი. ამ ფასში მიეცემა ცემენტი ბითუმად საქციო საზ-ბა „სევკავტორგს“, დანარჩენ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს კი მიეცემათ 7 მან. 10 კაპ. ფრანკო ვაგონი ბათომი.

ლითონის გაცემის შეზღუდვა

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დაადგინა შეზღუდოს ლითონის საქონლის გაცემა კერძო ბაზარზე; ზოგიერთი საქონლის გაცემა სრულებით შეწყვეტილია, ზოგის გაცემა კი შეზღუდული იქნება 50 პროცენტით. დეკელები და გაიკის გასალებები მიეცემა მხოლოდ ამიერ-კავკასიის რკინის-გზების სამმართველოს და რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს.

მატყლი

საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობით, გასულ საოპერაციო წელიწადში საქართველოში დამზადებულია 45.000 ფუთი გაზაფხულის მატყლი. მომავალ გაზაფხულზე დამზადება აყვანილი იქნება 54.000 ფუთამდე. ამასთანავე დამზადდება მხოლოთ გარეცხილი მატყლი, რომლის ფასი გასული წლის ფასთან შედარებით გაზრდილი იქნება 4 ნახევარი პროცენტით. მატყლის დამზადების ოპერაციებს ჩაატარებს „სოფლის კავშირი“ სას.-სამ. კოოპერაციის საშუალებით.

გაზ. „ენი იოლ“-ის 1000 ნომერი

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ ამხ. გუსეინოვის ხელმოწერით გაზეთ „ენი იოლ“-ის რედაქციას გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„ენი იოლ“-ის პირველი გაზეთის, რომელიც ახალი თურქული ანბანით იბეჭდება, მეათასე ნომრის გამოშვება მეორე რევოლიუციას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის და მთელი ქვეყნის იმ მშრომელთათვის, რომელნიც აქამდე არაბული ანბანით სარგებლობდენ. მეათასე ნომერი ჯამია იმ ენერგიული, დაუღალავი ბრძოლისა. რომელსაც თქვენი გაზეთი აწარმოებს უმეცრებასთან და ჩამორჩენილობასთან; ეს უმეცრება-ჩამორჩენილობა კი წარმოადგენს წარსულის მემკვიდრეობას, როდესაც მშრომელები დამონებულნი იყვნენ ეკონომიურადაც და კულტურულადაც. ოქტომბრის რევოლიუციამ გაანთავისუფლა ყოფილი რუსეთის იმპერიის ყველა ეროვნება კაპიტალისტურ და ეროვნულ უღლისაგან და საფუძველი ჩაუყარა მთელი საბჭოთა კავშირის, კერძოდ კი საბჭოთა აზერბეიჯანის ეკონომიურ აღორძინებას. ეს ეკონომიური განვითარება შეუძლებელი იქნებოდა იმ მეორე რევოლიუციის გარეშე, რომელიც თურქული ერების კულტურულ ცხოვრებაში ახალმა ანბანმა შეიტანა. ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭო მხურვალე სალამს უძღვნის რედაქციას და ყველა მშრომელს აზერბეიჯანისას. რომელიც აღმოსავლეთში ოქტომბრის რევოლიუციის იდეათა და ლენინიზმის გამტარებელია“.

სახკომსაბჭოს მისალმება

10 ნოემბერს თურქულ გაზეთ „ენი იოლ“-ის ათასე ნომრის გამოსვლის გამო ნარიმანოვის სახელობის კლუბში შესდგა ახალი თურქული ანბანის კომიტეტის წევრთა კრება; ახალი თურქული ანბანის მიღწევების შესახებ მოხსენება გააკეთა ა.-კ. ცაკის თავმჯდომარემ ამხ. აღაალი ოღლიმ, მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ა.-კ. სახ. კომ. საბჭოს სახელით ამხ. გუსეინოვმა და საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილების წარმომადგენლებმა. ამხ. აღაალი ოღლის მოხსენების მიხედვით კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია და მისალოცი დეპეშა გაეგზავნა „ენი იოლ“-ის რედაქციას.

ა.-კ. საგადასახადო მუშაკთა მესამე თათბირი

მეცხრე და მეათე სხდომა

9 დეკემბერს დილით მუშაობდენ თათბირის რეზოლიუციების შესამუშავებლად გამოყოფილი კომისიები.

საღამოს სხდომაზე თათბირმა მოისმინა მოხსენებები: ამხ. პოპოვის—საგადასახადო სტატისტიკის მდგომარეობის შესახებ ამიერ-კავკასიაში და ამხ. მამიკონოვის —ადგილობრივი გადასახადების შესახებ; დასასრულ, განხილული იქნა კომისიების მიერ შემუშავებული რეზოლიუციები და პრაქტიკული წინადადებანი.

რეზოლიუცია ამხ. დავიდოვის და სადიხოვის მოხსენებების შესახებ მიღებული იქნა ერთხმად. რეზოლიუციაში, სხვათა შორის, გამოთქმულია სურვილი, რომ ა.-კ. საგადასახადო მუშაკთა მეოთხე თათბირი მოწვეული იქნეს არა უგვიანეს 1928 წლის აგვისტოსი, ივლისში კი მოწვეული იქნეს საგადასახადო მუშაკთა რესპუბლიკანური თათბირები საქართველოში, აზერბეიჯანში და სომხეთში.

საგადასახადო მუშაობის ძირითად ამოცანებად 1927-28 წელში თათბირმა სცნო: საგადასახადო დავალებების 100 პროცენტით შესრულება, გადასახადების ნარჩენებთან ბრძოლა, საგადასახადო მუშაობის მეთოდების შემდგომ გაუმჯობესება, საგადასახადო მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოფხვრა და საგადასახადო მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება.

თათბირის დახურვის წინ თათბირის მონაწილეთ მიესალმა ა.-კ. ფინსახკომის კოლეგიის წევრი ამხ. **გაბაევი**, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ასეთ თათბირებს დიდი სარგებლობა მოაქვს საგადასახადო საქმისათვის; გამოთქვა სურვილი, რომ საგადასახადო მუშაკების თათბირები რაც შეიძლება ხშირად იქნეს მოწვეული. ამხ. გაბაევმა ნაყოფიერი მუშაობა უსურვა ამიერ-კავკასიის საგადასახადო მუშაკებს და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ა.-კ. ფინსახკომი ყოველგვარ ზომებს მიიღებს, რომ შეუმსუბუქოს მუშაობა საგადასახადო აპარატს და შეუქმნას მისთვის უკეთესი პირობები.

ამხ. გაბაევის სიტყვის შემდეგ თათბირი დაიხურა.

რკინისგზელთა კლუბი ზესტაფონში

ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებელ თეატრის უქონლობა დიდ გავლენას ახდენს შორაპნის მაზრის ადმინისტრატიულ და კულტურულ ცენტრის—ქ. ზესტაფონის კულტურულ ცხოვრებაზე. ზესტაფონს მოეპოვებოდა მშვენიერი თეატრი, მაგრამ იგი 1905 წელში გაანადგურა ალიხანოვის რაზმმა და ფერფლად აქცია დღეს მხოლოდ დარჩენილი კედლები უმტკიცებენ მნახველს, რომ ამ ადგილს ოდესღაც თეატრის ლამაზი შენობა ამკობდა.

მას აქეთ საკმაო დრომ განვლო, მაგრამ ზესტაფონი კარგ თეატრს ვერ ეღირსა. თუმც თეატრის შენობის აგების ცდები ხშირი იყო, მაგრამ ისინი უშედეგოდ თავდებოდენ.

ამჟამად ზესტაფონში არსებობს თეატრი, მაგრამ ის მხოლოდ აჩრდილია ამ დაწესებულებისა, იქ შეუძლებელია რაიმე კულტურული ან საკლუბო მუშაობის წარმოება.

ხსენებთან ერთად თეატრის და კლუბის დიდ ნაკლებობას განიცდიდა ზესტაფონის რკინის გზის პროლეტარიატიც, რომელსაც არ ჰქონდათ საშუალება თავისუფალი დრო მოეხმარა საკუთარ კულტურულ და გონებრივ განვითარებისათვის.

ამ გარემოებამ მიიქცია ყურადღება ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირისა, რომელმაც საჭიროდ სცნო ზესტაფონში რკინისგზელებისათვის კლუბის აგება.

ამ განზრახვის განხორციელებას შეუდგენ 1924 წელს. დღეს ეს მუშაობა უკვე დამთავრებულია კლუბის შენობა აგებულია ქვისაგან იგი შესდგება მთავარ დარბაზისაგან, რომელიც იტევს 350-400 მაყურებელს და ხუთი ოთახისაგან, რომლებშიაც იწარმოებს სექციების მუშაობა. კლუბის სცენა იმდენად დიდია, რომ იქ შეიძლება ყველა იმ პიესების დადგმა, რომლებიც იდგმება ეხლა ჩვენს აკადემიურ და მუშათა თეატრებში.

კლუბი შენდებოდა ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის საშუალებებით და მთელი მოწყობილობით დაჯდა 68 ათასი მანეთი. მის აშენებაში საგზაო კომიტეტს დიდ დახმარებას უწევდა ა.-კ. რკინის გზის გამგეობაც.

ზესტაფონის რკინისგზელების დიდი ხნის ნატვრა უკვე განხორციელებულია. გუშინ მათ იზეიმეს ამ კულტურული კერის გახსნა. ამიერიდან მათ საშუალება ეძლევათ თავისუფალ დრო გამოიყენონ რაციონალურად და მოანდომონ ის თვითგანვითარების საქმეს.

საკლუბო მუშაობის გასაჩაღებლად, ჯერ კიდევ გახსნამდე, კლუბთან მოეწყო სხვადასხვა წრეები, რომლებიც უკვე შეუდგენ მუშაობას.

ზესტაფონის კლუბის გახსნა ა.-კ. რკინისგზელების კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა საერთო საამშენებლო დარგში, რითაც მათ შეუძლიათ იამაყონ.

როგორ მიმდინარეობს აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგურის აღშენებლობა

თბილისში ჩამოვიდა აჭარის წყალის ჰიდრო ელექტრო-სადგურის საამშენებლო კომიტეტის წევრი და სადგურის მშენებელი ინჟ. მაშევსკი, რომელმაც სადგურის მშენებლობის მსვლელობის შესახებ განაცხადა შემდეგი:—

მთელი მშენებლობა შეიძლება დაყოფილი იქნეს სამ მთავარ დარგათ: ერთი არის ჯებირის განყოფილება, მეორე—გვირაბის და მესამე ელექტრო - მექანიკური მოწყობილობის განყოფილება. ჯებირის განყოფილებაში შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: იმ ადგილას, სადაც ჯებირი შენდება, აჭარის წყალში არის პატარა კუნძული. მდინარის მარცხენა ნაპირიდან ამ კუნძულამდი გაკეთებული იქნა დროებითი საფარი, რამაც საშუალება მოგვცა მთელი მდინარე გადაგვეყვანა მარჯვენა კალაპოტში. დამშრალ მარცხენა კალაპოტში კი დაიწყო ბეტონის კედლის შენება, რომელიც გაგრძელებული იქნება აჭარის-წყალის მარჯვენა ნაპირამდი და, ამრიგად, გადაკეტავს მთელ ხეობას და გზას გადაუღობავს მდინარეს.

ამჟამად დაშრალია აჭარის-წყალის მარჯვენა კალაპოტიც. მთელი მდინარე გადაყვანილია საფსკერო გვირაბში; მდინარის გვირაბში გადაშვება დასრულდა მიმდინარე წლის 14 აგვისტოს. ეხლა გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს დაშრალ კალაპოტებში ბეტონის კედლის აგებაზე; ეს კედელი (ჯებირის კბილი) აუცილებლად დამთავრებული უნდა იქნეს გაზაფხულისათვის.

რაც შეეხება გვირაბს, მუშაობა მის გასაყვანად სწარმოებდა ორი მხრიდან. გვირაბის სიმაღლეა 10 მეტრი, განი—8 მეტრი. ნახევარზე გვირაბი შელესილია ბეტონით.

საფსკერო გვირაბის ხევით გაყვანილია ძელიდ (დერივაციული) გვირაბი, რომლის სიგრძე უდრის 480 მეტრს. ამჟამად სწარმოებს ამ გვირაბის გაფართოება, რაც დამთავრდება თებერვალში.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: აჭარის-წყალის ჰიდრო-ელექტრო სადგური არ გავს არც ერთ არსებულ (არც საბჭოთა კავშირში და არც უცხოეთში) ჰიდრო-სადგურს. ჩვენ უმეტესად კლდოვან მიდამოებში გვიხდება მუშაობა, ამიტომ ვცდილობთ ჩვენი საჭიროებებისათვის ისევ ეს კლდეები გამოვიყენოთ. აჭარის-წყალის სადგურს არ ექნება ჩვეულებრივი არხი; მის მაგიერობას იქ გვირაბი ეწევა არ იქნება აგრეთვე წყალის მიმწოდებელი არხიც. მის მაგიერობასაც ორი პატარა გვირაბი გასწევს. თვითონ საგენერატორო სადგურიც კლდეზე იქნება დაშენებული. ტურბინები უშუალოდ კლდეზე იქნება დადგმული. ერთი სიტყვით, ჩვენ საამშენებლო მასალის მაგივრად კლდეებთან გვაქვს საქმე.

რომ ვიანგარიშოთ ყველა ის განათხარები, რომლებიც ჩვენ კლდეებში გვიწარმოებია, გამოვა, რომ ჩვენ კლდეები გაგვითხრია 46 კილომეტრის მანძილ ზე.

რაც შეეხება ელექტრო-მექანიკურ სამუშაოებს, უკვე მოწყობილია და მუშაობს დამხმარე ჰიდრო-ელსადგური მდ. მახუნცეტზე. შექმნილია მილები გადამცემ ხაზის მაჩტების დასამზადებლად. მაჩტების დამზადებაში ჩვენ გვისდა გამოვიყენოთ ავსტრალიის მაგალითი. იქ შემოღებულია ახალი ტიპის მაჩტები, რომლებსაც ჯერ არც ერთ ქვეყანაში არ ხმარობენ ეს მაჩტები, ისეთი კარგი, რომ მათზე ძლიერ ცოტა რკინა იხარჯება.

ბათომში მოწყობილია ელექტრო-მექანიკური სახელოსნოები, რომლებიც სხვადასხვა მანქანებს ამზადებენ აჭარის-წყალის სადგურისათვის, სხვათა შორის, მახუნცეთის ჰიდრო-ელსადგურის ტურბინები დამზადებულია ამ სახელოსნოებში. აჭარის-წყალის სადგურის ტურბინები და გენერატორები შეკვეთილი აქვს ლენინგრადის ქარხანას.

ამჟამად სადგურის მშენებლობაზე მუშაობს 870 კაცი. მუშაობა საგენერატორო სადგურის მოსაწყობად დაიწყება 1928 წლის თებერვალ-მარტში. სადგურის სიმძლავრე იქნება 7.500 ცხ. ძალა; დამატებითი ხაზების გაყვანის შემდეგ სადგურის სიძლიერე შეიძლება გადიდებული იქნეს 15.000 ცხ. ძალამდე.

ჯერ-ჯერობით მშენებლობაზე დახარჯულია 3.000.000-დე მანეთი. ამდენივე დაიხარჯება კიდევ. სადგურის აშენების დამთავრება განზრახულია 1929 წლის შემოდგომისათვის.

ახალი კოოპერატიული ამხანაგობები

საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ საკოოპერაციო საქმეთა სამმართველოში დამტკიცებულია ქვემოთ ჩამოთვლილ კოოპერატიულ ამხანაგობათა წესდებები: 1) მარტყოფის წველა-დღვების ამხ-ბა „იალნო“, 2) სარვანის მეთევზეთა არტელი, 3) ლილოს წველა-დღვების არტელი, 4) რეხის სამანქანო კოოპ. ამხ-ბა, 5) მატაანის მშრომელ მიწადმოქმედთა ამხ-ბა „ვაზის ქვეყანა“, 6) ალვანის სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობა, 7) ურთხვას სამანქანო ამხ-ბა „წითელი გლეხი“, 8) ბრეთის სამანქანო ამხ-ბა „განთიადი“, 9) ცოცხნარის სამანქანო ამხ-ბა „წინსვლა“, 10) ახალ ხულგუმოს მეთევზეთა არტელი „პროგრესი“, 11) კიზილ-კილისის მეთევზეთა არტელი, 12) სათიხმეთესლეთა ამხ-ბა, 13) მოხისის სამანქანო ამხ-ბა „მეურნე“, 14) ონის შინამრეწველ ხელოსანთა საკრედიტო ამხ-ბა, 15) წალკის სამანქანო კოოპ. ამხ-ბა „წინსვლა“, 16) ტიბაანის მიწადმოქმედი ამხ-ბა „ხირსის შრომა“, 17) ხარაგოულის სას.-სამ. საკრედიტო ამხ-ბა, 18) ხელვარჯილობის კოოპერატიული ნადი „მარგალი“, 19) თელავის საფეიქრო ნადი „შალის საქსოვარი“, 20) ნატახების სამომხმარებლო კოოპერატივი, 21) ჩოხატაურის სამომხ. კოოპერატივი, 22) ნაგომარის სამომხმარებლო კოოპერატივი, 23) მარანის სამომხ. კოოპ., 24) გორილოვკის სას.-სამ. საკ. ამხ-ბა, 25) სიღნაღის კოოპ. საფეიქრო ნადი, 26) ქვემო ერწოს მესაქონლეთა ამხ-ბა „ფშავ-ხევსურეთის პირველ ნაბიჯი“, 27) შორაპნის სამრეწველო ნადი „შრომა“, 28) შორაპნის მაზრის სტყეო-სამრეწველო ნადი „უღელტეხილი“, 29) თელავის კოოპ. სტრიკოტაჟო ნადი, 30) თელავის კოოპ. სამჭედლო „წითელი ხელოსანი“, 31) სოფ. ვარდისუბნის კოოპ. მეფარდაგეთა საქსოვარი. 32) თელავის კოოპ. მეფარდაგეთა საქსოვარი, 33) თელავის პირველი მეჩექმეთა ამხ-ბა, 34) ზუგდიდის (აზიურ ფეხსაცმელების) სამრეწველო კოოპ. ნადი „შევრო“ და 35) დვაბზუს შინამრეწველთა კოოპ. ნადი „ხელოსანი“.

აღნიშნული წესდებები ამხანაგობებმა უნდა მოიკითხონ ერთი თვის განმავლობაში. ამხანაგობა, რომელიც აღნიშნულ ვადაში არ მოიკითხავს თავის წესდებას, გაუქმებული იქნება.

მუშა-ახალგაზრდობის ჯანმრთელობის გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა დაამთავრა მუშა-ახალგაზრდობის ჯანმრთელობის გამოკვლევა ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკებში.

სულ გამოკვლეული იქნა 6353 ახალგაზრდა მუშა აქედან საქართველოში—2075, სომხეთში—334 და აზერბეიჯანში—2508. ამას გარდა გამოკვლევა შეეხო ამიერ-კავკ. რკინის გზებზე და კასპიის ზღვის ტრანსპორტზე მომუშავე ახალგაზრდა მუშებს. რკინისგზებზე გამოკვლეული იქნა 1119 ახალგაზრდა, წყალის ტრანსპორტზე —317.

გამოკვლევამ გამოარკვია, რომ 6353 ახალგაზრდა მუშიდან ჯანმრთელია 2948 კაცი; აქედან აზერბეიჯანში—1008, საქართველოში 1149, სომხეთში—200, რკინის გზებზე—514 და წყალის ტრანსპორტზე—77; დანარჩენი 3405 კაცი ავადმყოფია; აქედან აზერბეიჯანში—1500 კაცი, საქართველოში—924, სომხეთში—134, რკინისგზებზე—605 და წყალის ტრანსპორტზე—242.

გამოკვლევამ გამოარკვია, რომ ავადმყოფთა შორის ყველაზე მეტი დაავადებულია სისხლნაკლულობით 1199 კაცი და ფილტვების ავადმყოფობით—1163 კაცი; შემდეგ ყველაზე უფრო გავრცელებულია მალიარია—668 კაცი. (აქედან ქართო რკინის-გზებზე დაავადებულთა რიცხვი უდრის 106 კაცს; სხვათა შორის, მალარია სრულებით არ არის გავრცელებული წყალის ტრანსპორტზე.

ავადმყოფი ახალგაზრდა მუშები გაგზავნილი იქნებიან სათანადო სამკურნალო დაწესებულებებში.

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

თავდაცვა საჰაერო თავდასხმისაგან

იმპერიალისტური ომის დროს გერმანელებმა რამდენჯერმე მიიტანეს ლონდონზე საჰაერო იერიში, ვინაიდან ლონდონი წარმოადგენს „ინგლისის გულს“ და იგი ხელმძღვანელობდა ომს და სამხედრო მრეწველობას. იერიშები გრძელდებოდნენ 1917 წლის მაისიდან 1918 წლის მაისამდე, მაგრამ ამ იერიშებს ლონდონისათვის არ მიუყენებია დიდი ზარალი.

წარმოვიდგინოთ ჩვენ შემდეგი სურათი: ლონდონს თავს დაესხა მტერი ჰაერიდან იმ დროს, როდესაც ლონდონი არ არის წინასწარ გაფრთხილებული. ქალაქის თავზე გამოჩნდა მტრის ესკადრილია. ვინაიდან მტერს არავინ უწევს წინააღმდეგობას, იგი იშვებს დაბლა და ჰყრის ქალაქში რამოდენიმე საჰაერო ბომბას. აქედან 5 ან 10 პროც. ბომბების რომ მოხვდნენ მიზანში, საკმარისია, რომ მიაყენონ ქალაქს დიდი ზარალი: რამოდენიმე ათასი დაჭრილ დახოცილი მოქალაქე, დანგრეული ელექტროსადგურები, წყალსადენი, ტელეფონი, ხანძარი — აი, ამ ბომბების შედეგები. სულ სხვა სურათი იქნება როდესაც კარგათ არის დაყენებული ქალაქის დაცვის საქმე საჰაერო თავდასხმისაგან. მტრის მოახლოებას ქალაქი ტყობილობს ფრონტის მხრიდან რამოდენიმე საათით ადრე. ამ ხანში შეიძლება ამოქმედება თავდაცვის როგორც აქტიური, ისე პასიური საშუალებებისა.

აქტიური თავდაცვის საშუალებებმა (გამანადგურებლები, საჰაერო ბატარეა) არ უნდა დაუშვან მტრის ესკადრილიის მოახლოვება ქალაქთან. გამანადგურებლები, შეიარაღებულნი ტყვიაფრქვევლებით და პატარა ყალიბის ხარბაზნებით ხვდებიან გზაში მტრის თვითმფრინავებს და სცდილობენ ან გაანადგურონ ისინი, ან აიძულონ დაბრუნდნენ უკან. გამანადგურებლებს ქვეიდან ეშველებიან საზენიტო ზარბაზნები.

იმ შემთხვევაში, თუ მტერი მაინც შესძლებს რამოდენიმე ყუმბარის ჩამოგდებას ქალაქში, მაშინ წინასწარ მიღებული პასიური თავდაცვის ზომებით, მტრის ბომბები ვერ მიაყენებენ ქალაქს და მოსახლეობას რაიმე მნიშვნელოვან ზარალს.

პასიური თავდაცვის ზომები მიღებულ უნდა იქნენ მშვიდობიან დროსვე, ამისათვის საჭიროა: მოწყობილ იქნეს თავშესაფრები, სადაც საჰაერო თავდასხმის დროს შეიძლება შეაფაროს თავი მოსახლეობამ, მიღებულ იქნეს ზომები ხელოვნური და ბუნებრივი შენიღბვისათვის. (მაგ. ლონდონის მეფის სასახლე იმპერიალისტური ომის დროს ზეიდან (ჰაერის დროს) წარმოადგენდა ტბას). რაც მთავარია, შექმნილ უნდა იქნეს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც წინასწარ შეიტყობს მტრის მოახლოვებას და გააფრთხილებს: სიგნალების საშუალებით მოსახლეობას. მშვიდობიან დროსვე ეწყობა სანიტარული რაზმები, რომლებიც აღმოუჩენენ დახმარებას მოსახლეობას და გასწმენდენ გაზებისაგან მოწამლულ ადგილებს.

სამხედრო უწყება ბრძოლის დროს უწევს ხელმძღვანელობას აქტიურ თავდაცვის საშუალებას; პასიური თავდაცვის ზომები კი ჩატარებულ უნდა იქნეს თვით მოსახლეობის მიერ სამხედრო უწყების გეგმის თანახმად. თუ შესრულებულ იქნება ზედმიწევნით თავდაცვის ყველა მოთხოვნილებები, მაშინ მტრის საჰაერო თავდასხმა არ არის საშიში.

კ. ჟ.

საინჟინერო ნაწილები

ამ 10—13 წლის წინათ საინჟინერო ჯარებს უწოდებდნენ ყველა, სპეციალურ ნაწილებს, რომლებსაც ჰქონდათ რაიმე დამოკიდებულება მაშინდელ სამხედრო ტეხნიკასთან და ასრულებდნენ სხვადასხვა გვარ სამუშაოს. ამათში შედიოდნენ: ავიაცია, სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირი, რადიო და სხვა. საინჟინერო ნაწილების რიცხვობრივად იყვნენ ძალიან მცირე: მაგ. საფრანგეთში ისინი არ ღებულობდნენ მთელი არმიის შემადგენლობის $^{1}/_{10}$ ნაწილს, გერმანიაში $^{1}/_{26}$-, ასეთი იყო რუსეთშიაც.

1914—1918 წლის ომმა ძალიან განავითარა ომის ტეხნიკური საშუალებები, შექმნა ახალი სპეციალური ნაწილები, სამხედრო ხელოვნებაში გამოყენებულ იქნენ მეცნიერების და წარმოებების ისეთი დარგები, რომლებზედაც წინათ არა ჰქონდათ არავითარი წარმოდგენა. იმპერიალისტურმა ომმა წამოაყენა ჯარების წინაშე ახალი ამოცანები, რის შედეგათ მივიღეთ ის, რომ საინჟინერო ჯარები დაყოფილ იქნენ მრავალ სპეციალურ ნაწილებათ. ეხლა საინჟინერო ჯარებში შედიან მესანგრენი, საკომუნიკაციო ტეხნიკური, ჰიდროტეხნიკური და საიდაბო ნაწილები, ამათ შორის ყველაზე საპასუხისმგებლო და მძიმე სამუშაოს ასრულებენ მესანგრენი ორგანიზაციის მხრივ მესანგრენი იყოფიან ქვეითა და ცხენოსნებათ. მესანგრე ნაწილების ორგანიზაციის მთავარი საფუძვლები ერთი და იგივეა ყველა არმიებში. მხოლოდ ზოგიერთ არმიებში ცხენოსან მესანგრეთა მაგივრად არის მესანგრე-ველოსიპედისტები.

მესანგრეთა მოვალეობაში შედის მრავალი სხვადასხვა სამუშაოს ასრულება: საველე სიმაგრეების აგება, ბარაკების, სამზარეულოების, აბანოების და საცხოვრებელ ბინების აშენება, გზების და ხიდების გზების და ხიდების შეკეთება, უკან დახევის დროს ყველა იმ სიმაგრეების განადგურება, რომლებსაც აქვთ რაიმე სამხედრო ხასიათის მნიშვნელობა, მესანგრენი აგრეთვე აწარმოებენ მიწის ქვეშა ომს (ნაღმიანი ომი).

მესანგრეების მთავარი ერთეული არის—ასეული (ესკადრონი). ასეული მუშაობს ან მთელი შემადგენლობით, ან გამოჰყოფს სპეციალისტების გუნდებს, როგორიც არის: დურგლები, მჭედლები, ნაღმოსნები, ამფეთქებლები და სხვ. მთავარი მესანგრეთა მუშაობაში არის ხიდების და გზების შეკეთება და მათი ახლად აგება, ვინაიდან ომის დროს გზებს და ხიდებს აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

იმპერიალისტური ომის დროს და შემდეგ პერიოდში დიდათ გაიზარდა საინჟინერო ჯარების რიცხვი; ეს ზრდა შეეხო უმთავრესად მესანგრე ნაწილებს. ძალიან განვითარდა და გართულდა მესანგრეთა სამუშაო ტეხნიკა. მუშაობის დროს მესანგრენი ხმარობენ მსუბუქ, ხოლო იარაღს მესანგრე ნაწილებში არ არის არავითარი მძიმე და რთული მანქანები.

ზ. ს.

სამხედრო ქრონიკა

სახელმძღვანელოები ეროვნულ სამხ. სკოლებისათვის

სამხედრო სასწავლებლების მმართველობა შეუდგა სახელმძღვანელოების გამოცემას ეროვნული სკოლებისათვის აღმოსავლურ ენებზე.

წვევამდელ მზადება

5 დეკემბრიდან დაიწყო ახალგაზრდობის სამხედრო წვევამდელ მზადება. მეცადინეობა წერტილებზე მიმდინარეობს წარმატებით. ახალგაზრდობა კარგათ ითვისებს როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ საგნებს. წერა-კითხვის უცოდინარნი აყვანილი არიან აღრიცხვაზე წვევამდელების დამთავრების შემდეგ უცოდინარნი მოთავსებული იქნებიან პირველ რიგში სალიკვიდაციო სკოლებში.

სამხედრო ლიტერატურა

სახელგამის მიერ მომავალ 1928 წელში გამოცემულ იქნება მასიური სამხედრო ლიტერატურის დიდი რაოდენობა. გამოცემული იქნება: „წითელარმიელის ბიბლიოთეკა“—100 წიგნი; სერიიდან „საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე“—100 წიგნი და სერიიდან „საბჭოთა კავშირის თავდაცვა“—200 წიგნი.

სამხედრო მუშაობა სოფლად

მოსკოვში შესდგა სოფლად სამხედრო საქმ-ს ხელმძღვანელთა კონფერენცია. კონფერენციაზე განხილულ იქნა საკითხები, რომლებიც ეხებოდნენ სამხედრო პროპაგანდის წარმოებას გლეხობაში. კონფერენციამ გამოიმუშავა სამხედრო მასიური პროპაგანდის მეთოდები სოფლად.

საკავშირო სასკოლო აღწერისათვის

მოწოდება სამაზრო აღმასკომებისადმი

საბჭოთა სახელმწიფოს ყოველ მხრივ განვითარების აუცილებელ პირობათ უნდა ჩაითვალოს მუშათა და გლეხთა ფართო მასების განათლება.

საბჭოთა ხელისუფლება, მუშურ - გლეხური მთავრობა, სწავლა - განათლების საქმეს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ხელისუფლება თავის მიზნათ ისახავს წერა-კითხვის უცოდინარობა მოსპოს და 7—8 წლიდან მთელ მოსახლეობას შეასწავლოს წერა - კითხვა. ამ მიზნის განსახორციელებლად ის აარსებს წ-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლებს მოზრდილთათვის და სასკოლო მასაკის ბავშვთათვის კი პირველ დაწყებითი სკოლებს.

ჯერ კიდევ სკოლის ქსელი იმდენად არ არის გაფართოვებული, რომ სკოლის მასაკის მთელი მოსახლეობა დაიტიოს და ამიტომ სკოლის გარეშე ჯერ კიდევ მრავალი ბავშვი რჩება.

მოუხედავად მძიმე მემკვიდრეობისა საბჭოთა ხელისუფლება ერთ ერთ თავის ახლობელ და მნიშვნელოვან მიზნად ისახავს საყოველთაო სწავლის შემოღებას, ე. ი. სკოლის ქსელის ისე გაფართოებას, რომ სკოლის მასაკის ყველა ბავშვი უზრუნველყოფილი იქნეს სკოლით.

საყოველთაო სწავლების შემოსაღებად საჭიროა განსაკუთრებული გეგმა. გეგმა უნდა დამუშავდეს სამი ძირითადი მასალის მიხედვით: 1). 1926 წ. 17 დეკემბრის მოსახლეობის აღწერის მასალებით, რომელთა საშუალებით გამორკვეული იქნება სასკოლო მასაკის 8—11 წ. ბავშვების რიცხვი, 2). საქართველოს სახ.-სამ. 1923 წ. აღწერის მასალების მიხედვით, სადაც გამორკვეული არის ყოველი სოფ. ეკონომიური მდგომარეობა, რაც საჭიროა სკოლის ქსელის გაფართოების დროს და 3). 1927 წ. 15 დეკემბრის სასკოლო აღწერის მასალების მიხედვით, მთელი სკოლის ქონებრივი და ტეხნიკური მდგომარეობის და მოსწავლე - მასწავლებელთა შესახებ.

პირველი ორი სამუშაო უკვე ჩატარებულია და მასალები მოიპოვება, საჭიროა 1927 წ. 15 დეკემბრის მომავალი სასკოლო აღწერა წარმატებით ჩავატაროთ, რომ მომავალში გეგმის დასამუშავებლად უტყუარი ცნობები გვქონდეს.

განათლების სახალხო კომისარიატი საყოველთაო სწავლების გეგმის შედგენას ვერ შეუდგება ისე, თუ მას არ ექნა ასეთი ცნობები, ამიტომ აღწერის დროს შეკრებილი ცნობები უნდა იქნეს სწორი და უტყუარი.

ვინაიდან 15 დეკემბრის სასკოლო აღწერის ჩატარება დავალებული აქვს ადგილობრივათ მაზრებში სტატ. განყოფილებების გამგეებს და ავტონომიურ რესპუბლიკებში კი სტატ. ცენტრ. სამმართველოებს სამეულების საშუალებით, ამ სამეულებს ყოველივე დახმარება უნდა აღმოუჩინონ აღმასკომებმა პრეზიდიუმებმა, რომ აღწერის პერიოდის განმავლობაში ყოველგვარი დაბრკოლება გადალახული იქნეს.

ამასთანავე აღმასკომების პრეზიდიუმებმა უნდა მიმართონ მოსახლეობას, რომ მთელი მოსახლეობა დაეხმაროს ამ დიად საქმეს. ისინი უნდა დაეხმარონ მასწავლებლებს და მოსწავლეებს აღწერის წარმატებით ჩატარების საქმეში.

საბჭოთა სახელმწიფოს ყველა პარტიულ-საბჭოთა ორგანოებს და აგრეთვე ყოველ მოქალაქეს უნდა ახსოვდეს, რომ სასკოლო აღწერის წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებული იქნება სახალხო განათლების საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენება არა მარტო ჩვენ დროს, არამედ მთელი რიგ მომავალ თაობისათვისაც.

სასკოლო აღწერის დამხმარე კომისია.

სასკოლო აღწერისათვის

სულ უახლოეს ხანში ჩვენ შეუდგებით სასკოლო აღწერას. ზედმეტია იმის შესახებ ლაპარაკი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ აღწერის კარგად ჩატარებას და მასწავლებლობამ ეს ძალიან კარგად იცის. ის ცნობები, რაც სჭირდება სახელმწიფოს, აუცილებლად სწორი და სრული უნდა იყოს.

ამ საქმეში ყველაზე უფრო მეტ და ყველაზე უფრო კარგ დახმარებას მასწავლებლობა გაგვიწევს, ვინაიდან ის მიიღებს აქტიურ მონაწილეობას თვით აღწერის პროცესშიც და ცნობების მიცემაშიც.

ვფიქრობ, რომ სახ. განათლების განყოფილებანი, სკოლები და მასწავლებლები,—ყველა განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრობა მომავალ აღწერას, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული მთელი ჩვენი საგანმანათლებლო მუშაობის სწორი ავეგმვა, სასკოლო აღმშენებლობის სწორი ორგანიზაცია, საყოველთაო განათლების შემოღების სწორად დაწყება, სათანადო გაფართოება და გამრავლება პედაგოგიური სასწავლებლებისა და მრავალი სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

მარიამ ორახელაშვილი.

ინსტრუქტორების გაგზავნა

სასკოლო აღწერის კამპანიისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად აფხაზეთში გაემგზავრა სტ. ცენტრ. სტატისტიკის მმართველი ამხ. არ. რუხაძე, სვანეთში გაიგზავნა აღწერის ინსტრუქტორთა ექსპედიცია; ზუგდიდის მაზრაში აღწერის ჩასატარებლად წინასწარი რაიონული თათბირები უკვე დასრულდა; სამხრეთ-ოსეთში სასკოლო აღწერის საქმის ინსტრუქტორათ მივლინებული იქნა ამხ. ჩიგოგიძე; ახალქალაქში ინსტრუქტორების თათბირი დაიწყო 8 დეკემბერს; თელავში თათბირი უკვე დაიწყო—ქალაქი დაყოფილია 10 უბნად, ხოლო თელავის მაზრა 20 საინსტრუქტორო უბნად.

თბილისში წინასწარი მოსამზადებელი თათბირები უკვე დასრულდა, მაზრაში თათბირები დამთავრდება ამ დღეებში.

მუშაობა ადგილებზე

სენაკის მაზრის აღმასკომის განათლების განყოფილებამ სტატისტიკურ განყოფილებასთან ერთად დაამთავრა მოსამზადებელი მუშაობა სასკოლო აღწერის ჩასატარებლად. მაზრა დანაწილებულია ცხრა სააღწერო რაიონად. რაიონებში ინსტრუქტორებად დანიშნულია სკოლების გამგეები, რომელნიც ხელმძღვანელობას გაუწევენ აღწერას თავიანთ რაიონებში. ამჟამად რაიონებში მიმდინარეობს სკოლის გამგეთა თათბირი და მათი საინსტრუქტორო მომზადება. სააღწერო ფორმულიარები და ფორმები დაგზავნილია რაიონებში. აღწერა დაიწყება 12 დეკემბერს და გაგრძელდება 15-მდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

სპარსეთის კონსულის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა სპარსეთის კონსული ბათუმში ბ. მირზა ხასან ხან ახტარი.

უცხოელი ჟურნალისტი თბილისში

თბილისში ჩამოვიდა ლატვიის გაზეთების სპეციალური კორესპონდენტი ბ. პაეხსონი. მისი ჩამოსვლის მიზანია საქართველოს კულტურული ცხოვრების გაცნობა.

ბ. ჟიჟინაძის დაბრუნება

გუშინ შეუდგა თავის მოვალეობების შესრულებას ს. მ. ც. ს. თავმჯდომარე ინჟ. პ. ჟიჟინაძე, რომელიც ავადმყოფობის გამო შვებულებაში იყო.

ნაოსნობა მდ. რიონზე

ამიერ-კავკ. ნავთსადგურების სამმართველოში მიღებულ ცნობით, 5 დეკემბერს დონ-ყუბანის ხანაოსნო სამმართველომ კრასნოდარიდან ფოთში გამოგზავნა მოტორიანი კატერი და ერთი ბარჟა. ეს ხანაოსნო საშუალებები გადმოგზავნილია მდ. რიონზე ნაოსნობის მოსაწყობად. კატერის და ბარჟის მიღებისთანავე მდ. რიონზე გაიხსნება ნაოსნობა.

ახალი საზოგადოების დაარსება

თბილისში დაარსდა ახალი სააქციონერო საზოგადოება, რომელსაც მიზნად აქვს დასახული დაიწყოს საქართველოში ხელოვნური მატყლის კეთება და გახსნას სხვადასხვა ფართლეულობის ნაჭრებისა და ძველი უსარგებლო ტანისამოსის საუტილიზაციო ქარხანა.

საზოგადოების დამაარსებლები და ძირითადი აქციონერები არიან: საზ-ბა „მკერავი", თბილისის ალმასკომის ადგ. მრეწველობის განყოფილება, ცეკავშირი, საპონ-ზეთის ტრესტი და ტყავტრესტი.

საზოგადოება ახლო ხანში შეუდგება ძველი ტანისამოსისა და ნაჭრების შესყიდვას და მის გადაგზავნას რუსეთის საუტილიზაციო ქარხანაში. ამასთანავე ერთად დაწყებული იქნება ქარხნის აგება.

ფსიქიატრების ყრილობაზე

მოსკოვში ფსიქიატრების და ნევრო-პათოლოგების სრ. საკავშირო ყრილობაზე დასასწრებლად გაემგზავრა პროფ. მ. ასათიანი და ჯანსახკომის სამკურნ. გან. უფროსი ექ. ა. გოცირიძე.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

მივლინება ლენინგრადში. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობამ, ლენინგრადში ანატომთა, ზოოლოგთა და ჰისტოლოგთა კონფერენციაზე სამკურნალო ფაკულტეტიდან მიავლინა პროფ. ა. ნათიშვილი და ასისტენტი ვლ. ცეცხლაძე და სვიმონ საყვარელიძე.

ჰისტოლოგიის კათედრა. სახ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტთან მოეწყო ჰისტოლოგიის კათედრა. იარაღები, რეაქტივები და წიგნები გამოწერილია უცხოეთიდან.

საცდელ-საჩვენებელი სადგურები

საზაფხულო და საზამთრო საძოვრების გამუმჯობესების მიზნით, საქართველოში ეწყობა საცდელ-საჩვენებელი ნაკვეთები. პირველ რიგში მოეწყობა რვა ნაკვეთი საძოვრების მთავარ რაიონებში. განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული საძოვრების გამუმჯობესებას საკვებ ბალახების ქიმიური გზით. თვითეულ საცდელ-საჩვენებელ ნაკვეთს მიეცემა სასოფლო-სამეურნეო მასალები, იარაღები და სათესლე მასალა.

ახალი კოოპერატიული ორგანიზაციები

უკანასკნელ ხანებში ახალი კოოპერატიული ორგანიზაციები დაარსდა შემდეგ ადგილებში, ხარაგოულში—სასოფლო-სამეურნეო - საკრედიტო ამხანაგობა; როზენფელდში—მერძევეთა არტელი; თბილისში—თბილისის რაიონის [illegible] ამხ-ბა „მეტყავე", სამრეწველო-კოოპერატიული არტელი „მარგალი", და „შრომის წინსვლა": სოფ. მიქელ-გაბრიელში (გურია) სამრეწველო-კოოპერატიული არტელი, „ძმობა" და ზუგდიდში —შინამრეწველ-ხელოსანთა ამხანაგობა. საქართველოს ეკონომიურმა საბჭომ უკვე დაამტკიცა აღნიშნულ ორგანიზაციების წესდებები.

სას.-სამეურნეო ბანკების წარმომადგენელთა თათბირი

13 დეკემბერს თბილისში შესდგება ამიერკავკასიის რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო ბანკების წარმომადგენელთა თათბირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთის, ნახიჩევანის, აფხაზეთის და აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო ბანკების წარმომადგენლები. თათბირი განიხილავს შემდეგ საკითხებს: 1) საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი, 2) სესხის გაცემა წვრილეულის დამამზადებელ მეურნეობებზე 3) მელიორაციისა და სხ. საკითხები. თათბირს იწვევს ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი.

ცოფის წინააღმდეგ

ცოფის წინააღმდეგ საბრძოლველად თბილისის ალმასკომმა შეიმუშავა სავალდებულო დადგენილება, რომლის მიხედვით სასტიკად აკრძალულია ქუჩებში ძაღლების გამოშვება პირაუკრავათ.

ძაღლებს პირი აკრული უნდა ჰქონდეს მავთულის ბადით. აგრეთვე პირაუკრავათ ძაღლის გაშვება არ შეიძლება ეზოშიაც.

ქუჩებში პირაუკრავათგამოშვებული ძაღლები დაჭერილნი იქნებიან და მათი პატრონები პასუხს აგებენ ადმინისტრატიულ წესით.

თბილისის ალმასკომში

◆ ტელეფონი სოფლად. ახლო ხანში წალკაში გაყვანილი იქნება ტელეფონის ქსელი.

◆ საბჭოთა სახლების შესაკეთებლად ალმასკომმა გადასდო 250.000 მანეთი.

◆ კანის ავადმყოფობის გავრცელების თავიდან ასაცილებლად ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასწყვიტა აბანოებში შემოიღოს მომსახურეთა წინასწარი შემოწმება.

◆ ტრამვაის სახელოსნოების გასაფართოებლად გადადებულია 28.000 მანეთი.

◆ ახალი გზები. მაზრაში ახალი გზების გაყვანისათვის ალმასკომი წელს დახარჯავს 35.000 მანეთს.

მიწსახკომში

◆ სენაკში ჯიშიანი ღორების მოსაშენებელი სადგურის მოსაწყობად მიწსახკომმა გადასდო [illegible].000 მანეთი.

◆ დოლი. დამთავრდა ბაქოში გამართული დოლი, საქ. ცხენთსაშენის ცხენები ჩამოყვანილია თბილისში. საქ. ცხენთსაშენის ცხენების [illegible] დოლში მიიღო პირველი ჯილდო.

◆ ჯილდო. მიწსახკომმა გადასწყვიტა დაჯილდოვოს ის გლეხები, რომლებიც სანიმუშოდ აკეთებენ შინაურ ცხოველების ჯიშის გაუმჯობესების საქმეს.

ჯანსახკომში

◆ ახალი საავადმყოფო. ჯანსახკომის ცნობით, დღეს, 11 დეკემბერს ცაგერში გაიხსნება ახალი საავადმყოფო.

თოვლი თბილისში

გუშინ საღამოს თბილისში დაიწყო თოვა. ღამის 12 საათისათვის ქალაქი დაფარული იყო თოვლის საკმაოდ სქელი ფენით. თოვა გრძელდებოდა დილამდე.

სხვადასხვა

◆ მეთამბაქოეთა კურსები. 1 იანვარს სოხუმში მეთამბაქოე ღარიბ გლეხების მოსამზადებლად გაიხსნება მეთამბაქოეების სამთვიანი კურსები.

კრებები და მოხსენებები

განათლების მუშაკთა სახლში. კვირას, 11 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება დოცენტ იოსელიანის მოხსენება: „მუტაციის თეორია". მოხსენების შემდეგ—კონცერტი.

ორშაბათს დეკემბრის 12-ს, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიუმში საღამოს 7 საათზე შესდგება საქართველოს ფსიქოლოგიური საზოგადოების კრება. დღის წესრიგი: 1) პროფ. დ. უზნაძის მოხსენება: „ფსიქოლოგიის თანამედროვე მდგომარეობა". 2) ახალი წევრების და საბჭოს არჩევნები დასწრება თავისუფალია.

დღეს, დილის 11 საათზე ამხ. მ. კახიანის სახ. მუშფაკთან არსებულ ლიტერატურულ „წრეში" ამხ. პ. ქიქოძე გააგრძელებს თავის მოხსენებას „მარქსიზმი და ხელოვნება". ლიტწრის წევრთა დასწრება აუცილებელია.

შემთხვევები

საჭირო განმარტება

ჩვენ გაზეთში მოთავსებული იყო ცნობა, რომ ქურდობისათვის დაპატიმრებულია კოოპერატივ „მეომარი"-ს გამგე დიმიტრი სერგის ძე მინასოვი.

სახალხო გამომძიებლის განკარგულებით, მინასოვი განთავისუფლებული იქნა პატიმრობიდან ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო.

ჯიბგირის დაპატიმრება

ისაკ ხარინაშვილი დიდი ხანია, რაც ეწეოდა ჯიბგირობას. განსაკუთრებით უყვარდა მას რკინიგზებზე. გუშინ ხარინაშვილი დააპატიმრა თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ. იგი გამოტყდა დანაშაულში.

„სტაჟიანი" ქურდები

შალვა ივანეს ძე ზადალიშვილი და რაულ გორგის ძე ერვიე „სტაჟიანი" ქურდები იყვნენ. უკანასკნელად მათ გაქურდეს ზოოლოგიური სადგური (ყოფ. სემინარიის ქუჩა). მაგრამ ამით დასრულდა მათი „მუშაობა". გუშინ, სისხლის სამართლის მილიციამ ორთავე ქურდი დააპატიმრა.

ჯიბგირი ქალი

გუშინ, სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომელმა დააპატიმრა ლიუდმილა ვიკენტის ასული რატიკო.

რატიკოს აქვს ჯიბგირობის 4 რეგისტრაცია.

პალტოების მოყვარული

როგორც ვსწერდით, ამ უკანასკნელ ხანებში გახშირდა დაწესებულებებში პალტოების მოპარვის შემთხვევები.

გამოირკვა, რომ პალტოების მოპარვას აწარმოებდა ქურდების ერთი ჯგუფი, რომელიც დახელოვნებული იყო ამ საქმეში. ერთი ბოროტმოქმედთაგანი დააპატიმრა მილიციამ. იგი აღმოჩნდა მიკირტიჩ არუთინის ძე გუშელოვი.

ეკლესიის გაქურდვა

გუშინწინ მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს კუკიის ეკლესია. ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს [illegible] რკინის სალარო.

ქურდის შეპყრობა

გუშინწინ დააპატიმრეს ქურდი-რეციდივისტი გრიგოლ ნიკოლოზის ძე ბელოვიჩი. იგი გამოტყდა დანაშაულში.

ქურდობა

გუშინწინ ქალაქში ადგილი ჰქონდა ქურდობის 11 შემთხვევას.

ხელოვნება

მუშათა თეატრი

(ქართული სექტორი)

„დიდების მაძიებელნი"

(პიესა 4 მოქ. პანიოლის და ნივუასი. დადგმა რეჟ. ბრ. სულიაშვილის მხატ. ვირსალაძე)

პიესის შინაარსი საფრანგეთის რესპუბლიკის ცხოვრებიდან არის აღებული. სცენაზე განსახიერებულია, თუ როგორ ესმით ბურჟუაზიულ მოღვაწეთ „სამშობლოს" შინაარსი. მაყურებელი ხედავს, თუ პატრიოტული გრძნობების ექსპლოატაციით როგორ აწყობენ პირად ბედნიერებას და როგორ დაუნდობლად ვაჭრობენ მოტყუებულ ჯარის კაცთა „დიდებით".

ერთ-ერთი პატარა მოხელე ბაშელე მხოლოდ თავის კეთილდღეობაზე ზრუნავს და, თუმცა გაუბედავად, მაინც მინისტრობისაკენ მიიწევს. დაწინაურების საშუალებას აძლევს შვილის, ანრის, „გმირული" დაღუპვა ფრონტზე. ბაშელეს კარიერას ხიფათი მოელის, როდესაც მისი შვილი ანრი მოულოდნელად დაბრუნდება „მკვდრეთით" აღმდგარი. მამისადმი სიბრალულის გამო ანრი იძულებულია გამოიცვალოს სახელი, რადგან რესპუბლიკაში ნამდვილი გმირის პირველი მოვალეობა—იყოს მკვდარი.

ამ პიესის დადგმა მუშათა თეატრის სცენაზე თანადროულია და გამართლებული, თუმცა მისი იდეოლოგიური მხარე მთლიანად არ არის მისაღები. პიესა რეზონიორულია და სცენიურ გაფორმებისათვის მოკლებულია დინამიურობას.

მიუხედავად ამისა, მისი დადგმა ინტერესს იწვევს და ქართულ მუშათა თეატრში მას ბევრი რამ ახალი შეაქვს.

ახალგაზრდა რეჟისორს გ. სულიაშვილს პიესა დამუშავებია გარკვეული თეატრალური სკოლის (მოსკოვის სამხატვრო თეატრი) მეთოდებით. დამუშავებაში მოჩანს საქმის მცოდნე და არა დილეტანტი.

აქტიორთა თამაშის განცდაზე დამყარებით გაუქმებულია ყოველგვარი ტრიუკები და გარეგნული ეფექტი.

სცენაზე მოქმედობს ხუთი გრძნობის ჰარმონიულად მატარებელი აქტიორი და არა რომელიმე გრძნობის პათოლოგიური გამომსახველი.

ცრუ კლასიციზმიდან შემორჩენილი ისტერიული ყვირილის ნაცვლად, მთელი ყურადღება ქართული ენის ბგერითი დამუშავებაზეა გადატანილი. ამის გამო არ იკარგება აქტიორის არც ერთი სიტყვა.

მიღწევებთან ერთად დადგმაში მოჩანს სამხატვრო თეატრის ტრადიციული ფსიხოლოგიზმი.

საჭიროა ამ მტვერიდან გასუფთავება. მუშათა თეატრის აქტიორები ახალი სამყაროდან მოსულნი [illegible].

რომანიშვილი (ბაშელე), თუმცა ოდნავი გადაჭარბებით, ცდილობდა იმ პატარა მოხელის ტიპს, რომელიც მოკლებულია საკუთარ ინიციატივას. მაგრამ მზად—კი არის კარიერისა და სახელისათვის, უწყინარობის და სითრთოების დაუოკებლად, ყოველგვარ სისაძაგლეზე წავიდეს; დამცირების ამტანი, უპრინციპო და იმავე დროს კარგი კომბინატორი. სამშობლოს გრძნობებით თრანკით შემოსილი, კარიერისტი ქამელეონი — აი, თანამედროვე საფრანგეთის საზოგადო მოღვაწის ტიპი—პიესით ბერლიოზი. მორისიძემ ეს როლი შეგნებულად ჩაატარა. ხშირ-ხშირ, ტრადიციული ხელის თავზე მოსმა—კი გაცვეთილი [illegible] სამხატვრო თეატრის.

გრძნობიარე დედა, როლში კარგი იყო მსახ. ანკაოვა.

ვარძის თამაში აღსანიშნავია, მხოლოდ ეჭემეხის მელო-დრამატიული განსახიერება პიესის დედა აზრის კომპოზიციას არ უდგება.

ყურადღებას იქცევდა ახალგაზრდა მსახიობი ქალი დავითაშვილი ივონას როლში.

რედაქ. რიგბონი (სულთანიშვილი), მაიორი ბლანკარი (აბესაძე), გრაფი (გოძელაური) თავისი თამაშით ამაგრებდნენ პიესის ტრაქტოვკის მთლიანობას.

მნიშვნელოვანი გამოვლენებით იყო დამუშავებული გრიმები, ტანისამოსი და ერთად-ერთი დეკორაცია ახალგ. მხატვრის ვირსალაძის.

ბ. ბ.

მაიაკოვსკის საღამო

მაიაკოვსკიმ თავის ლექსების წაკითხვას წინასიტყვაობა წაუმძღვარა. მისი წინასიტყვა, როგორც ყოველთვის, იყო პირად განწყობილებაზე და იმ სკოლის მნიშვნელობაზე აგებული, რომელსაც თვითონ ეკუთვნის (ფუტურიზმი—„Леф") ჩვეულებრივი უბრალოებით გამოსთქვა აზრი მუსიკაზე, კინოზე და თეატრზე. მუსიკა ბრმებისათვის გამოაცხადა, კინო ყრუებისა და მუნჯებისათვის, თეატრი კი დაბალი ხარისხის ინტელექტისათვის. ხელოვნების ამ დარგებს დაუპირისპირა პოეზია და აღნიშნა სიტყვის უნივერსალობა როგორც უდიდესი ფაქტორი ხელოვნებისა. ხაზი გაუსვა იმ ანორმალურ მდგომარეობას, რომელშიაც მოექცა ფუტურიზმი [illegible]. აქედან გამოიყვანა ის დასკვნა, რომ ნამდვილი ხელოვანი ჯერ კიდევ ვერ სარგებლობს იმ ყურადღებით, რომელსაც ჩვენი სინამდვილე მოითხოვს. გარკვეულად განაცხადა, რომ პოეზიაში მთავარი მნიშვნელობა აქვს არა პირად „ღვთაებრივ" განცდებს, არამედ ყოველდღიურ და არსებულ სოციალურ პირობების მოთხოვნილებების მხატვრულ დამუშავებას. ასეთი გაგებით არის დაწერილი მისი უკანასკნელი პოემა „კარგია", რომლიდანაც წაუკითხა ნაწყვეტები აუდიტორიას.

საღამოს მეორე ნახევარში უპასუხა იმ მრავალ შეკითხვებს, რომელიც მიიღო აუდიტორიიდან წერილების სახით.

შეკითხვების მეტი ნაწილი სენსაციური ხასიათის იყო, მხოლოდ რამდენიმე შეკითხვაზე გასცა მოხსენებელმა სერიოზული პასუხი. ერთ-ერთ შეკითხვაზე: „რისთვის ვიბრძოდით" პოეტმა წაიკითხა ახალი ლექსი ამავე სათაურით. [illegible] ობივატელური გაგება რევოლუციისა სატირული სტილით გამოამჟღავნა და აუდიტორიისათვის ნათელი გახადა რევოლუციის ამგვარი გაგების რეაქციონური ბუნება.

დასასრულ საზოგადოების თხოვნით წაიკითხა „მიმართვა სერგეი ესენინს". საღამოს მრავალი ხალხი დაესწრო.

ვლ. მაიაკოვსკი სტუდენტებთან

გუშინ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კლუბში გაიმართა პოეტ ვლადიმერ მაიაკოვსკის ლიტერატურული საღამო.

საღამოს პირველ ნაწილში პოეტმა წაიკითხა თავისი ძველი და ახალი ლექსები; მათ შორის „ამბავი რომელიც შეემთხვა ვლ. მაიაკოვსკის აგარაკზე ზაფხულში"; ლექსის წაკითხვამდე პოეტმა აღნიშნა, რომ ეს ნაწარმოები გამოხატავს მის დამოკიდებულებას ლიტერატურასთან. შემდეგ წაკითხული იქნა „წერილი მაქსიმ გორკისადმი", „სევასტოპოლი და იალტა" «Пивная завода им. Бебеля».

განსაკუთრებული აღტაცება გამოიწვია სტუდენტებში რეციტ. ლექსმა „левый марш"-მა.

საღამოს მეორე განყოფილებაში მაიაკოვსკიმ გამართა საუბარი სტუდენტებთან, გასცა პასუხი აუარებელ წერილობით შეკითხვებზე. კამათში მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ თბ. სახ. უნივერსიტეტის სტუდენტები გაცილებით უფრო მაღალ დონეზე დგანან რუსული ენის ცოდნაში, ვიდრე ეს რუსეთში გამეგონა.

კამათი გაგრძელდა ორი საათი. დასასრულ მაიაკოვსკიმ წაიკითხა თავისი ახალი პოემის „Хорошо"-ს ნაწილი, საღამოს 2000-მდე სტუდენტი დაესწრო.

ხელოვნების ქრონიკა

მაიაკოვსკი—პროლეტარულ მწერლებთან

ხელოვანთა სასახლეში, ორშაბათს 12 დეკემბერს საღამ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყველა სექციების სხდომაზე ვლად. მაიაკოვსკი გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ლექსი და პოეტის ამოცანები".

დასაწყისი საღ. 6 საათზე.

ვლ. მაიაკოვსკის ლიტერატურული საღამო

სამშაბათს 13 დეკემბერს პოეტი ვლ. მაიაკოვსკი გამართავს ლიტერატურულ საღამოს ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში.

კომკავშირელ მწერალთა წრეში

კვირას, 11 დეკემბერს, კომკავშირელ მწერალთა წრეში საღ. 6 საათზე იწარმოებს მასალების განხილვა.

დღეს თეატრებში და კლუბებში

◆ მ. პოლიაკინის კონცერტი. დღეს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება პიანისტ პოლიაკინის კონცერტი.

◆ „სინათლე". დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „სინათლე".

◆ მუშათა თეატრის რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „უცნობი ქალი ნორდ-ექსპრესიდან".

◆ სათეატრო მუზეუმთან ეწყობა კინოს განყოფილება.

◆ მუშათა ახალ კლუბში დღეს გაიმართება ხალხურ საკრავების საღამო.

◆ კონსერვატორიის დარბაზში 15 დეკემბერს გაიმართება ამავე კონსერვატორიის მოწაფეთა საღამო.

◆ ოპერის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „სამსონ და დალილა".

სახ. უნივერსიტეტის კლუბში დღეს, საღამოს 7 საათზე საბჭოთა და სავაჭრო პროფკომი გამართავს წარმოდგენას შემდეგი პროგრამით: 1) კონცერტი, 2) პიესა „დუელი", 3) კინოების ინტერმედია. შესვლა დარიგებულ ბილეთებით.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სათეატრო დარბაზში „წითელი შოლტის" მიერ წარმოდგენილი იქნება მ. გოგიაშვილის პიესა: „სანაპირო". რეჟ. ნ. გოძიაშვილი.

რუსთაველის თეატრი მიდის... უკან!*)

წარსულ სეზონში „სეჩე მარცხნივ"-ის დადგმამ კონსტრუქტიული კრიტიკა აღტაცებაში მოიყვანა. ბევრი ჩვენთაგანი დარწმუნებული იყო რუსთაველის თეატრის გარევოლუციონერებაში. 5 ნოემბერს გაიხსნა 1927—28 წ. სეზონი და ჩვენი იმედი ფუჭი აღმოჩნდა. გამართლდა ზოგიერთი სკეპტიკოსის აზრი!

სეზონი გაიხსნა „კარმენსიტა"-თი. საკვირველია, რატომ აირჩიეს ასეთი პიესა და განსაკუთრებით საკვირველია ის გარემოება, რომ სწორედ ამ დადგმით გაიხსნა სეზონი. როგორც ჩანს, და ჩემთვის უკვე უდავოა, ეს დადგმა მთელი სეზონის „ძარღვი" იქნება. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ დაიდგა იგი მთავარი რეჟისორის მიერ და გამოყვანილია მთავარი არტისტული ძალები (მესხიშვილი, დავითაშვილი, ხორავა, ვასაძე, ჩხეიძე).

კარმენის სიუჟეტს დიდი ისტორია აქვს და იგი „მოხეტიალე სიუჟეტთა" წყებას ეკუთვნის. მისი ტრაქტოვკა მრავალნაირი შეიძლება. მაგრამ რუსთაველის თეატრში ეს პიესა სავსებით ჰკარგავს იმ „მშვენიერებას", რომელიც ოპერა „კარმენში" (ოპერაშიც კი!) და მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუდიის დადგმაში მოიპოვება. კარმენის ტიპისათვის დამახასიათებელია: ექსპრესია, მტკიცე და ურყეველი ინდივიდუალური „თავისუფლების" მთლიანობა და სითამამე. რუსთაველის თეატრში კი კარმენსიტას სახით მოცემულია სიკვდილის შიშით შეპყრობილი, მშიშარა და სუსტი მთლიანობას მოკლებული და თითქმის გაორებული, უნებისყოფო და ავადმყოფური ტიპი „ჩვეულებრივი" ქუჩის ქალის. დაახლოებით ამავე გზით არის შეცვლილი ხოზეს ტიპიც. „დამნაშავე" ამაში რა თქმა უნდა, ყველაა, ავტორიდან და მსახიობებიდან დაწყებული რეჟისორით გათავებული. მაგრამ ყველაზე ნაკლებადაა დამნაშავე უეჭველად ნიჭიერი მსახიობი ნ. მესხიშვილი და ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა როგორც მხატვრული, ისე იდეური ეკისრება დამდგმელ ა. ახმეტელს.

საერთოდ თანამედროვე თეატრი ნაკლებად ერიდება დრამატიულ ტექსტს, შეძლებით არ ჰრიდებოდნენ ამ ტექსტს. მაგრამ მთავარი არის არა ტექსტი, მთავარია ამ დარგში ტრაქტოვკა და ეს ტრაქტოვკა კატეგორიულად ანტირევოლუციონერული და მავნეა. ეს დადგმა მხოლოდ და მხოლოდ ახალი ბურჟუაზიის და ეკონომიურად [illegible] ქართველი „საშუალო ადამიანის" გემოვნებას შეეფერება. თეატრი, როგორც ჩანს, თანდათან ხდება „ახალი მაყურებლის" თეატრად და ემორჩილება მის სოციალურ კარნახს. გაშიშვლებული ეროტიკა, „ძლიერი" თავისი ფიზიოლოგიური პათეტიკით, მოკლებული ყოველგვარ კონკრეტულობას, მით უმეტეს, თანამედროვე ფონის გარეშე წამოყენებული—ეს არის „სანახაობა" არსებითად [illegible].

პატარა ექსკურსია: 1905 წლის რევოლუციის შემდეგ რეაქციის პერიოდში ბურჟუაზიული მწერლობა ასეთი ეროტიკით (სანინი) შლიდა და ანადგურებდა რევოლუციის შემდეგ [illegible] ლიბერალურ და რევოლუციონურ ინტელიგენციას. დღესაც ახალი ბურჟუაზიული მწერლობა რუსეთში (პ. რომანოვი და სხვ.), ჩვენში ნაწილობრივ მ. ჯავახიშვილი და განსაკუთრებით დეკადენტები (გრ. რობაქიძის „გველის პერანგი")—ამავე მეტად აგრესიულ ხერხს მიმართავს. ასეთი პორნოგრაფიული ტალღა აორებს, შლის და ანადგურებს თანამედროვე მებრძოლ ადამიანს. მაგრამ განა ასეთი ახალი მუშური, პროლეტარული ინტელიგენციისათვის დაიდგა „კარმენსიტა"? რა თქმა უნდა არა! აუდიტორიის შემადგენლობაც სეზონის გახსნის დღეს შეეფარდებოდა დადგმას და ამრიგად ჩვენ ვდგევართ რუსთაველის თეატრის აშკარა გადაგვარების გზით [illegible] საშიშროების წინ

მაგრამ ნუ ვიჩქარებთ დასკვნებით და ვკითხოთ: ეგებ თეატრს კიდევ რამე მოეპოვება რეპერტუარში ისეთი, რაც გამოასწორებს მდგომარეობას!

დარჩა „10 დღე", სამი დადგმა კვაჭის შესახებ და დ. შენგელაიას „თეთრები".

დ. შენგელაიას „თეთრებზე" ჯერ არაფრის თქმა არ შეიძლება.

„ათი დღე"... უკვე დაიდგა და უნდა ითქვას პირდაპირ: ეს ძლიერ ცუდი „ხალტურული" და დაბალი ხარისხის ინსცენირებაა. ეხლა ამაზე უკეთესი ინსცენირებას მუშათა კლუბები აკეთებენ. როგორც ჩანს, თეატრს არც კი უსურვებია ამ მეტად „არასასიამოვნო" თემაზე ემუშავნა: იგი ნაჩქარევია, მსახიობები უყურადღებოდ ეკიდებიან როლებს, ვასაძის შესრულებაში „პირველი ბოლშევიკი" ხულიგანს უფრო ჰგავს, ვიდრე პროლეტარიატის ბელადს. ძლიერ სუსტია მასიური სცენები (თოლახი). ცუდადაა დალაგებული კუპლეტები, ბანალურია და ანაქრონიზმით სავსე სცენა კაფეში, (სად იყო 1917 წელში ფოქსტროტი?) და სხვ. საერთოდ ეს დადგმა არავითარ კრიტიკას არ უძლებს და ვინ იცის ამით სურს თეატრს „გამოიყიდოს" ცოდვები!

რაც შეეხება რეპერტუარის იმ ნაწილს, სადაც კვაჭი ბატონობს („კვაჭის გასაბჭოება", „იმპერიუმ"—მ. ჯავახიშვილისა „ამერიკელი კაჭა"—შიუკაშვილისა) ამაზე რაღა ითქმის? აქაც აშკარაა, თუ რომელი აუდიტორიისთვის შექმნილი იგი. საქმე იმაშია, რომ თეატრი კვაჭის ნიღბის შექმნას და სავსებით „ნიღბის თეატრად" გადაქცევას ლამობს.

რა არის ნიღბის თეატრი? მოხ. ლუკიჩიგის სამართლიანი განმარტებით ნიღბის თეატრი „შტამპის და კლიშეს" თეატრია. იგი იძლევა განსაკუთრებულ ტიპების მოძველებულ და „სტანდარტულ" ნიღბს. ასეთი ნიღბები გამყარებული ყოფა-ცხოვრების განმტკიცების და გაკონსერვატიულების შედეგ წარმოიშვა, და ნიღბის თეატრი ბურჟუაზიულ საზოგადოებრივობაშია განმტკიცებული. რატომ? იმიტომ, რომ იქ ბურჟუაზიამ უკვე შექმნა, უკეთ, დიდი ხანია შექმნა და ჩამოაყალიბა „კეთილშობილური" ადამიანების შაბლონური ტიპი. რომელსაც თეატრის საშუალებით ამტკიცებს და „ალამაზებს". შეუძლია ჩვენ თეატრს მონახოს ჩვენში ასეთი ტიპი—ნიღაბი? რა თქმა უნდა, არა! ჩვენი ახალი ყოფა, ჯერ ჩამოყალიბების სტადიაშია და ასეთი ნიღბების მოცემა ჩვენი ჩამოუყალიბებელი ყოფის გარეაქციონერება იქნებოდა.

რუსთაველის თეატრი არ სცდილობს ახალ ადამიანის ტიპის მოცემას, იგი კვაჭი კვაჭანტირაძის ნიღბის პოპულარიზაციის გზით მიდის და ამით ძლიერ ცუდ სამსახურს უწევს პროლეტარულ საზოგადოებრიობას. თეატრს სამართლიანად შეუგნია, რომ დღეს კომედია აუცილებლად და ვოდევილია საჭირო, მაგრამ ჯერ არ შეუგნია, რომ კომედიის საშუალებით ჩვენ [illegible] უნდა ვებრძოდეთ. განა ეს კვაჭის საშუალებით არის შესაძლო? საკმარისი იყო ერთი დადგმა, განა სხვა საკომედიო მასალა არ არის? მაგრამ, რომ დასკვნა [illegible]. ამისთვის საჭიროა თვალსაზრისი—ეს თვალსაზრისი კი რუსთაველის თეატრს არ მოეპოვება ისეთი, როგორიც საბჭოთა თეატრს შეეფერის.

როდესაც საფრანგეთში აღმოცენებული ბურჟუაზიული კლასის დრამატურგია (ნიველ-დე-ლა-შოსე) ებრძოდა რასინის კლასიკურ ტრაგედიას, იგი ჰქონდა სინამდვილეში ჯერ არ არსებულ. მაგრამ პოტენციაში მოცემულ ბურჟუაზიულ იდეურ ტიპს და ამ „გაკეთებული" გმირის (და არა მოძველებული ნიღბის საშუალებით) იბრძოდა იგი ახალი ადამიანის განმტკიცებისათვის (გ. ლელევიჩი).

ჩვენი თეატრისათვის არ შეიძლება არსებობდეს ახალი ადამიანის ნიღაბი, ისეთი შტამპი როგორიც თანამედროვე ბურჟუაზიულ „მორალის" თეატრშია. ჩვენი გმირი უფრო ზედმიწევნით დახასიათებულ ტიპის „გაკეთებული" ადამიანი უნდა იყვეს! მაგრამ განა ეს შეუძლია ჩვენ რუსთაველის თეატრს, როდესაც იგი ორიენტაციას ნეპმანურ აუდიტორიაზე, წვრილ-ბურჟუაზიულ-ავანტიურულ ნიღბზე (კვაჭი), ბურჟუაზიულ ეროტიკაზე („კარმენსიტა"), „რევოლუციონურ ხალტურაზე" („ათი დღე"...) და არა პროლეტარულ დრამატურგიაზე იღებს?

ორიოდე სიტყვა დრამატურგებზე: რუსთაველის თეატრი გაურბის დრამატურგს და განსაკუთრებით პროლეტარულ-რევოლუციონერ დრამატურგს. საქმე იმაშია, რომ ჩვენში პროლეტარული დრამატურგია ჩამოყალიბებული არ გვაქვს. მაგრამ ზოგიერთი ძალების (მაგ. კ. კალაძე, ი. ვაკელი და სხვა) გამოყენება თეატრს შეეძლო. თუ თეატრი ისეთი გეგმით და ასეთი დრამატურგიით, როგორიც რუსთაველის თეატრს მოეპოვება, „გაურბის „ლიტერატურას", —ეს არც ისე დადებითი მოვლენაა, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. ასეთ თეატრში მეტად სასარგებლო იქნებოდა რეჟისორის დიქტატურის შეზღუდვა „ლიტერატურის", უმთავრესად პროლეტარულის ხარჯზე.

რუსთაველის თეატრი საქართველოს უდიდესი და უძლიერესი თეატრი უნდა იყვეს. მას რა თქმა უნდა ბევრი აქვს მიღწევების. მაგრამ ამ წერილში ჩვენ გვაინტერესებდა სეზონის გახსნის შედეგები და როგორც დავინახეთ ამ სეზონში თეატრი სულ უკან და უკან დახევას ლამობს...

პლ. ქიქოძე.

---

*) კამათის წესით.

სასამართლო

„უიღბლობამ"

— კაცო, როგორ მოგივიდა, რა მკლავზე იყავი. რატომ არ დაფიქრდი რას ჩადიოდი?

— ეჰ! დამღუპა ჩემმა უიღბლობამ, სხვამ არაფერმა.

— უიღბლობა კი არა, არ გეწყინოს და ეს არის შენი უჭკუობა, — ხელის ჩაქნევით უპასუხებს ამხანაგი თავის ამხანაგს მიხეილ მანდენოვს.

— ნუ იტყვი მაგას, ღმერთმანი, ხელში მეჭირა „უეჭველი" მოგება, მაგრამ გამწირა ამ ბრიყვმა კარტმა და დავიღუპე.

— ხელში თუ გეჭირა. კიდეც მოიგებდი. დახე ეხლა რამდენი გიჭირავს ხელში.

— რა ვუყოთ ეხლა, ხელი წამივიდა, იღბალზეა დამოკიდებული.

საქმე შემდეგშია. მიხეილ მანდენოვი „გოსშვეიმაშინა"-ში მსახურობდა. ნდობა კარგი ჰქონდა და საკმაოდ საპასუხისმგებლო დავალებებსაც ასრულებდა აღნიშნულ დაწესებულებაში.

ერთ „კვიმატ" დღეს მიხეილ მანდენოვს დაავალეს საქონლის გამოსყიდვა რკინის გზის სადგურიდან, ჩააბარეს ხელში 1.470 მანეთი და გაგზავნეს.

გზაში, თუ თავის ოჯახში ამ თანხიდან ცოტა (100 მანეთი) „შემოიხარჯა". მოგეხსენებათ, რომ რკინის გზის სადგურში ერთი კაპიკიც რომ დაგაკლდეს, საქონელს ვერ გამოიყვან. [illegible] არის ტარახა.

პო და ეს ასი მანეთი საიდან გამოჩნდეს მანდენოვმა. არა და, საქონელს გამოსყიდვა უნდა.

ბევრი იფიქრა მანდენოვმა და ბოლოს ჰპოვა „უებარი" საშუალება დანაკლისის დასაფარავად. [illegible] დანარჩენი 1.370 მანეთი ჯიბეში და წავიდა იქ, სადაც პირველად არ ყოფილა. ავიდა კარტის სათამაშოდ.

— რა არის ამაზე ადვილი? ამდენს ფულს ჯიბეში მაქვს, დაურტყამ და დაურტყამ „ბანკს", გავაფასებ ყველას, ვინ გაიძლებს, მოვიგებ ფულებს. დანაკლისსაც დავფარავ და კიდევაც ბევრი დამრჩება, — ფიქრობს მანდენოვი.

მაგრამ იმდენი თქვენ ამ ქვეყანაზე მტრები დაგრჩათ, რამდენიც მანდენოვს ფული დარჩა ჯიბეზე.

თუმცა „უეჭველი მოგება ხელში ეჭირა", მაგრამ „უიღბლობამ" არ გაახარა. არ გაუმართლა.

მანდენოვი დააპატიმრეს „უიღბლობის" გამო. საქმე გაარჩია თბილისის პირველ უბნის სასამართლომ.

მიხეილ მანდენოვს მიესაჯა 1 წ. წლით თავისუფლების აღკვეთა. ამნისტიის ძალით სასჯელი გაუნახევრდა.

ზერ.

ახვლედიანის საქმე

გრძელდება მოწმეების დაკითხვა. სხდომაზე გრძელდებოდა მოწმე ლეჟავას დაკითხვა.

მოწმე ლეჟავა ფარდას ხდის მთელ რიგ ისეთ ფაქტებს, რომლებიც ცხადყოფენ, რომ საკლუბო კომისიაში ადგილი ჰქონდა ბოროტმოქმედებას. მაგალითად, ბრალდებულ ახვლედიანის კონტრაგენტს ხვანიძისათვის მიუცია ჯერ 400 მანეთი ავანსის სახით, რომელიც ჯერაც სავსებით არ არის დაფარული და გარდა ამისა ამავე ხვანიძის დავალიანება სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისადმი 200 მანეთის რაოდენობით სრულიად უკანონოდ ჩამოუწერია.

მოწმე ლეჟავას დაკითხვის შემდეგ უზენაესი სასამართლო ადგენს გამოწვეულ იქნენ ექსპერტები, რომლებიც გაეცნობიან საკლუბო კომისიის ანგარიშებს, წიგნებს, გამოარკვევენ დავალიანების ხასიათს და რაოდენობას.

ექსპერტები ორშაბათიდან შეუდგებიან მუშაობას.

შემდეგ დაკითხულ იქნა სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარი ამხ. კ. ხომერიკი.

მოწმე ადასტურებს იმ ფაქტს, რომ როცა რევიზიამ გამოარკვია ს. ახვლედიანის დიდი დავალიანება კომისარიატისადმი, ახვლედიანმა სთხოვა მას მიეცა დანაკლისის დაფარვის საშუალება.

პროცესი დიდძალ ხალხს იზიდავს.

ალიმენტი

— მე ვარ ავადმყოფი. შრომის უნარს მოკლებული, არ გამაჩნია არავითარი სახსარი, რითი უნდა ვიცხოვრო? გთხოვთ ჩემს ყოფილ ქმარს, რომელმაც სრულიად უმიზეზოდ მიმატოვა, დააკისროთ ჩემთვის სარჩოს მოცემა,— ლაპარაკობს ცოლი.

— მე არაფერსაც არ მივცემ, მაგას საკმარისი სარჩო მივეცი უკვე. ბინა დაუტოვე, რომელიც მაშინ („კურსზე" რომ გაიანგარიშოთ) ძვირი ღირდა.

რომ ლაპარაკობს ავად ვარო, ეს სულ ტყუილია. მე კიდევ უფრო მეტი ავადმყოფი ვარ: თირკმლებზე ქვები მაქვს და ფილტვებში კატარი... ლაპარაკობს ქმარი ლავრენტი ჯიბლაძე, რომელსაც ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს მზად არის უკუღმა შეაბრუნოს სამართალი და ცოლს მოსთხოვოს ალიმენტი.

სასამართლო სინჯავს საბუთებს. ჩანს, რომ ავადმყოფი (ჯიბლაძის ყოფ. ცოლი) მართლაც შრომის უნარ მოკლებულია.

ჯიბლაძე ცხარობს.

არკვევენ ჯიბლაძის ჯამაგირის რაოდენობას. საბუთი მოწმობს, რომ ჯიბლაძეს 200 მანეთზე მეტი აქვს ჯამაგირი.

სასამართლო ადგენს: მოქ. ლავრენტი ჯიბლაძემ იხადოს თავისი ყოფილი ცოლის სასარგებლოდ ყოველთვიურად ოც-ოცი მანეთი.

ბრძოლა ეპიდემიასთან

რამდენი გახდა ავად

1-ლი დეკემბრიდან 8 დეკემბრამდე თბილისში ყოფილა ქუნთრუშით შეპყრობილი 66 ავადმყოფი და დიფტერიტით 28. მათ შორის გარდაიცვალა მხოლოდ ერთი ბავშვი ქუნთრუშით.

აცრების მიმდინარეობა

ამჟამად აცრებს აწარმოებენ 13 შრომის სკოლაში და 5 საბავშვო ბაღში. ყველა აღნიშნულ სკოლებში და საბავშვო ბაღებში აცრები დამთავრდება 24 დეკემბერს. დღიდან აცრების შეწყვეტისა, ქალაქში დაარსებული იქნება ორი ამცრელი პუნქტი სკოლის გარეშე დარჩენილთა ასაცრელად.

სკოლებში აცრების ჩატარება განახლებული იქნება 10 იანვრიდან.

ახალი საავადმყოფო

ლეჩხუმში

დღეს, დაბა ცაგერში გაიხსნება ახალი სამაზრო საავადმყოფო.

საავადმყოფოს შენობა ახლად აგებულია და მოწყობილია ყველა საჭირო კაბინეტებით. საავადმყოფოში სულ იქნება 50 საწოლი და სამი განყოფილება: სამეანო-გინეკოლოგიური, ქირურგიული და თერაპიული.

საბჭ. რესპუბლიკების ეროვნებათა კულტ. კავშირი

(საუბარი ამხ. შ. დუდუჩავასთან)

თბილისში დაბრუნდა ამხ. შ. დუდუჩავა, რომელიც სახ. განსახკომის მიერ გაგზავნილი იყო მოსკოვში საბჭოთა კავშირის ეროვნებათა ეთნოგრაფიულ საღამოზე დასასწრებლად. ჩვენს თანამშრომელთან საუბარში, ხსენებულ საღამოს ჩატარებისა და ს. ს. რ. კ. ეროვნებათა კულტურულ კავშირის შესახებ, ამხ. შ. დუდუჩავამ განაცხადა შემდეგი:

სამხატვრო მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიამ მოსკოვში, ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე გახსნა სპეციალური განყოფილება საბჭოთა კავშირის ეროვნებათა ხელოვნების შესწავლის მიზნით. განყოფილებას მიზნათ აქვს დასახული: 1) ეროვნებათა ხელოვნების მდგომარეობის შესწავლა, 2) გამოკვლევა იმ ტრადიციებისა, რომელთა მიხედვით ვითარდებოდა ეროვნებათა შემოქმედება, 3) მხატვრული ფოლკლორის ეტნიურ თავისებურებათა შესწავლა და 4) რევოლუციამდე არსებულ და რევოლუციის შემდგომი ხელოვნების სოციალურ-ეკონომიური ანალიზი.

ამ საკითხების მეთოდური და მეთოდოლოგიური დამუშავება პირველყოვლისა ითხოვს ეროვნებათა მხატვრული შემოქმედების ყველა დარგების გამოკვლევას და საფუძვლიანად შესწავლას.

ხსენებულ განყოფილების მიპატიჟებით, საქართველოდან მოსკოვში მივლინებული იყო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ხალხურ სიმღერათა შემსრულებელი გუნდები. მოეწყო კონცერტი პრიმიტიული სიმღერისა და ხალხური ცეკვის სპეციალური საღამო. ყოველ სიმღერის შესრულების დროს დამსწრეთ ახსნა-განმარტებას აძლევდა კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილი, რომელიც გუნდებთან ერთად მივლინებული იყო მოსკოვში, საღამომ დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრეთა შორის. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ქართულმა ცეკვამ. კარგი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე მეგრულ ხალხურ სიმღერების შემსრულებელთა გუნდმა. თუმცა მის შესრულებას ემჩნეოდა ევროპულ-ხალხურ სიმღერათა ჰარმონიულობა. დიდი ყურადღება მიიპყრო გურულმა ხალხურმა სიმღერებმა, რომელთა შესრულებაში სჩანდა ნამდვილი პრიმიტივი. მუსიკის ზოგიერთ პროფესორებთან საუბარში გამოირკვა, რომ ევროპიულ საკრავ ინსტრუმენტებს არ შეუძლია ჩაიწეროს მთელი ის ინტონაციური თავისებურობა, რომლითაც დაჯილდოვებულია აღმოსავლეთის მუსიკა. ამ შემთხვევაში გურული ხალხური სიმღერები დიდ თავისებურ საგანძურს წარმოადგენენ, რადგან მისი მეტრო-რიტმიული და აგრეთვე ინტონაციური მელოდიური წყობა შეუძლებელია გადატანილ იქმნეს რომელიმე ევროპიულ ნოტაციაზე.

კახური ხალხური სიმღერების შესრულებით საღამოზე დიდი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე დებ თარხნიშვილების გუნდმა.

სამხატვრო მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიის გამგეობისა და ს. ს. რ. კ. ეროვნებათა ხელოვნების შესწავლის განყოფილების სხდომაზე ამხ. შ. დუდუჩავას მოხსენება გაუკეთებია თანამედროვე ქართული ხელოვნების შესახებ. მოხსენებამ [illegible], განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია კამათი ქართულ მხატვრობის გზებზე და ნიკო ფიროსმანიშვილის შემოქმედებაზე.

ბიტუმის მადნები

რაჭაში

სოფ. ბაჯში (დაბა ჭრებალოსთან) აღმოჩენილია საუკეთესო ხარისხის ბიტუმის მადნები. ამ ბუდობებიდან ბიტუმის ნიმუშები გადაეგზავნა პროფ. სახაროვს, რომელმაც ნიმუშები მოიწონა.

ამ რამოდენიმე დღის წინად მადნის ბუდობების დასათვალიერებლად რაჭაში გაემგზავრა გეოლოგი ა. ბახტაძე, რომელმაც მოახდინა ბუდობების ზერელე დათვალიერება და ჩამოიტანა საანალიზოთ მადნის ნიმუშები.

ბიტუმის მადნებიდან აიღებენ ჩვეულებრივად ქუჩების მოსაგებ ასფალტს. ბიტუმზე ძალიან დიდი მოთხოვნილებაა ჩვენში და საზღვარ-გარეთ. საბჭოთა კავშირში საუკეთესო ხარისხის ბიტუმის მადნები მოიპოვება მხოლოდ ნატანებში; როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, რაჭაში აღმოჩენილი ბიტუმის მადნები ნატანებისაზე უკეთეს შთაბეჭდილებას სტოვებს. მადნების დამუშავების საკითხი ამჟამად სავსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი ბიტუმის მარაგი ახლად აღმოჩენილ ბუდობებზე. მარაგის გამოსაკვლევი სამუშაოები დაიწყება მომავალ ზაფხულზე.

მეცნიერება და ტექნიკა

შპალების გაჟღენთვა

გაჟღენთილ და გაუჟღენთავ შპალების გამძლეობის ხანგრძლივი გამოკვლევა წარმოადგენს საკმაო საფუძველს იმისათვის რომ შპალების გაჟღენთვა ჩაითვალოს აუცილებელ საჭიროდ როგორც რკინის გზის მეურნეობის თვალსაზრისით, ისე ჩვენი ქვეყნის სატყეო სიმდიდრეთა დაცვის თვალსაზრისითაც. მთელი საკითხი მდგომარეობს მხოლოდ სათანადო ანტისეპტიკურ საშუალებისა და შპალების გაჟღენთვის წესის ამორჩევაში ადგილობრივ პირობების და მთელ რიგ სხვა ფაქტორების მიხედვით, რომლებსაც ამ საქმეში, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. საჭიროა რომ იქნას ზომები ხის შპალების დასაცავად ლპობისაგან დაახლოებით იმ ვადის განმავლობაში, რომლის ფარგლებშიაც ისინი შეიძლება გამოუსადეგარი გახდნენ მექანიკური გაცვეთის გამო. ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, რკინის გზებს მოეპოვება მთელი რიგი სხვა საშუალებები, რომლებიც შპალების სამსახურის ვადის გასაგრძელებლად ზედა ნაგებობათა უკეთ მოწყობით, საბალასტო ფენის ღირსების გაუმჯობესებით, რკინის საყრდენების გამოყენებით. რელსებისა და შპალების დამაგრების საუკეთესო წესის ამორჩევით და სხვ. თვით ანტისეპტიკურ საშუალების ამორჩევის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის ქიმიურ მრეწველობის და ქიმიურ ბაზრის მდგომარეობაზე ცდების და ლაბორატორიული დამუშავების თანდათანობითი ასეთი ხასიათის ქიმიურ მასალების რიცხვს, თანდათან ამჯობესებს და აიაფებს მათ; მაგრამ მაინც ყოველ განსაზღვრულ მომენტში და ყოველ განსაზღვრულ ქვეყანაში შპალების გაჟღენთვის პრაქტიკას თავის განკარგულებაში აქვს ამ მიზნისათვის საჭირო ანტისეპტიკურ საშუალებათა საკმაოდ განსაზღვრული არჩევანი. მაგალითად რუსეთის მრეწველობა [illegible].000.000 შპალის გასაჟღენთავად [illegible] ხლორიან თუთიის და ნაწილობრივ ქვანახშირის კრეოზოტის ზეთს. ტექნიკურ ლიტერატურაში მოხსენებულ ცნობების მიხედვით კრეოზოტის ზეთის მარაგის უფრო ყაირათიანად დასახარჯავად, შესაძლებელია მისი გამოყენება წმინდა სახით კი არა, არამედ ნარევებით, მაგალითად ნავთთან. ასე, მაგალითად, რუმინეთში და ჩრდილოეთ ამერიკაში უკვე 10—12 წელიწადია, რაც წიფელის შპალებს ჟღენთავენ 25 პროც. კრეოზოტის ზეთის და 75 პროც. გამოხდილ ნავთის ნარევით. ჩვენი ქიმიური მრეწველობის სუსტი განვითარების პირობებში ეს წესი ჩვენ მოგვცემს საშუალებას ორჯერ გავადიდოთ კრეოზოტის ზეთით გაჟღენთილ შპალების რაოდენობა. წინასწარი ცდა უკვე გაკეთებულია და ამჟამად გრძელდება გორის შპალის საჟღენთ ლაბორატორიაში. ამ ცდების დროს პირველ რიგში საჭიროა იმ განსაკუთრებული მოვლენის დადგენა, რომ შერჩეულ იქნეს შესაფერი ღირსების ნედლი ნავთი, რომელიც ნავთთან კრეოზოტის შერევის დროს მოგვცემს საკმაოდ ერთგვარ ნარევს. რუსეთში მოიპოვება ნავთისა და ნავთის პროდუქტების უდიდესი მარაგი და მასთან ნავთის პროდუქტებს ხის შპალების გაჟღენთვის საქმეში დიდი მომავალი აქვს: ამან უნდა გააიაფოს შპალების ჟღენთვა. შპალების გაჟღენთვა შეიძლება რამოდენიმე წესით: 1) შპალების დაყალვით ანტისეპტიკურ საშუალების ცივ ხსნარში, 2) ანტისეპტიკურ საშუალების შეყვანა შპალში ორთქლთან ერთად და 3) ანტისეპტიკურ საშუალებათა გაჟღენთვა წნევის ქვეშ. ამჟამად უფრო გავრცელებულია შპალების გაჟღენთვა წნევის საშუალებით, რომელიც ხდება სპეციალურ ქარხნებში. საქართველოში ასეთი ქარხანაა ორია: გორის ორ რეტორტიანი ქარხანა, რომელიც ჟღენთავს 800 ცალ შპალს დღეში და ნავთლუღის ერთ რეტორტიანი—ჟღენთავს 400 ცალს დღეში.

მთავარი მასალა — დონის ქვანახშირის კრეოზოტი — მოდის ქარხანაში სპეციალური ცისტერნებით, შპალები ადგილობრივი. წიფლის. ამ მასალის შესწავლას უნდა მიექცეს ყურადღება.

ქიმიკოსი ა. ზრიგოლია.

ცხოველების გულის გადანერგვა

სხვადასხვა ორგანოების გადანერგვის ცდებს ექსპერიმენტული წარმატებით ახდენენ ახალგაზრდა ცხოველებზე. უკვე დიდი ხანია მოახდინეს გულის გადანერგვის ცდები თავკომბალებზე. შესაძლებელი აღმოჩნდა „მეორე გულის" გადანერგვა თავკომბალისათვის სხვა თავკომბალის ორგანიზმიდან. რაც შემდეგ ხდებოდა [illegible] დიდ ცხოველებზე, ეს უკანასკნელ ხანებამდე უმრავლეს შემთხვევაში მარცხით თავდებოდა. ორგანოების ყოველგვარი გადანერგვა დიდ ცხოველებისათვის მეტად რთული ამოცანაა და დადებით შედეგს ასეთ შემთხვევებში იშვიათად აღწევენ.

ამ რამდენიმე ხნის წინათ დ-რმა პაულ ვეისმა ვენის საექიმო აკადემიის ლაბორატორიაში მოახდინა დიდ ცხოველებისათვის გულის გადანერგვის მეტად საინტერესო ცდები. ამ მეცნიერმა ბაყაყებს გადაუნერგა მეორე გული, რომელიც მან ამოიღო იმავე სახის სხვა ბაყაყს. გული გადანერგეს კორტებში, ტვინში და სხეულის სხვა ნაწილებში.

გადანერგილ გულს ზოგჯერ გარშემო ეზრდებოდა ქსოვილები და იგი არ მუშაობდა. მაგრამ უმეტეს შემთხვევებში გადანერგილი მეორე გული მშვენივრად ეზრდებოდა სხეულს და ხანგრძლივი დროის (მაგ. სამი თვის განმავლობაში) განაგრძობდა ფეთქას, როგორც ნორმალური გული (მაგრამ არა როგორც სისხლის გამამოძრავებელი პუნქტი). ეს ცდები ჯერ არ არის დასრულებული და კიდევ გრძელდება.

მეორე გულის პულსაცია (ცემა) რამდენიმედ სუსტია, ვიდრე ნორმალურის. მაგრამ საყურადღებოა ერთი გარემოება: ყველა ცვლილება ნორმალური გულის მუშაობაში მცირე ხნის შემდეგ (12 წამში) გადაეცემა მეორე გულს. კავშირი ნერვების საშუალებით ნორმალურ და გადანერგულ გულს შორის არ არსებობს (ეს ცდებით დამტკიცდა).

მაშ რატომ ხდება, რომ მეორე გულს გადაეცემა ყველა ცვლილებები, რომელთაც ადგილი აქვთ ბაყაყის ნორმალური გულის შეკუმშვათა რაოდენობაში და ხანგრძლივობაში? ეს საკითხი მეცნიერებს ჯერ არ გადაუწყვეტია. პაულ ვეისი ფიქრობს, რომ აქ როლს თამაშობს გულის გორმონი, რომელსაც გული ამუშავებს და რომელსაც სისხლი ანაწილებს ცხოველის ყველა ორგანოებში და ჯირკვლებში. ეს გორმონი სისხლის საშუალებით, რამდენიმე ხნის შემდეგ აღწევს მეორე გულამდე, რომელიც თავის მუშაობას ცვლის ნორმალური გულის პულსაციის მიხედვით.

ადამიანი თხუნელები

სამას მილის მანძილზე ხმელთა-შუა ზღვის აფრიკის სანაპიროდან, სამხრეთით, მთებში რომლებიც ცნობილია მატმატის პლატოს სახელწოდებით, ცხოვრობს ტომი, რომლის რაოდენობა 30.000-მდე აღწევს. ამ ადამიანების მთელი საცხოვრებელი მიწის ქვეშ. როცა ისინი კვდებიან, მათ გვამებს ამოკვეთილ ზეჯით და ასაფლავებენ არა-ღრმა სათლაგებში.

ეს ადამიანები ეკუთვნიან რასას, რომელიც აფრიკაში მოვიდა არაბებზე ადრე და ამ რასის წარმოშობა იკარგება საუკუნეთა სიბნელეში. ეჭვს გარეშეა, რომ ორი ათასი წლის წინად ეს ხალხი მესახნელეობას მისდევდა და ცხოვრობდა კლდეებში მთის ფერდობებზე, მაგრამ როცა ცეზარის არმიამ დაამარცხა [illegible] და დაიპყრო სამხრეთი, ამ მთის მწყემსებმა ასეთი საფრთხე იგრძნეს [illegible], რომ ამოთხარეს კლდეებში მთებშივე ამოსავალი გზები დიდი ლოდებით დახურეს და ასე შეხვდნენ რომაელების ჯარს, რომელსაც [illegible] მიწაში დამალული [illegible] დარაჯობა და მიატოვეს ეს ადგილები.

ეს ტომი ახლაც ისე ცხოვრობს, როგორც მაშინ, როცა ცეზარის არმიებმა მოხსნეს მათ ალყა. ცხოვრება გამოქვაბულებში მარტივად სწყვეტს ბინის საკითხს ამ ქვეყანაში, სადაც არ მოიპოვება ხე. ამ გამოქვაბულებში ეს უდაბნოს ტროგლოდიტები *) ამ გამოქვაბულებში იკეთებენ რამოდენიმე ოთახს (20×8 ფუტი). ბინებს ამაგრებენ ცემენტით.

ასეთი მიწისქვეშა ბინის ოთახები ერთგვარი [illegible]. შესავალი მათში გაკეთებულია შუა ოთახიდან, უფრო ხშირად კი თვითეულ ოთახს თავისი შესავალი აქვს.

ავეჯი ამ ბინებში სრულიად არ მოიპოვება: ლოგინი, უფრო ხშირად თარო სამი ფუტის სიმაღლეზე იატაკიდან—აი მთელი ავეჯი ზოგჯერ თაროებს ხიდან აკეთებენ და ზევიდან [illegible] ფარავენ, უზარმაზარი ლოგინები დაფარულია [illegible] საბნებით. მხოლოდ ერთ „სახლში" ვნახე მე რაღაც მაგიდის მსგავსი ეს იყო ტომის მთავარის შეიხ მაჰმედ [illegible] სახლში. მის პირად ოთახში იდგა პატარა მაგიდა.

სკამები ოთახებში არ არის და ყველანი ზიან თარო-სავარძლებზე (ქვის), რომლებიც კედლების გასწვრივ არის გაკეთებული. ქალების ოთახებში ელაგია დიდძალი ქოთნები. რომლებიც სავსეა სურნელოვანი ზეთებით და ხილით. თვითეული ასეთი ბინის წინ მოწყობილია პატარა ეზო, რომელსაც გარს აკრავს ქვის კედელი. ეზოს ბევრი დანიშნულება აქვს. პირველ ყოვლისა აქ ისვენებენ ქალები. ყველა ისინი ულამაზოები არიან და სახეს მალავენ თითქმის ყველასგან. შემდეგ—ამ ეზოში მოთავსებულია შინაური ფრინველები და აქლემები. დაბოლოს, ეს ეზოები წარმოადგენენ სიმგრილის თავშესაფარს სიცხის დროს.

[illegible] ამ ადგილის კონუსისებურ მთებში. ზოგჯერ 100 ფუტის სიმაღლეზე. ქუჩები მოწყობილია [illegible] და ერთმანეთს უერთდებიან მთის უბეებში, ციხე-სიმაგრისთან, რომლებიც წარმოადგენენ სურსათ-სანოვაგის საწყობს.

მთებში მცხოვრებ ტროგლოდიტებს უწოდებენ „მცოცავ ტროგლოდიტებს".

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ცნობილმა რომაელმა მწერალმა სალუსტიუსმა ტროგლოდიტების ქალაქის ქუჩები იმ სახით ნახა 2.000 წლის წინადაც, როგორიც ახლა.



ტროგლოდიტების ქალაქი მატმატა—ეს არის (როგორც ეს ფოტოგრაფიაზე სჩანს) დიდი ველი. რომელზეც ამოთხრილია მრავალი ჭები—ადამიან თხუნელების საცხოვრებელი ბინები.

ამ ტომის შტო ცხოვრობს ასეული მილის სივრცეზე. ამ მონაპოვებში ტომების ბინები „მცოცავ ტროგლოდიტების" ბინებს წააგავს მხოლოდ სიდიდითა და ფორმით. ქსარ მედენინში და ფუმ-ტატაუინის რაიონში სახლები [illegible] ზევითაა გაკეთებული და რაც საინტერესოა—რამოდენიმე სახლი ერთი მეორეზეა დადგმული. ამბობენ, რომ ეს ჩვეულება დარჩენილია იმ დროიდან, როცა ტროგლოდიტებს უხდებოდათ თავის დაცვა უდაბნოში მცხოვრები ტუარეგებისაგან, რომლებიც იტაცებდნენ არა მარტო მათ სურსათ-სანოვაგეს, არამედ ქალებსაც.

ეს სახლები „ღხურფა"—წარმოადგენენ ან სურსათის საწყობს ან ტომის ავადმყოფი და მოხუცი ნაწილის საცხოვრებელ ბინებს. ტომის 80 პროცენტი კი, წინააღმდეგ „მცოცავ ტროგლოდიტების" მომთაბარეობას ეწევა. ისინი თავის ჯოგებს ერეკებიან ერთი საძოვრიდან მეორეზე და გზადაგზა აგროვებენ სურსათს. ზოგი რჩება სახლებში და საწყობებს სდარაჯობენ.

მედენინიდან დასავლეთით სამოცი მილის მანძილზე მდებარეობს ტროგლოდიტების ყველაზე ძველი ქალაქი—მატმატა. მატმატის მცხოვრებლები იმავე რასას ეკუთვნიან, რომელსაც „მცოცავი ტროგლოდიტები", მაგრამ მათი ბინები სულ სხვანაირად არის მოწყობილი. ისინი წარმოადგენენ უზარმაზარ ჭებს, რომლებიც ფარავენ მინდორს იმ მანძილზე, რომელსაც კი მისწვდება თვალი.

მატმატის ველს უჭირავს სამ კვ. მილზე მეტი. მას გარს აკრავს პატარა მთები, ყველაზე მაღალ მთაზე მოჩანს ძველი ციხე [illegible] აკვირვებს უჩვეულო სანახაობა—დიდი ველი, მთლათ დაფარული 60—70 ფუტის დიამეტრის და 30 ფუტი სიღრმის მქონე ჭებით.

და ამ ველზე, როგორც ამბობენ, ცხოვრობს 12.000 კაცი.

ამ უცნაურ მიწისქვეშა სახლებში შედიან გრძელი გვირაბით. რომელსაც მრავალი შტოები აქვს ცალკე გამოქვაბულებში შესასვლელად. მთავარი გვირაბი თავდება პატარა რგვალი ოთახში, რომლის გარშემო მოწყობილია რამოდენიმე ბინა.

ტროგლოდიტები კეთილი და სტუმართმოყვარე ხალხია. მატმატიდან და მედენინიდან ახლა სამხრეთ-ტუნისიდან ავტომობილებით მოგზაურობენ. მაგრამ „მცოცავ ტროგლოდიტების" ბინებამდე იშვიათად თუ ვინმეს მიუღწევია, რადგან მათი ბინები მოთავსებულია მთებში და იქ შეიძლება მისვლა მხოლოდ ვიწრო, საშიშ ბილიკებით.

ტროგლოდიტები არ იჩენენ მაინცა და მაინც სურვილს გარეშე ქვეყანასთან დაკავშირებისას. მათ გამოქვაბულებში თბილა ცივ დღეებში და სგრილა, როცა უდაბნოს სწვავს მცხუნვარე მზე, ის ხანა კი, როცა მათ აფიქრებდნენ თავდასხმელები, უამთა ვითარებას ჩაბარდა.

გ. უშტოვი.

(ინგლისის გეოგრ. საზ-ბის წევრი.)

*) ტროგლოდიტი ეწოდება პირველყოფილ ადამიანს, რომელიც განვითარების ისეთ საფეხურზე იმყოფებოდა, როცა ჯერ-კიდევ არ იცნობდა ბინის აგების ხელოვნებას.

„ანტიოვარინი"

ქალის სასქესო ჯირკვლის (საკვერცხის) [illegible] მკურნალობის მეტად ორიგინალური ხერხი [illegible] ექ. პევზნერმა ([illegible] უმაღლესი საბჭოს ქიმიო-ფარმაცევტიული ინსტიტუტის თანამშრომელმა).

ექ. პევზნერი ხელმძღვანელობს შემდეგი მოსაზრებით: თუ ადგილი აქვს [illegible] საკვერცხის მოქმედებაში (განსაკუთრებით გორმონის ძლიერად გამოყოფის დროს), ამასთანავე ბოლოს მოღება შეიძლება ქალის ორგანიზმში [illegible] გორმონის შეყვანით. გამოკვლევებმა, რომ თუ დედალ ცხოველს ამოაჭრიან საკვერცხეებს, მას გამოაჩნდება მამრობითი სქესის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშნები [illegible]. ეს იმიტომ ხდება, რომ დასაჭურისებულ ორგანიზმში გამოიყოფა მამრობითი სქესის ცხოველის გორმონი. ამ გორმონის გამოყოფა მანამ [illegible], მაგრამ მდედრ. გორმონი, რომელსაც საკვერცხე გამოჰყოფს, სპობს მას [illegible] გორმონს (ამჟამად ფიქრობენ, რომ ყოველი ორგანიზმი ორსქესიანია, მაგრამ ამა თუ იმ სქესის ნიშნები [illegible] მდედრობ. გორმონის სიმრავლის მიხედვით).

ექ. პევზნერი ასაჭურისებდა ცხვრებს და მათი სისხლიდან განსაკუთრებული წესით აგროვებდა დასაჭურისების შემდეგ გამოყოფილ გორმონს. მან მიიღო ახალი სამკურნალო პრეპარატი, რომელსაც მან ანტიოვარინი უწოდა. როდესაც ექ. პევზნერმა მისი პრეპარატი შეიყვანა დედალი ცხოველების ორგანიზმში (ცდებს ახდენდნენ დედალ ბაჭიებზე), ერთი თვის შემდეგ მან დედალ ბაჭიების სისხლიდან მიიღო მამრობითი სქესის ცხოველის სისხლის რეაქცია (დედლისა და მამლის სისხლი განირჩევა ერთმანეთისაგან. ამაში დარწმუნება შეიძლება ქიმიური გამოკვლევის საშუალებით).

ექ. პევზნერმა მის მიერ დამზადებული პრეპარატი ადამიანზეც გამოსცადა. ქალები, რომლებსაც დარღვეული ჰქონდათ საკვერცხის მოქმედება, რაც მეტად [illegible] გავლენას ახდენდა მათ ორგანიზმზე სრულიად [illegible] ანტიოვარინის მიღების შემდეგ. განსაკუთრებით [illegible] შემთხვევა: ერთი ქალი რეგულარულად ყოველ თვეში საშინელ ტკივილებს გრძნობდა მუცლის არეში. ექიმებმა გადაწყვიტეს, რომ მას სტკივა საშარდე ბუშტი, რომელიც ამოაცალეს ოპერატიული გზით. ტკივილებმა არ გაიარეს. მაშინ იფიქრეს, რომ მას [illegible] აქვს. გაუკეთეს ახალი ოპერაცია, მაგრამ ისევ უშედეგოდ. ანტიოვარინის მიღების შემდეგ კი ქალი სრულიად განიკურნა.

ცდები ანტიოვარინის გამოყენებისა სამკურნალო მიზნებით გრძელდება.

ფრენის უშიშროება

ინგლისელმა კონსტრუქტორმა ხენდლი-პეიჯმა გამოიგონა მოწყობილობა, რომელიც თითქმის აბსოლუტურად უშიშრად ხდის ფრენას. ყოველ შემთხვევაში, სპეციალისტების აზრით, ხენდლი-პეიჯის გამოგონების საშუალებით შეიძლება უბედურ შემთხვევათა 95 პროცენტის აცილება. საჰაერო კატასტროფების 95 პროცენტის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ აეროპლანი დაბლა არ ვარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში. თუ იგი მოძრაობს განსაზღვრული, საკმაოდ დიდი სისწრაფით. როგორც კი ფრენის სისწრაფე ამ საზღვარის-სისწრაფეზე ნაკლები აღმოჩნდება, აეროპლანი კარგავს წონასწორობას, მფრინავი კი მართვის ინიციატივას და აეროპლანი დაბლა ვარდება.

ხენდლი-პეიჯის გამოგონება გამოიხატება შემდეგში: აეროპლანის ფრთაზე ეკვრის დამატებითი ფრთა. ნორმალურ მდგომარეობაში ეს დამატებითი ფრთა მჭიდროთა დამაგრებული და არავითარ გავლენას ფრენაზე არ ახდენს. როცა აეროპლანის ფრენის სისწრაფე ნორმალურზე ნაკლები ხდება რაიმე მიზეზის გამო (მაგ. მატორის გაფუჭების გამო). დამატებითი ფრთა ავტომატიურად იშლება და ამრიგად აეროპლანს საშუალება ეძლევა მინიმალური სისწრაფის პირობებშიც კი დიდი ხნის განმავლობაში დაჰყოს ჰაერში.

ხენდლი-პეიჯის გამოგონების გამოცდის დროს მფრინავმა გაიფრინა მოტორით 600 მეტრის სიმაღლეზე. აეროპლანმა შეანელა ფრენა და მგზავრებს თითქო უსათუოდ დაღუპვა მოელოდა, მაგრამ ამ დროს დამატებითი ფრთები ავტომატიურად გაიშალა და აეროპლანი ნელ-ნელა დაეშვა დაბლა.

აეროპლანების დაშვება პატარა მოედანზე

ავიაციის განვითარებამ და აეროპლანების გამოყენებამ სამხედრო-საზღვაო საქმეში წამოაყენა ერთი საკითხი, რომლის გადაჭრაზე ბევრათ არის დამოკიდებული სამოქალაქო და სამხედრო ავიაციის შემდგომი განვითარება. ეს არის—პრობლემა აეროპლანების დაშვებისა პატარა მოედნებზე. ამერიკელი კონსტრუქტორი გერნსბეკი ამ პრობლემის გადასაწყვეტად შემდეგ წინადადებას იძლევა: დასაშვებ მოედანზე, მცირე სიღრმეზე, მოთავსდეს მძლავრი ელექტრო-მაგნიტები, რომლებიც აეროპლანის მოახლოების დროს ავტომატიურად იწყებენ მუშაობას. ელექტრო-მაგნიტები ზეგავლენას ახდენენ აეროპლანის ლითონის ნაწილებზე და „ამუხრუჭებენ" აეროპლანს, რის წყალობითაც დასაშვები მოედანი შეიძლება მცირე სივრცით იქნეს შემოფარგლული. ვინაიდან ელექტრო-მაგნიტები მოქმედებაში არიან მხოლოდ აეროპლანის დაშვების დროს. ძლიერ ცოტა ელექტ. ენერგია იხარჯება და ასეთი მოწყობილობა ეკონომიურად გამართლებულია.

ჩიყვის მკურნალობა

ამერიკელი ექიმები ამჟამად თავგამოდებულ პროპაგანდას ეწევიან ზღვის თევზით კვების სასარგებლოდ, რადგან ზღვის თევზი, მათი აზრით, წარმოადგენს ჩიყვის თავიდან აცილებისა და უკვე გაჩენილ ჩიყვის მკურნალობის უკეთესს საშუალებას. აღმოჩნდა, რომ ზღვის თევზი შეიცავს ბევრ იოდს. რომლის ნაკლებობა იწვევს ჩიყვის გაჩენას. ზღვის თევზში იოდი უფრო ცოტა რაოდენობით მოიპოვება, ვიდრე თევზის ქონში, მაგრამ უკანასკნელის წინაშე ზღვის თევზს ის უპირატესობა აქვს, რომ მოსახლეობა მას სიამოვნებით ხმარობს საჭმელად.

ურთულესი მანქანა

უზარმაზარი მანქანა ბოთლების დასამზადებლად, რომელიც დადგმულია ლონდონის შემოგარენში ერთ-ერთ ქარხანაში, უდიდესად ითვლება მთელ მსოფლიოში. მანქანა წარმოადგენს 15 ერთგვარ მექანიზმს, რომლებიც დადგმულია საერთო მბრუნავ მაგიდაზე. ბოთლების დამზადების ყველა თანამედროვე ოპერაციები ავტომატიურად სწარმოებს. მანქანა განცვიფრებას იწვევს თავისი სიდიდით. დიამეტრი მბრუნავი მაგიდის, რომელზეც დადგმულია ბოთლების დასამზადებელი მექანიზმი, უდრის 8 მეტრს. მანქანის სიმაღლე—5 მეტრია. მანქანა შესდგება 40.000 ნაწილიდან. მისი შრომის ნაყოფიერება პირდაპირ ზღაპრულია: 15 საათის განმავლობაში ამზადებს 100.000 ბოთლს.

აეროპლანი—მოტოციკლი

აეროპლანების ცნობილმა კონსტრუქტორმა დე-ხევილანდმა, რომლის აეროპლანები ომის დროს ხმარებულ იქნენ ამერიკისა და ინგლისის არმიაში, გამოიგონა პატარა აეროპლანი—მოტოციკლი, რომელსაც შესანიშნავი საფრენი თვისებები აქვს. ფრთების სიგრძე უდრის სულ 4 მეტრს, მასზე დადგმულია 8 ცხენის ძალიანი მატორი. ინგლისში ამ რამდენიმე ხნის წინათ გამართულ შეჯიბრის დროს, დეხევილანდის აეროპლანმა მიაღწია 250 კილომეტრის სისწრაფეს საათში, ე. ი. 70 კილომეტრით მეტს, ვიდრე ინგლისის არმიაში შემოღებული უსწრაფესი აეროპლანი—გამანადგურებელი, რომელზეც დადგმულია 400 ძალიანი მოტორი.

დე-ხევილანდის აეროპლანი დანიშნულია უმთავრესად სასპორტო შეჯიბრისათვის.

სისხლის ხელოვნური მიმოქცევა

ვენის უნივერსიტეტში ამ რამდენიმე ხნის წინათ საჯაროთ გამოსცადეს ახლად გამოგონებული ხელსაწყო სისხლის მიმოქცევის აღსადგენად. ამ ხელსაწყოთი სარგებლობენ დამხრჩვალთა გასაცოცხლებლად, გულის ან სასუნთქი ცენტრების პარალიჩის შემთხვევებში. ხელსაწყო წარმოადგენს მექანიკურ საქაჩავს, რომელიც ერთდროულად ზეგავლენას ახდენს ფილტვებზე და გულზე და აღადგენს მათ მოქმედებას ხელსაწყოს ამოქმედების ენერგიით.

გაცოცხლება იკუთვნის ვენის გამოჩენილ პროფესორ ეიზენმენგერს.

პროფ. ეიზენმენგერი მიწვეულია ბერლინში, საცაც პროფ. დიუბუა—რაიმონის თხოვნით მოავის აპარატს გამოსცდის ჯანმრთელობის სამინისტროს წარმომადგენლების თანდასწრებით.

სურათზე ნაჩვენებია—აპარატი მოქმედებაში [illegible]—გამომგონებელი პროფ. ეიზენმენგერი.

ბიბლიოგრაფია

ალ. შანშიაშვილი. საორგანიზაციო და მასიური მუშაობა მომხმარებელთა კოოპერატივებში
ტირაჟი 10.000. ცეკავშირის გამოცემა. თბილისი 1927 წ. ფასი 10 კაპ.

„როგორ მოვაწყოთ საზოგადო კრება" ცეკავშირის პრაქტიკულ გამოცემათა სერია № 6.—ტირაჟი 5.000. ფასი 10 კ.

„კომკავშირი კოოპერატიულ ფრონტ ზე"
თარგმანი ივ. კეცხოველისა, ტირაჟი 5.000 გვ. 72. ფასი 25 კაპ.

კოოპერაცია როგორც ვიცით განსაკუთრებულ როლს იჭერს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში, კოოპერაციის გზა იქითკენ არის მიმართული, რათა მთელი მოსახლეობა გაერთიანდეს ამ სახის საზოგადოებრივ მეურნეობათა გარშემო, საბჭოთა ხელისუფლების წინაშე დასმულია საკითხი სოფლის მეურნეთა კოოპერატიულ საფუძველზე გაერთიანების შესახებ. ამიტომ მეტად სასარგებლოა ლენინური კოოპერატიული თეორიის პრაქტიკის და საერთოდ კოოპერატიული ამოცანების გაცნობა მშრომელი მოსახლეობის ფართო ფენებისათვის. ამ მიზანს ემსახურება აუცილებლად ცეკავშირის კოოპერატიული გამომცემლობა, იმ პოპულიარული ბროშურებით, რომელთაც მრავლად ცემს ამ ბოლო დროს ცეკავშირი.

უკანასკნელ ხანებში გამოცემულ მთელ რიგ მასიურ პოპულიარულ ბროშურებს შორის აღსანიშნავია ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე აღნიშნული სამი ბროშურა.

პირველ წიგნში, „საორგანიზაციო და მასიური მუშაობა"... აღნიშნულია, რომ დღემდე კოოპერატივის მატერიალურ რესურსების სიმცირის გამო მთავარი ყურადღება ექცეოდა კოოპერაციის სამეურნეო საქმიანობას და მის მეურნეულ ეფექტს, რაც კოოპერატიულ თანხის მოძრაობაში გამოიხატებოდა და ნაკლები—კოოპერაციის საორგანიზაციო და საზოგადოებრივ მუშაობას, რომელიც მთავარი პირობაა მოსახლეობის კოოპერაციის გარშემო დარაზმვის და მათ თვითმოქმედების, აქტივობის გამოჩენის. ამიტომ უკანასკნელ ხანებში საქართველოს კოოპერაციის მიერ აღებულია კურსი, რათა გამოცოცხლდეს და გაცხოველდეს ამ დარგის მუშაობა. ამ მიზნით წიგნში სამ თავად განხილულია შემდეგი [illegible] გამომდინარე საკითხები: 1 მოსახლეობის შეკავშირება კოოპერატივში, 2. კავშირის გაბმა წევრებთან, 3. კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, 4 წევრთაგან აქტივის შერჩევა, 5. კოოპერატივის აპარატის რაციონალიზაცია და 7. ადგილობრივ ორგანიზაციებთან კავშირის დამყარება.

ყველა ეს საკითხები, ისეთი საკითხებია, რომელთა გარკვევასაც თვითეულ კოოპერატიულ მომუშავეთათვის აუცილებელია მისი ნაყოფიერი მუშაობისათვის.

საკოოპერაციო მუშაობაში აგრეთვე აუცილებელი და დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა კოოპერაციის წევრთა საზოგადო კრებები, რომელიც მთელს მიმართულებას აძლევს კოოპერატიულ მუშაობას და განსაზღვრავს მისი სამეურნეო და სამმართველო საქმიანობას.

როგორ უნდა მოემზადოს გამგეობა და სარევიზიო კომისია კრებისათვის, როგორ უნდა დაგროვდეს საკითხები, რა საკითხები უნდა დაისვას საზოგადო კრებებზე; აზრიანი გარკვევა ამ საკითხებში და კრების საქმიანად ჩატარება დიდად შეუწყობს ხელს კოოპერატიულ საქმიანობის გაძლიერებას, მოსახლეობაში მისი ავტორიტეტის ზრდას.

წიგნაკში მუხლობრივად არის მოცემული საზოგადო კრების საკითხების მიღებული საერთო ნუსხა, საზოგადო კრების ინსტრუქცია, კენჭის ყრა, ოქმის შედგენა და კრების დახურვა და დამატების სახით მოცემულია კრების მოსაწვევ განცხადებათა ნიმუშები.

მესამე წიგნი უფრო ვრცელია და აღძრული საკითხი დასრულებულად არის დამუშავებული. ახალგაზრდობის სამეურნეო მუშაობას, განსაკუთრებით სოფლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ახალგაზრდობა ერთი ცოცხალი ძალაა, რომელსაც ყველაზე მეტი პერსპექტივები აქვს მუშაობის ყველა დარგში, ამისათვის რაც ადრე გაერკვევა იგი მიმდინარე საქმიანობაში და ჰქონდეს კულტურულ გამოცდილებას შეიძენს მით უფრო ადვილი იქნება მისთვის მომავალში პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებით, გაერკვეს მრავალფეროვან მოვლენებში და იგი დასრულებული, მომზადებული წევრი შეიქნეს საზოგადოების. ამისათვის:

„არ უნდა იყოს მუშაობის არც ერთი დარგი, იქნება ეს პოლიტიკური, კულტურული თუ ეკონომიური, სადაც ახალგაზრდა მუშები და გლეხები აქტიურ მონაწილეობას არ ღებულობდენ".

იმ ხუთს განყოფილებაში, რომელთაც წიგნი შეიცავს ამომწურავად არის განხილული ახალგაზრდობის სამომხმარებლო კოოპერაციაში მონაწილეობის პრაქტიკული ხასიათი და ახალგაზრდობათაგან კოოპერატიულ კოოპერატორთა კადრის მომზადების საკითხი.

სამივე წიგნაკი პოპულიარული, ყველასათვის გასაგები ენით არის დაწერილი და გამოცემაც მასიური ხასიათით არის შესრულებული.

მისი გაცნობა ბევრს ახალს შემატებს კოოპერატიულ მუშაკებს.

ა. ი.

რკინისგზებზე

იშვიათი ცეცხლი

19 ნოემბერს სადგ. ბალაჯარის სანაგვე ჩიხში ხანძარი გაუჩნდა იქ დაგროვილ ნაგავს. მიღებული იქნა ზომები ცეცხლის ჩასაქრობად, მაგრამ უშედეგოდ.

ამის შემდეგ თითქმის თვემ განვლო, მაგრამ ცეცხლი აქამდე ჩაუქრობელია.

მართალია, ცეცხლი საშიშროებას არ უქადის მახლობელ შენობებს და მიმავალ მატარებელს, მაგრამ გავლენას ახდენს სადგურის მუშაობაზე.

გზის გამგეობამ წინადადება მისცა სახანძრო ნაწილს, მიიღოს ზომები ცეცხლის დაუყოვნებლივ ჩასაქრობად.

მიწის ჩამონგრევა

9 დეკემბერს ქობულეთ-ჩაქვს შუა რკინის გზის ხაზზე ჩამოინგრა მიწა.

ხაზის გაწმენდამდე რამოდენიმე საათით დაიგვიანა სახალხო მატარებელმა № 6.

სამოსამსახურო ვაგონები

რკინისგზების ცენტრალურ სამმართველოს განკარგულებით, საბჭოთა კავშირის ყველა რკინისგზებზე შემცირებულია სამოსამსახურო ვაგონების რიცხვი.

შემცირებული ნორმის მიხედვით, ა.-კ. რკინისგზებისათვის დანიშნულია—28 სამოსამსახურო ვაგონი; მათგან 21 ხაზებისა და 7 გამგეობისათვის.

ამავე ნორმაში შედის გადაკეთებული საბარგო ვაგონებიც.

სამი ახალი სახლი

ამ დღეებში აქსტაფაში დამთავრდება სამი ახალი სახლის აშენება. სახლებში ჩაასახლებენ უბინაო რკინისგზელებს.

დაწინაურებულთა კურსები

სატრანსპორტო განათლების ცენტრალური სამმართველოს მიერ განხილულია კრედიტი სტაჟისტ-დაწინაურებულ მუშების და წევის სალიანდაგო და საექსპლოატაციო სპეციალობის კურსების შესანახად.

სურსათ-სანოვაგე

ხორცეულობა

უკანასკნელ ხანებში საკლავი საქონლის მორეკა თბილისის ბაზარზე საგრძნობლად შემცირდა. კარგი ღირსების ხორცზე მოთხოვნილება გაცილებით მეტია, ვიდრე მიწოდება. ამიტომ საბითუმო ფასებს საკლავ საქონელზე ემჩნევა ზრდის ტენდენცია. მაგ.: დასამზადებელი ფასი მორეკილ (ცოცხალ საქონელზე უკვე ადის 6-7 მანეთამდე ფუთი, ხოლო ადგილობრივ საქონელზე 6 მან. 25 კაპ. ხორცის ფასი თანდათან მატულობს, თუმცა კოოპერაციის და სახელმწიფო ორგანოების როლი როგორც დამზადების, ისე გასაღების საქმეში თანდათან იზრდება. ცოტაა ბაზარზე ცხვრის ხორცი, რომელიც იყიდება 10-11 მანეთად ფუთი (დაუკვლელი). საცალო ვაჭრობაში ხორცის ფასი უცვლელია: კილო იყიდება 14 შაურად.

ფქვილი

ფქვილის ბაზარზე ამჟამად მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა „ცენტროსოიუზი", რომელიც ფქვილის მთავარი მომმარაგებელია, ვერ ასრულებს თავის ვალდებულებებს ამიერ-კავკასიის მიმართ. ოქტომბერში მიღებული იყო (კოოპერაციის ხაზით) 30 ვაგონი ფქვილი, რომელიც გათვალისწინებული იყო სექტემბრის ნორმით. ნოემბრისათვის შემოტანა 140 ვაგონი, გარდა ამისა, „ცენტროსოიუზ"-ს ნავარაუდევი აქვს უკრაინიდან [illegible] შემოზიდოს 200 ათასი ფუთი ხორბალი.

ჩაი-შაქარი

„ზაკსოიუზ"-სა და შაქრის ტრესტს შორის შემდგარი გარიგებით ამიერ-კავკასიაში შემოზიდული უნდა იქნეს 1.180.000 ფუთი შაქარი, გარიგების პირობები იგივე რჩება, რაც იყო გასულ სამეურნეო წლისათვის. იცვლება მხოლოდ ანგარიშის გასწორების წესი: პირველ კვარტალში კრედიტის ვადა უდრის 56 დღეს, დანარჩენებში—61 დღეს.

ჩაის ბაზარზე მდგომარეობა უფრო მძიმეა, რადგან ჩაის იმპორტი შემცირებულია 35 პროცენტ., ამის გამო „ცენტროსოიუზმა" გაატარა ყველა რაიონების მიმართ სათანადო შემცირება. მხოლოდ ამიერ-კავკასიისათვის დარჩა იმდენივე, რაც იყო გასულ სამეურნეო წელს.

პასუხად ამხ. ვ. ქურდაძეს

გაზეთ „კომუნისტი"-ს 2 ნოემბრის № 249-ში მოთავსებულია წერილი გორის მაზრიდან „სოფლის საჭირბოროტო საკითხები"-ს სათაურით, რომელშიაც ავტორი, ამხ. ვ. ქურდაძე ეხება საკურორტო ტყეებს და საერთოდ საკურორტო სამმართველოს ზოგიერთ სხვა დარგების მდგომარეობას, ის ამ დარგებს ახასიათებს ისეთი კრიტიკული მიდგომით, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს სინამდვილესთან.

მაგალითად, ბაკურიანის ტყეები, რომელშიაც გაუვლია ამხ. ქურდაძეს, მისი გადმოცემით—„უმწეო და უნუგეშო მდგომარეობაში" ყოფილა, სადაც თურმე „აუარებელი ხე-ტყის მასალა ლპება და ნადგურდება", ჩვენ გადაჭრით შეგვიძლია დავარწმუნოთ ამხ. ქურდაძე, რომ იგი „აუარებელ" ძირ-ნაყარ ხე-ტყეს ვერ ნახავდა ბაკურიანის სატყეოში და ასეთი საერთოდ საკურორტო ტყეებში არ მოიპოვება, გარდა მიუვალ ადგილებისა, საიდანაც სარგებლობა შეუძლებელია. საერთოდ ძირნაყარის სიმცირეზე მოწმობს ის ფაქტი, რომ ხშირად გლეხობის საწვავი მასალით დაკმაყოფილება სატყეოს უხდება ნედლი ზეზე მდგარ ხე-ტყით.

არ შეეფერება სიმართლეს ის გარემოება; თითქოს საშინაო სახმარი ხე-ტყის მიღების საქმე არ იყოს მარტივად დაყენებული და მოითხოვდეს გლეხის სატყეოში რამდენჯერმე მისვლას; ყველგან ჩვენ სატყეოებში შემოღებულია შემდეგი, ჩვენის აზრით მიზანშეწონილი და მარტივი წესი გლეხობის ოჯახური საჭიროების ხე-ტყით დაკმაყოფილებისა: წლიური მოსაჭრელ-კარგიდან, ტყის დანომვრის შემდეგ, სოფლის მოსახლეობაზე გასაცემი მთელი ნორმა ეძლევათ თემ-აღმასკომებს, რომლებიც თვით ანაწილებენ ხე-ტყეს, ტყის გამგე კი ვალდებულია გამოუწეროს აღმასკომის მითითებით ამა თუ იმ პირს სატყეო ბარათი და ჩააბაროს ტყის მცველის მეშვეობით კუთვნილი ხე-ტყე. ბარათის მიღება კი არ მოითხოვს დიდ პროცედურას და სატყეოში რამდენჯერმე მისვლას, თუ კი რაიმე სხვა გარემოებას არ ექნა ადგილი.

ამხ. ქურდაძე არ ტოვებს თავისყურადღების გარეშე აგრეთვე ციხის-ჯვარში წარმოებულ გამოფისვას. გამოფისვა („პოდსოჩკა"), რომელიც სწარმოებს ფიჭვზე და არა ნაძვზე, შემოღებულია ციხის-ჯვრის მიდამოებში ჯერ კიდევ ომის წინა წლებიდან და საკურორტო სამმართველოზე ტყეების გადმოცემისას უკვე [illegible] დაზიანებული იყო რამოდენიმე ათეული ძირი ხე; თავდაპირველად საკურორტო სამმართველომ გამოფისვა კიდევაც აკრძალა. მაგრამ შემდეგ, როდესაც სპეციალური კომისიის გამოკვლევით დადასტურდა, რომ ძალზე დაზიანებულ და მოსაჭრელად დანიშნულ ხეებზე ბოლომდე გამოფისვა უფრო რაციონალური იქნებოდა და ტყესაც ამით უკვე მიყენებულ ზიანზე მეტი არაფერი მოელოდა რა, გამოფისვა აღდგენილ იქნა და პარალელურად დაიწყო ახალი ტყის გაშენება ამ რაიონში, რასაც მოხმარდება გამოფისვისაგან მიღებული შემოსავალი.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფისის გამოხდისაგან მიღებული უმთავრესი პროდუქტები—სკიპიდარი და კანიფოლი დიდი მოთხოვნილების საგანს წარმოადგენენ, როგორც სამრეწველო, აგრეთვე სამკურნალო დარგში და, რაც უმთავრესია, ეს საგნები საბჭოთა კავშირს საზღვარგარეთიდან შემოაქვს. ასეთ პირობებში, ამ შედარებით პატარა წარმოებას ეძლევა დიდი მნიშვნელობა, რაც გამოფისვის დაწყებისას უთუოდ იქნა მიღებული მხედველობაში.

აგრეთვე უსაფუძვლოა მითითება იმაზე, თითქოს სკიპიდარის ქარხანა ჩარხის წყალზე დეფიციტიანი იყოს. ეს წარმოება საერთოდ არ არის დეფიციტიანი, ჩვენს პირობებში კი მინიმალურ ფასებშიაც, რომ გაიყიდოს მისი ნაწარმოები, მაინც დიდ მოგებას მოგვცემს, რასაც არსებითად აქვს ადგილი; ხოლო ამ ქარხნის ციხის-ჯვარში არსებობას, რასაც ალბად გულისხმობს ამხ. ქურდაძე, არ ექნებოდა რაიმე უპირატესობა, რადგან ფისის გამოხდის დროს თითქმის არ აკლდება რა და სკიპიდარის ტრანსპორტი კი ციხის-ჯვარიდან, პირიქით, უფრო უხერხული იქნებოდა და მეტ ზედნადებ ხარჯსაც გამოიწვევდა.

გარდა ამისა ამხ. ქურდაძე ეხება სოფ. ციხის-ჯვრის ერთ „მტკივნეულ" საკითხს: თურმე „სოფ. ციხის-ჯვარს ხელს უშლის კულტურულ ზრდაში ორი დიდი დაწესებულება—საკურორტო სამმართველო და მიწადმოქმედების კომისარიატი; ამ ორ დაწესებულებას აქვთ ციხის-ჯვარში ე. წ. ფერმები, რომლებიც ხელს უშლიან ერთმანეთს საქმის სათანადო დაყენებაში, ეჯიბრებიან ერთმანეთს კარჩაკეტილობაში და სიბინძურეში".

საკვირველია პირდაპირ ასეთი დასკვნის გამოტანა, უნდა ვიფიქროთ, რომ ამხ. ქურდაძე ვერ გაცნობია ამ საქმეს სათანადოთ, ამიტომაც არის რომ მას ეჩვენება კარჩაკეტილობა და ერთი - მეორისადმი ხელის შეშლა ამ ორი ფერმის დამოკიდებულებაში.

რა არის სინამდვილეში?

საკურორტო სამმართველოს ფერმა ჯერ-ჯერობით ორგანიზაციულ პერიოდშია, მას არ აქვს ჯერ სავსებით მოწყობილ ფერმის სახე. მაგრამ იგი ეხლანდელ მდგომარეობაშიაც არ იძლევა უნუგეშო სურათს (ყოველ შემთხვევაში იქ სიბინძურეს ადგილი არა აქვს—თვითეულ ძროხას აქვს თავისი ონკანი), შეძენილია ჩვენი პირობებისათვის საუკეთესო ჯიშის ხევსურული ძროხები; ამ ჯიშის ძროხას მიღებული აქვს პირველი ჯილდო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე; გამოწერილია საზღვარგარეთიდან ბუღა და იორკშირის ჯიშის ღორები მოსაშენებლად. თვით ფერმის დაარსება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საკურორტო სამმართველო, რომელიც დიდი მომხმარებელია რძის პროდუქტების, საჭიროებს არა მარტო „მაწონს" და არა საბაზროთ დამზადებულ რძის პროდუქტებს. არამედ სპეციალურ სამკურნალო ნაწარმოებს: სხვადასხვა ცხიმოვანი შემადგენლობის რძეს, საბავშო რძეს, კეფირს და სხ. რის დამზადებაც სათანადოთ მოუწყობელ და სხვა დანიშნულების მქონე ფერმებს არ შეუძლიათ.

ჩვენს ფერმას კი, სადაც იმავე დროს იწარმოებს მეცნიერული დაკვირვება საქართველოს უნივერსიტეტის სპეციალისტ ზოოტეხნიკოსების მეთვალყურეობით, უეჭველად ექნება დიდი კულტურული მნიშვნელობა საერთოდ და მით უმეტეს ციხის-ჯვრისათვის.

რაც შეეხება არსებულ ორი ფერმის შორის დამოკიდებულებას, უნდა აღინიშნოს, რომ ამხ. ქურდაძე სრულიად უსაფუძვლოდ ლაპარაკობს თავის წერილში კარჩაკეტილობაზე. პირიქით, ის ფაქტი, რომ თუნდაც დროებით საკურორტო სამმართველოს საქონელი ნაწილობრივ მოთავსებულია მიწსახკომის ფერმაში, ჩვენის აზრით, უნდა მოწმობდეს საწინააღმდეგოს.

უკანასკნელად ამხ. ქურდაძე აღნიშნავს, რომ საკურორტო სამმართველო ყურადღებას არ აქცევს ციხის-ჯვრის სამკურნალო აბანოს. ჯეროვანათ, რომ დაგვეყენებია საქმე, „აბანო ნაკლებ შემოსავალს არ მოგვცემდა, ვიდრე რომელიმე ფერმა. ამისთანა სასარგებლო საქმეებს არ უნდა ვაძლევდეთ კერძო პირებს საექსპლოატაციოთ, არამედ თვით უნდა ვუწევდეთ პატრონობას"-ო.

სრული სიმართლეა და, რასაკვირველია, საკურორტო სამმართველომაც კარგად იცის ამ აბანოს მაღალი ღირსებანი, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ამას დიდი ფული უნდა.

აბანო გადმოვიდა სამმართველოს ხელში სრულიად განადგურებული და გაპარტახებული. მის სათანადოთ აღდგენას უნდა დიდი თანხა. რომლის გაღებას დღეს-დღეობით სამმართველო ვერ ახერხებს, რადგან მისი ყურადღება და საშუალებანი მიქცეულია საკავშირო მნიშვნელობის მქონე კურორტების: აბასთუმან-ბორჯომ-წყალტუბოს მოწყობაზე. საპერსპექტივო გეგმით გათვალისწინებულია ამ აბანოს მოწყობაც, მაგრამ ამის დრო და შესაძლებლობა ეხლა არ არის. ამიტომ სამმართველომ [illegible] გადაეცა აბანო იჯარით კერძო პირზე, სამი წლით (ერთი უკვე გავიდა) იმ პირობით, რომ საიჯარო ფული, საკმაო რაოდენობისა, სავსებით მოხმარდეს სამმართველოს ზედამხედველობით აბანოს კეთილ-მოწყობას: პირველ რიგში აბაზანების მოწყობას, ბინის აშენებას გზას და სხვ. იჯარის ვადის დასრულების შემდეგ მთელი მოწყობილობა და ანაგებანი გადადის უსასყიდლოდ სამმართველოს სასარგებლოდ.

ვფიქრობ, რომ არსებულ პირობებში სამმართველომ დაადგა საუკეთესო გზას აბანოს ექსპლოატაციის საქმეში. ამით ვათავებთ ჩვენს განმარტებას.

საკურორტო სამმართველო.

წერილი რედაქციის მიმართ

„კომუნისტში" (№ 278—2023) ა. გრ-შვილის ხელმოწერით მოთავსებულ წერილში: **„ჩაის კულტურა საქართველოში"** დაშვებულია ზოგიერთი ფაქტიური შეცდომა, რომლებიც გთხოვთ გაასწოროთ. წერილის ავტორი ამბობს, თითქო ჩაის პლანტაციების სივრცის გადიდება ხუთი წლის განმავლობაში ნავარაუდევი იყოს 5.000 დესეტინის რაოდენობით, ნამდვილად. შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების თანახმად, ეს სივრცე გადიდებულ უნდა იქნეს **20.000 ჰექტარამდე** (18.000 დესეტ.) შემდეგ: სესხი გლეხების ჩაის პლანტაციების ჩასაყრელად გადიდებულია ჰექტარზე **888 მან.**, და არა 450 მან., როგორც ეს ხსენებულ წერილშია ნათქვამი.

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაის" გამგეობის წევრი **საგლინი**

ოფიც. განყოფილება

დადგენილება № 101

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 68^4 მუხლის შენიშვნის შეცვლის და ამავე კოდექსისათვის 68^7. 68^8 მუხლების დამატების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ 1924 წლის მარტის 13 თარიღით და 77 №-რით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 68^4 მუხლის შენიშვნა მიღებული იქნეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა: სახელმწიფოს საკუთრებად ცასული ნაპოვნი ნივთი გადაეცემა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის მაისის 28-ის დადგენილებაში (სსრკ კანონთა კრებ. 1927 წ. 32 №-რით. მუხ. 323) აღნიშნულ სახელმწიფო დაწესებულებას ამავე დადგენილებით განსაზღვრული წესისამებრ.

2. სამოქალაქო სამართლის კოდექსს დაემატოს 68^7, 68^8 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„68^7. მიწაში ჩაფლული ან სხვაგვარად დამალული ფასეულობა, როგორიც არის, მაგალითად: ძვირფასი თვალი, მარგალიტი, პლატინა ლითონი ნაკეთობად, ზოდად და ფულად, ქაღალდის ფული, უცხოეთის ვალიუტა, ფასიანი ქაღალდი (აქცია, ობლიგაცია და სხვ.) და სხვაგანი, რომლის მესაკუთრის ვინაობაც გამორკვეული არ არის, ან რომლის მესაკუთრემაც კანონის ძალით დაჰკარგა ამ ფასეულობის უფლება,—გადადის სახელმწიფოს საკუთრებად"

„68^8. წინა მუხლში აღნიშნული ფასეულობა გადაეცემა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. მაისის 28-ის დადგენილებაში (სსრკ კანონთა კრებ. 1927 წ. 32 №-ით მუხ. 323) აღნიშნული სახელმწიფო დაწესებულებას ამავე დადგენილებით განსაზღვრული წესისამებრ, ხოლო ის დაწესებულება, რომლის სასარგებლოდაც ნაპოვნი განძი მიღებულ იქნა, გადაუხდის განძის აღმომჩენ პირს განძის საბაზრო ღირებულების 20 პროც. და აუნაზღაურებს მას განძის გადაზიდვასა და შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯს".

შენიშვნა: უკეთუ განძი ისეთ ქონებას წარმოადგენს, რომელიც სამოქალაქო ბრუნვიდან გამორიცხულია (სამოქ. სამ. კოდექსის 23 მუხ., 69 და 70 მუხლის დანართი, პ. 11)—20 პროცენტიანი სასყიდელი განძის აღმომჩენ პირს არ მიეცემა".

„68^9. აღმოჩენილი განძის და ნაპოვნის ჩაუბარებლობისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით, როგორც ქონების მითვისებისათვის".

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. თოდრია.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯუღელი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. ნოემბრის 30.
თბილისი—სასახლე.

საბირჟო ვაჭრობა

თბილისის ბირჟის მიერ მიმდინარე წლის ნოემბერში აღრიცხულ ბრუნვის ჯამი უდრის 24.800.000 მანეთს.

გასული წლის ოქტომბრის ბრუნვასთან შედარებით მიმდინარე წლის ნოემბრის ბრუნვა გაზრდილია 114 პროცენტით, ხოლო გასულ წლის ნოემბერიდან შედარებით—გაზრდილია 200 პროცენტით.

ნოემბერში ბრუნვის ასეთი ზრდა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ამ თვეში დადებული იქნა დიდი სავაჭრო გარიგებანი შაქარზე (1 მილიონ მანეთამდე), ხე-ტყის მასალაზე და ტყავზე. სამრეწველო საქონლის ბრუნვა ნოემბერში საერთოთ უდრიდა 22.200.000 მანეთს. სასოფლო-სამეურნეო საგნების ბრუნვა ოქტომბერში უდრიდა 3.200.000 მანეთს, ნოემბერში კი შემცირებულ იქნა 2.500.000 მანეთამდე. სამრეწველო ჯგუფში ბრუნვა განსაკუთრებით გაიზარდა საწვრილმანო საქონელზე, ქსოვილებზე (შემოზიდვის ზრდასთან დაკავშირებით) სააღმშენებლო მასალაზე და რეზინისა და ტყავის ნაწარმოებზე), სასოფლო-სამეურნეო ჯგუფში შემჩნეულია ყველა საქონლის ბრუნვის ზრდა (ხორცი, ნედლეული, თხილი; კაკალი) გარდა პურეულ-საკვებისა, რომელთა ბრუნვა შემცირდა იმის გამო, რომ აღნიშნულ საქონელზე წინა თვეში დადებულ იქნა ვადიანი გარიგებანი.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

თბილისის შრომის ბირჟა აღრიცხვაზე აყვანილ უმუშევართა საყურადღებოთ აცხადებს, რომ ხვალ 12 დეკემბერს სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი კვალიფიკაციის უმუშევრები: **კვალიფიციურ მუშაკთა 1-ლი სექციიდან:** სვიმონ ოქრუაშვილი; თედორე გიორგობიანი; გიორგი შიოლაშვილი; ვლადიმერ ინჯია; ბარბარე თხელაშვილი-ქართველიშვილისა, არმენაკ პეტროსიანი, პეტროს ოგანეზოვი, რაფაელ ბეპეტროსიანი, პეტროს ოგანეზოვი, რაფაელ ბეფიანი; პეტრე სირაკანოვი; ხოსრო თურადოვი; ბატონ ოდუახლიანი; არშაკ გრიგორიანი და ხოსეს მხითარიანცი. **გონებრივ მუშაკთა მე-2 სექციიდან:** ალექსანდრე კიკაჩეიშვილი; ვლადიმერ ხმელიძე; გიორგი ბუძე; ბარნაბა ჩხეიშვილი; მიხეილ მამაცაშვილი, პეტრე სანიკიძე; და ნიკოლოზ ბალახაძე.

რევიზია უმუშევართა კოლექტივებში

ბირჟის კომიტეტმა გამოჰყო სარევიზიო კომისია მეტყავეთა კავშირის, აღმასკომის და შრომის სახ. კომისარიატის წარმომადგენლების შემადგენლობით. მეჩექმეთა კოლექტივის უკანასკნელ სამი წლის მუშაობის გამოსაკვლევად. გარდა ამისა, შედგენილია კომისია ხუთი კაცის შემადგენლობით სააღმშენებლო-ტეხნიკური კოლექტივის მუშაობის გამოსარკვევათ.

პარტიული კალენდარი

საქართველოს კომ. პარ. (ბ) საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. სიმონ კონსტანტინესძე წულუკიძეს გამოცხადდეს 12, 13 და 14 დეკემბერს საქართველოს კომ. პარ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ. 24, მესამე სართული, ოთახი № 13) ამხ. ი. ფირცხალავასთან.

ორშაბათს, 12 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის შენობაში შესდგება ქალ. ორგანიზატორების თათბირი ქალ. კომისიებთან ერთად.

სახ. უნივერსიტეტთან არსებულ პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის პარტ-ბიურო წინადადებას აძლევს ამხ. გიორგი გვარჯალაძეს, ლავრენტი თავაძეს, გალაქტიონ ჯიმშელეიშვილს, შალვა ცოტაძეს; გიორგი მელუას და ლევანს გამოცხადდენ ბიურო-კოლექტივში ორშაბათს 12 დეკემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე.

სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტის პარტ-კოლექტივის ბიურო აცხადებს, რომ დღეს, 11 დეკემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე შესდგება პედაგოგიურ ფაკულტეტის პარტკოლექტივის (კომ-უჯრედის) და კომ-კავშირის გაერთიანებული დახურული კრება. ხსენებულ წევრ-კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს ორი დღის ვადაში გამოცხადდენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან (ოთახი № 54): შალვა კუქულაძეს; კალისტ. ჯიქიას; ლ. ტყაბლაძეს; ნიკოლოზ კოხოვალოვს: კასილ ფანცულაიას; ნიკოლოზ ხუციშვილს; კალისტრატე გველესიანს და ალკპერ იზმაილოვს

საქ. კომ. პარ. (ბ) ლენრაიონის მუშა-გლეხქალთა შორის მომუშავე განყოფილება იტყობინება, რომ ორშაბათს, 12 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება ქალ-ორგანიზატორების თათბირი.

ქალ-ორგანიზატორთა დასწრება სავალდებულოა.

ორშაბათს, 12 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება სახ. უნივერსიტ. აგრონომიულ ფაკულტეტთან არსებულ კომპარტიის და ახ. ლ. კ. კ. უჯრედის გაერთიანებული კრება.

პარტიისა და კომკავშირის წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ ორშაბათს, 12 დეკემბერს, დილის 10 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 54) ამხ. თარხანოვთან: პეტრე გრიგოლისძე ოგანეზოვი, არკადი სიტკოვსკის, ალექსანდრე ბედანაშვილს; რუბენ ანტონის ძე პეტროსიანს; სტეფანე ნერსესიანს; პრ. იუსოვას; ნიკოლოზ ნათენაძეს; ჰოვანეს თარხანიანცს; გარეგინ გევორკოვს; ნადეჟდა ბაგრაევას; კალენიკე ქადეიშვილს; სიმონ ევლახოვს და კეროპ უნანოვს.

იმ შემთხვევაში თუ ხსენებული ამხანაგები არ იმყოფებიან თბილისში, ვსთხოვ შეგვატყობინონ მათი მისამართები.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. აბესალომ თენიეშვილს, ვანო კარაპეტოვს და აკაკი რამიშვილს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ ცეკას სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ლიცინოვთან.

რადიო-გადაცემა

კვირა, 11 დეკემბერი

დღეს, 11 დეკემბერს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

პიონერთა გაზეთი—რუსულ და ქართულ ენებზე.
ღონისძიებები მესაქონლეობის გასაუმჯობესებლად საქართველოში—რუსულ ენაზე.
ძველი ღმერთების დაბადება და შობა—ქართულ ენაზე.
პოლიტიკური მიმოხილვა—ქართულ ენაზე.
სამრეწველო საქონლის და სურსათ-სანოვაგის ბაზრის მდგომარეობა თბილისში—ქართულ და თურქულ ენებზე.
ობსერვატორიის ცნობა.
მუსიკის ახსნა-განმარტება.
კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.
ტეხნიკური კონსულტაცია.
ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე.

ორშაბათი, 12 დეკემბერი

როგორ დავიცვათ თავი ტიფისაგან—ქართულ ენაზე
მიწათმოწყობის მსვლელობა საქართველოში—რუსულ ენაზე.
კომკავშირის გაზეთი—რუსულ ენაზე.
პოლიტიკური მიმოხილვა—რუსულ ენაზე.
პროდუქტების გეგმაშეწონილი დამზადება ამიერ-კავკასიაში—სომხურ ენაზე.
საუბარი რადიო-ტეხნიკაზე—რუსულ ენაზე.
ობსერვატორიის ცნობა.
კონცერტი.
ა. კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე.

---

9 დეკემბერს გარდაიცვალა

მიხეილ ვახტანგის-ძე მაჩაბელი

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დამწუხრებულნი მეუღლე ანა გიორგის ასული, ქალიშვილები: მარინე [illegible] თავისი მეუღლით და ელისაბედ ფომენკო თავისი მეუღლით, ვაჟიშვილი ვახტანგი, დები: ელენე ვახტანგის ასული ვაჩნაძისა და მარიამ ვახტანგის ასული მაჩაბლისა, დისწული მართა ილიას ასული მაჩაბლისა, პანაშვიდი გარდახდილი იქნება ყოველდღე საღამოს 6 საათზე. საკუთარ ბინაზე ძნელაძის ქ. № 11. (ყოფ. მესახგრეთა ქუჩა), დაკრძალვის დღე გამოცხადებული იქნება ცალკე. 737

საქართველოს სასარეწაო კოოპერატივთა ცენტრალური კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება გამგეობის წევრის ძვირფასი

მიხეილ ვახტანგის-ძე
მაჩაბლის

გარდაცვალებას. (ე)

საქართველოს სასარეწაო კოოპერატივთა ცენტრალური კავშირის მუშა-მოსამსახურენი აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს გამგეობის წევრის საყვარელი

მიხეილ ვახტანგის-ძე
მაჩაბლის

გარდაცვალებას. (ე)

ჯ. ს. კ. ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტი იუწყება, რომ ა. წ. 6 დეკემბერს, ხანგრძლივ ავად ყოფნის შემდეგ გარდაიცვალა ექიმი

ბესარიონ ზაქარიას-ძე ტყემალაძე

დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე ნაშუადღევის 1 საათზე, 11 დეკემბერს. გამოსვენება მთავარ საავადმყოფოდან. 736

გულდათუთქული ჭირისუფალნი: დედა მაშიკო, ძმა ვალიკო, დები: ალექსანდრა, ქსენია, თამარა ზამთარაძეები, და ლუბა და ქმარი მისი კოლია, შვილი კუკური ლინჩიკო, ბიძა და მამიდა ივანე და პელაგია კვერნაძეები, მამიდაშვილის ქმარი სტანისლა, შვილები მისი—მიშა და ჟორჟა ვოიტკევიჩები, ბიცოლა ნატალია, ბიძაშვილები ივანე, მარიამი, ვერიჩკა, და ალექსი ზამთარაძეები, სიძე ალექსანდრე და ცოლი მისი სტურუები ამით აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს, რომ ავადმყოფობის გამო უეცრად გარდაიცვალა მასწავლებელი გორის თემის 7 წლედისა

დათიკო იოსების-ძე ზამთარაძე

დაკრძალვა ეწერ-ძველი სამტრედიის უბნის სასაფლაოზე, გამოსვენება თავის საკუთარ ბინიდან - დღით კვირას, 11 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. ნ. 327

აპოლო
არტისტო
სოლეი
დარბაზი

სეზონის საუკეთესო სურათი **„ჰამბურგი"**
რეჟისორი ვ. ბ. ზალიუზნი. მხატვარი—ბაიზენბერგი.

მხატვრული ფილმი აღმოსავლეთის ცხოვრებიდან
„სიკვდილის მინარეთი"

მხატვრული სურათი **„მოხეტიალე ვარსკვლავები"**
ორიგინალური სიუჟეტი. მშვენიერი თამაში.

დუგლას ფერბენკსი სურათში **„ალანის სიზმარი"**

ცირკი „კოლოს"
ტელ. 16—67

შაბათს, 10-ს, და კვირას 11 დეკემბერს **გრანდიოზული სანახაობანი** მთელი დასი!! ყველა ატრაქციონები!!
დამს. მსახიობთა **ძმ. ტანტები** ვრცელი პროგრამა 14 ნომრით ცნობილ გიპნოტიზიორის **ტო-რამას** და მისი მხეცების გამოსვლა დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

კვირას, 11 ნოემბერს **დღისით სანახაობანი** საღამოს სრული პროგრამით სახელგანთქმულ ტო-რამას და მისი მხეცების მონაწ.

6 324 1—1
დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი. რწმუნებ. კ. გროდზენსი. ადმინისტრატ. მ. ტადე.

ანონსი: სამშაბათიდან 13 ნოემბრიდან

კინო-არტისტოში
გლორია სვენსონის მონაწ.
რა საჭიროა ცოლის გამოცვლა

კინო-სოლეიში
შედევრი
კაცი და ლივრეა
ემილ იანინგსის მონაწილეობით.

ნ. 326

სია [illegible] გაზ. „კომუნისტის" სწორი მისამართების უქონლობის გამო.

სახელი და გვარი	ქვთ. №
ჩაჩიბაია აკაკი	329
კაჩახიძე შალვა	316
მაზანაშვილი	344
1-ლი სამოსავლო პუნქტი	457
ლომია ივანე ფოსტა	437
ცხოვრებოვი	358
იმნაძე მარინე	411
გეგაშოვა	460

აღნიშნული ხელის მომწერლებს სთხოვენ გამოცხადდენ, ან ტელეფონით აცნობონ გაზ. „კომუნისტის" ექსპედიციას თავიანთი სწორი მისამართი.

გაზ. „კომუნისტის" ექსპედიცია მისამართი: კამოს (ყოფ. დიდიმთავრის) ქუჩ. № 68 ტელეფ.—5—43 0 1

იყიდება
10 ძალიანი
ლოკომობილი
მისამართი: კამოს ქუჩა № 10
ერაძის. 2—1 716

მედიც. დოქტორი
ბ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8. საათ.
პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1)

სია იმ პირთა და ორგანიზაციათა, რომელნიც გატარებულნი არიან რეგისტრაციაში ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებ. სამმართველოში. გაგრძელება № 36

რიგის №	რეგისტრაციის დრო	საწარმოოს მეპატრონე	მისამართი	საწარმ. საგ.ნი	ძირითადი თანხა	ს-წ ყარ. მოწყ. ხარისხ.
956	13 ოქტ. 1927	ხოლოდზური ალექსი ესის ძე	ქ. დუშეთი	სასადილო	500	მე-4-ხე
957	„	ხურობძე კოსტა სიმონის-ძე	ს. ზელდუშეთი	„	600	„
958	„	შალიღოვი პავლე [illegible] ძე	ქ. დუშეთი ცხაკ. ქ. № 17	„	1000	„
959	29 ოქტ. 1927	ანანურის თელიანი მოხმ. კოოპერატ.	ანანური	ფართლ და წვრილ. ვაჭ.	3000	„
960	25 „	თოფაძე გიორგი ანდრიას-ძე	ფასანაური	სასადილო	300	„
961	„	ბუჩუკური პავლე	„	„	150	„
962	„	მელიქოვი ალექსანდრე გრიგოლის-ძე	„	„	200	„
963	„	დავიდოვი არტემი	პროფტეის [illegible] თბილისის მაზ.	„	—	„
964	11 „	„აივლიუბკოოპი"	თბილისი პუშკინ. ქ. № 15	სას. სამ. ნაწ. რეალ.	—	„
965	28 „	კოოპ. ამხ. საბ. რგო ავტომობ. შოფერ.	თბილისი, კლარა ცეტკინის 150	ტვირთვი გადაზიდვა	29160	„
966	18 ნოემბ.	მანაშოვი კაფ. რ	თბილისი, კომუნ. ქ. № 10	ტყავეულ. სავაჭრო	200	„
967	„	ასლანაიანცი ოსიპ არაქელის-ძე და ამხ.	„	საგალანტ.	10000	„
968	„	ძმები ჰაიკ და გარეგინ სოლომონის ძე ექსიუზიანი	თბილისი, სიონის ქ. № 1	„	6000	„
969	23 „	ლეჟავა თედორე გლახუას-ძე	თბილისი, მუხრან. ბ.ზ.	ხორცით ვაჭრობა	—	„
970	1 დეკემბ.	ჯინზბურგი დავით მაცეკის ძე	თბილისი, ნიკოლ. ქ. № 6	სარდაფ საწარმო.	50000	მე-7
971	6 „	გონაძე გალაქტიონ	თბილისი სადგური	1 და 3 ლ. ბუფეთი	3500	მე-5
972	„	ხერსესოვი დავით პეტრ.	ლენინის ქ. № 11	საბილი რდ.	300	მე-4-ხე
973	18 ნოემბ.	ხატიძოვი გიორგი მიხეილის-ძე	თბილისი, კახეთ. ქ. № 21	ღვინის სარდაფი	1200	„
974	22 ოქტომბ.	ხატინოვი მიხეილ გიორგის ძე	„	„	2000	„
975	7 ნოემბერი	გრიშინი ბიქტორ ეკ[illegible]ძე	სომხის ბაზარი № 22	რკინეულ. სავაჭრო	13754-39	„

საქმეთა მმართველი შ. მალოგლიშვილი.
სავაჭრო რეგისტრაციის განყოფილების გამგე კ. ორჯონიკიძე.

ნ. 330

ქალაქის ლომბარდის სააუქციონო კამერა

აცხადებს, რომ კვირას 18 დეკემბერს ქალ. ლომბარდის შენობაში კეცხოველის ქ. № 8 დღის 12 საათზე საქფინკომის და სანფინგანისადმი დავალიანების ასანაზღაურებლად დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

გაიყიდება ქვემოთ ჩამოთვლილი მოქალაქეთა სახლები: 1) **არჯევანიძე დავით სიმონისძე** ალექსეევის ქ. № 7 15 ოთახი—შემოძლეული ფასიდან. 2) **ზარაფოვი ზაქარია დავითისძე და კაპანაკოვი ალექსანდრე** ამაღლების ქ. № 8 62 ოთახით დავალიანება 5407 მ.-92 კ. დაფასება 1500 მან. 3. **მირუზოვი გაჯი რიზა** სამღებრო ქ № 13 გაიყიდება სახლის 1|3 ნაწილი შეფასებულია 1000 მანეთი. 4) **ხატიევი ივანე ლევანისძე** ვერცხლის ქ. № 35|16 11 ოთახი, დავალიანება 17717 მ.—15 კ. დაფასება 8000 მან. 5) **ციმაკურიძე მელანია ზურაბის ასული** პარკოვის ქუჩ. № 29 12 ოთახი დავალიანება 2618—35 კაპ. დაფასება 2000 მან., 6) **გორიდ ეგნატე თომასძე** შერემეტიევის 53 დავალიანება 222 მანეთი შეფასება 700 მან, 7) **ჩიქოვინი გიორგი იოსების ძე** არკადის შეს. 6 1|2 სახლი, დავალიანება 438—19 შეფასება 600 მან., 8) **გოჩიაშვილი ივანე ალექსისძე** ბათომის 14 8 ოთახი, დავალიანება 276—01 კაპ. დაფასება 400 მან, 9) **სამადუროვ პავლე გაბრიელისძე** შერემეტიევის № 6 შეფასება 3000 მანეთი, 10) **სულხანიშვილები ნინო, ზაქარია და ხოფიო** არკადის და ცხემის ქ. 5|11 დავალიანება 183—25 კაპ. შეფასება 1000 მან.

სახლები გაიყიდება შეფასებიდან და დაცული იქნება 311 და 312 მუხლები სამოქალაქო საპროცესო კოდექსისა. ვაჭრობაში მონაწილენი ვალდებული არიან საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე შეიტანონ 10 პროც. შეფასებისა. ნ. 328

საბჭოთა და სავ. მუშ. პროფ. კავშირის მე-2-რე საანგარიშო მეცნიერებათა (საბუხჰალტრო)

კურსები

იღებს მსმენელებს სპეციალურ განყოფილებაზე მეცადინეობა დაიწყება მოკლე დროში.

ზოგად განყოფილებაზე სდგება ახალი ჯგუფი. სწარმოებს განცხადებათა მიღება დაწვრილებითი ცნობები—კურსების კანცელარიაში საღ.—5—8 საათ. პლეხანოვის გამზ. № 166 მე-5-თე პროფშკოლის შენობ. და კურსების გამგის მეფარიშვილის ბინაზე 10—12 საათ. პლეხ. გამზ. № 97
733

გარეუბნის სასამართ. აღმასრულებელი ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 16 დეკემბერს 1927 წ. საათის პირველზე სამღებრო ქუჩაზე № 13 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მამედ-გასან-ხადე მირზაევის უძრავ ქონებას ნახევარ უბ[illegible]ლებას სახლისას 3 და 2 სართულიანისას შეფასებულს 600 მან. დასაკმაყოფილებლად „ზაკგოსტორგისა" ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. ვაჭრობა იხდება დაცვით 310, 311, 312, 313 და 314 მუხ. სამოქ. სამართ. საპროც. კოდექ. ნ. 325

ქ. თბილისის შრომის სასამართ. აღმასრულებელი
გ. ქ. ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 15 დეკემბერს 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 167 კლარა ცეტკინას (ელისაბედის) ქუჩაზ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ სიმონ სიკოხისძე აბაშიძის უძრავ ქონებას: სამსართულიან, თუნუქით დახურულ, ქვით და აგურით ნაშენ სახლს, რომელიც შესდგება 45 საცხ. ბინით, (აქედან 5 ოთახი ეკუთვნის მოქ. დევდარიანს, რომელიც არ გაიყიდება) ათი სახარეულოთი და 15 სარდაფით შეფასებულს 1.500 მან. მოქ. კოტაშვილის, მირიანაშვილის და სხვების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქალ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 4 დეკემბ. 1926 და 25 ოქტომბერს 1927 წ. თარიღით № 3838 და 3585 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლებისა. ვაჭრობა მეორეთაა დანიშნული და დაიწყება შემცირებულ ფასიდან ვაჭრობა ჩატარდება ს. ს. კოდექსის 311—312 მუხლების დაცვით. ნ. 329

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყოლანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი **მეგრაბიანცი**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
ფილტვების, [illegible] და გულის სნეულებანი
[illegible] საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენი სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ 2—5

ექიმი **კ. ს. ფუნ-ირტელი**
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს **საშარდე, სქესობრივ** (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), **ვენერიულ** (ტრიპერი) ავადმყოფობას, **სიფილისს,** და მის შედეგებს, **კანისა და ქირურგიულ** ავად ყოფნის (სისივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები
ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნ.ხ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღ. 7—8 საათამდე

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ელექტრო-სინათლით მკურნალობის კაბინეტი.
ი. გ. კანჭოროვიჩი
იღებს 11-დან 3 დე და 6 დან 8-დე **კოსმეტიური მასაჟი და პირის სახის მკურნალობა უცხოეთის უახლეს მეთოდებით.**
საბა-სულხანის ქ. № 1 (ყ. ფრეილინსკა) 25—1

ექიმი **ჯალალოვი**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხანება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ხიდის მახლობლად. 25—1.

ექიმი
ი. დ. თოფურიძე
მოსკოვის ქუჩა № 7
იღებს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს. აგრეთვე სასქესო ორგანოთა დაავადებით მკურნალობა გ მოწვეული მწვავე და ქრონიკული გონორეით მიღება საღამოს 5—8 საათამდის ნ. 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 8 საათიდან 12 საათამდე, საღამოთი 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3, 25-

თვალის საავადმყოფო
სამუდმივო საწოლებით და ამბულატორიით ღებულობენ ექიმები:
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8 9 საათ. საღამოთი 6—7ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედი) № 47, ტელეფონი № 5—90. 1—25

ს. ა. დიშელი
დაამთავრა
სილამაზის ინსტიტუტი
პარიზსა და ბერლინში. ელექტრო-ვიბრო-მასაჟი - სინათლით, ორთქლით, კოსმეტიური, ვაპორიზაცია,—აშორებს სახის ყოველგვარ დეფექტებს: ნაოჭებს, მეჭეჭებს, [illegible], ჭორფლს, [illegible] ქალების გადიდებას და [illegible] ქ. № 22. 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი.
სპეციალურად **კუჭის და ნაწლავების** სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. ანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7 ვერის ხიდთან. ტელ. № 15-02

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „[illegible]" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (ყ. პლეხანოვის მესამე შესახვევი) № 3.
25—1

დავკარგე აღრიცხვის მოწმობა, ამონაწერი 3 № 51894 ანდრო ნებიერიძეს სახელზე, ჩ. გ. 735

დავკარგე სენაკის სამაზრო კომიტეტიდან მოცემული დრ. პარტ.—საწევრო მოწმობა № 5 კორნილე გვადასა-ძე ჯანჯალიას სახელზე, ჩ. გ. 734

დავკარგე სამხედრო სარეგისტრაციო ბარათი № 8, გაცემული [illegible] რაიონის სამხედრო [illegible], ივანე სერგიას ძე წერეთლის სახელზე, ჩ. გ. 731

დავკარგე აღრიცხვის წიგნაკი № 1657 და პირადობის მოწმობა—ვასილი მუჯირიძე სახელზე, ჩ. გ. 729

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 13230 —შოთა ფიროსმანის-ძე დუდუჩავას სახელზე, ჩ. გ. 726

დავკარგე პირადობის მოწმობა № 22 ოლღა ლუკას ასული კილასონიას სახელზე, ჩ. გ. 728

დავკარგე პირადობის სამხედრო წიგნაკი ფ. № 4 და სამხედრო აღრიცხვის მოწმობა თედორე გიორგის-ძე ფრუიძის სახელზე. 727

დავკარგე პირადი წიგნაკი ფ. № 4, № 37 მოცემული ხოქალაქე რაისამხედრო ძაგიდიდან რომანოზ იოსების-ძე ძორცხულავას სახელზე, ჩ. გ. 733

დავკარგე პირადობის მოწმობა № 1684, კომკავშირის ბილეთი № 15081 და სამხედრო სამსახურის ნუსხა, მოსე ჯამულეთის ძე პატარაიას სახელზე, ჩ. გ. 732

პოლიგრაფტრესტის [illegible] სტამბა, კამოს ქ. № 68